"ბლეფი", "ბოდვა" თუ უშეცდომო ეკონომიკური გათვლები A4

იმპერატორი დემოკრატიული ტანსაცმლის გარეშე A5

"საოჯახო ტოტო" მოგებათა ცხრილი B6-B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 12 იანვარი, 2004 წელი. №8 (557)

ფასი 50 თეთრი

# ხელჩართული ბრძოლა ხუთჯვრიანი დროშების ფონზე

გონიოში აქციის გამართვას დღესაც აპირებენ

გუშინ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოში "ნაციონალური მოძრაობის" ასამდე მხარდამჭერმა, ხუთჯვრიანი დროშების ფრიალით, სოფლის ცენტრში მოიყარა თავი. ისინი აპროტესტებდნენ აჭარაში გასულ კვირას "კმარას" აქტივისტების დაჭერის ფაქტს, ითხოვდნენ საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას, სიტყვის თავისუფლებას და სხვა დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას. **"მოგვწყინდა ეს ფეოდალური ცხოვრება, შეზღუდულები ვართ, არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. გვინდა გაერთიანებული საქართველო, თავისუფალი, ტკბილი ცხოვრება!"** - ამ ტიპის ლოზუნგებს ისროდა იქ თავშეყრილი ხალხი, რომლებიც პარალელურად ქვეყნის ახალ პრეზიდენტს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სთხოვდა: **"სააკაშვილმა გაგვაგებინოს, საქართველოში რამდენი პრეზიდენტი გვყავს, ვის უნდა დავემორჩილოთ.**

გაგრძელება A2 გვერდზე



*ხუთჯვრიანი დროშა გონიოს ადმინისტრაციული შენობის თავზე.*

# გატაცებაში ბრალდებული გენერალ-ლეიტენანტი გადატრიალების მცდელობაშიც იყო ეჭვმიტანილი

ინგა ალავიძე

*"ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ გენერალურმა პროკურატურამ და შსს-მ წლების მანძილზე თაროებზე შემოდებულ სისხლის სამართლის საქმეებს, ბოლოს და ბოლოს, მტვერი მოაშორა და ხმაურიან დაპატიმრებათა სერიალიც დაიწყო. თუმცა, პოსტრევოლუციურ ეპოქაში შესვლას კანონდამცველები ახალი, ხმაურიანი საქმეების გახსნითაც აპირებენ.*

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს ლევან მაისურაძესა და მის მოადგილეს დავით კეკუას თანამდებობების შენარჩუნება გარანტირებული აქვთ. ამის თქმის საფუძველს მათ მიერ გუშინწინ დიღმის ტყეში, დიდგორის მთაზე განხორციელებული სპეცოპერაციის ჩატარება იძლევა. "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის თამაზ მაღლაკელიძის გათავისუფლებით ქართული კრიმინალისტიკის უახლეს ისტორიაში

გაგრძელება A7 გვერდზე




*თამაზ მაღლაკელიძე ტყვეობიდან 45 დღის შემდეგ გაათავისუფლეს.*

# ტელესერიალის წარმატების გასაღები

"სექსი დიდ ქალაქში" ბოლო სიტყვას ამბობს




## ეკონომიკა

### გავზარდოთ თუ შევამციროთ გადასახადები?!

ახალი ხელისუფლების მიერ უკვე გადადგმული პირველი ეკონომიკური ნაბიჯები ექსპერტებს შორის საკმაოდ ბევრ კითხვას ბადებს. ხელისუფლება, ერთი მხრივ, აუქმებს მიწის გადასახადს, მეორე მხრივ კი ზრდის გადასახადებს ზოგიერთი სახის პროდუქციაზე. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ მთავარია ადმინისტრირების მოწესრიგება და არა გადასახადების განაკვეთების უთავბოლო ცვლილებები.

A4

## უცხოეთი

### ერაყთან რუსეთის იარაღით ვაჭრობა დასტურდება

აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, მათ ხელთ აქვთ ახალი მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც, ერაყში ომის დაწყებამდე რუსული ფირმები სადამის რეჟიმთან იარაღით აქტიურად ვაჭრობდნენ.

A5

## საზოგადოება

### ფოსტა და პენსიონერი ნადია

ფოსტა კაცობრიობის უსაყვარლესი გამოგონებაა, სანატრელი წერილების, ამანათების და ფულადი გზავნილების სიმბოლოა, რომლის დანახვა ან თუნდაც გახსენება ყოველთვის კეთილგანწყობილებასთან არის დაკავშირებული. ასეთი სახელის მქონე დაწესებულება ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ ადამიანებმა მას ყოველდღე მიაკითხონ, მაგრამ 77 წლის პენსიონერი ნადია ფოსტაში ყოველდღიურ ვიზიტს მისდამი უსაზღვრო სიყვარულით არ ხსნის.

A6

## სამართალი

### ვის მოსაკლავად ემზადებოდნენ ზუგდიდში დაკავებულები?

ორი დღის წინ, ზუგდიდის ცენტრში დაკავებულ რუსეთის მოქალაქეს დიმიტრი ანდრეევს და გალელ ზურაბ აგუბავას, სამართალდამცველებმა გუშინ უკვე წაუყენეს ბრალი. გამოძიებამ სასამართლოს უკვე მიმართა დაკავებულთათვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით. მართალია, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციამ დიმიტრი ანდრეევი და ზურაბ აგუმავა ნარკოდანაშაულისთვის დააკავა.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 7 | |
| ქუთაისი | 11 | |
| ბათუმი | 14 | |
| სოხუმი | 11 | |
| ფოთი | 13 | |
| თელავი | 7 | |
| ზუგდიდი | 12 | |
| გორი | 3 | |
| ახმეტა | 6 | |
| ჭიათურა | 5 | |
| გაგრა | 9 | |
| სამტრედია | 11 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1200 |
| ევრო | 2.6940 |
| გირვანქა სტერლ. | 3.8775 |
| რუბლი | 0.0731 |

# რუსეთი მიდის კავკასიიდან, მას აშშ შეცვლის

იულიუს შტრაუსი
*"დეილი ტელეგრაფი"*

თოვლით დაფარულ მთებში სომხეთის ჩრდილოეთით ეწევიან სამსახურს რუსი ჯარისკაცები. **"ჩვენ აქ ვართ იმისათვის, რომ დავიცვათ ეს მიწა თურქეთის აგრესიისაგან,"** - ამბობს 26 წლის მოსკოველი ლეიტენანტი, რომელსაც სახელად ოლეგი ჰქვია.

ამ რეგიონში თითქმის არაფერი შეცვლილა ბოლო 200 წლის განმავლობაში, მაგრამ ამჟამად რუსებს პირველად ერეკებიან კავკასიის სამხრეთ რაიონებიდან. მათმა იძულებით წასვლამ ამ კვირაში მორიგი იმპულსი შეიძინა, როცა საქართველოს პრეზიდენტად აირჩიეს მიხეილ სააკაშვილი, დასავლეთზე ორიენტირებული იურისტი. ბატონმა სააკაშვილმა თავის პრიორიტეტად აქცია რუსეთის სამხედრო ბაზების დახურვა თავის ქვეყანაში და რუსეთის მიერ საქართველოს სამი აჯანყებული პროვინციის მხარდაჭერის შეწყვეტა.

რუსები უზომოდ ამაყობენ იმით, რომ თავის დროზე დაიპყრეს კავკასია. ეს მათ მე-18 საუკუნეში დაიწყეს. მეფის ჯარების მიერ კავკასიის დაპყრობა საფუძვლად დაედო მრავალი რომანტიკული ჟანრის ცნობილ ნაწარმოებს. ამის შესახებ ბევრს წერდნენ პუშკინი და ლერმონტოვი. რუსებმა სასწრაფოდ შექმნეს კავკასიაში საყრდნობი პუნქტების სისტემა თურქებისა და სპარსელებისაგან თავდასაცავად. რუსმა ინჟინრებმა ააშენეს საქართველოს სამხედრო გზა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დემორალიზებული ბიუროკრატია - პოსტრევოლუციური თავისტკივილი

გოგა ოქროპირიძე
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

ნოემბრის რევოლუციამ ახალ ხელისუფლებას დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა. მოსახლეობა მისგან ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებას ელის. ძველი სისტემის პირობებში კი, რომელშიც სახელმწიფო მანქანა იმყოფება, სასურველი შედეგების ჩვენება შეუძლებელია. რეალობა ხელისუფლებას მკვეთრი ცვლილებების აუცილებლობის წინაშე აყენებს.

შევარდნაძის მმართველობამ ახალ ხელისუფლებას მემკვიდრეობად კლანურ-ნომენკლატურული ბიუროკრატია დაუტოვა. უკანასკნელ წლებში გატარებულმა უნიათო პოლიტიკამ, საკადრო პოლიტიკაში პიროვნული ფაქტორის წინა პლანზე წამოწევამ, კორუფციის მაღალმა დონემ საჯარო სამსახური დემორალიზებამდე მიიყვანა. ნოემბრის მოვლენებმა საჯარო მოხელეთა დიდ უმრავლესობას საზოგადოებაში ადგილის დაკარგვის შიში გაუჩინა და გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააყენა. დღევანდელი ხელისუფლება, ფაქტობრივად, აღსრულების ინსტრუმენტის გარეშეა დარჩენილი და, ბუნებრივია, საჯარო სამსახურის ძირფესვიანი რეფომის გარეშე მისი ნებისმიერი პროგრამის ცხოვრებაში გატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

საჯარო სამსახური არა მხოლოდ ახალი სისხლის გადასხმას, არამედ კარდინალურ ცვლილებებს საჭიროებს. ამ სფეროში დაწყებული რეფორმა, რაც 1997 წელს საჯარო სამსახურის შესახებ კანონით დაიწყო, ფაქტობრივად, დეკლარაციის დონეზე დარჩა.

1998 წელს სახელმწიფო კანცელარიის შემადგენლობაში შექმნილი რგოლი - სახელმწიფო სამსახურის ბიურო არ აღმოჩნდა ის ქმედითი სტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობდა საჯარო სამსახურის ეფექტიანობის ამაღლებას.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 პოლიტიკა
A3 პოლიტიკა
A4 ეკონომიკა
A5 უცხოეთი
A6 საზოგადოება
A7 სამართალი
A8 თვალსაზრისი

B1 პრესომბუდსმენი
B2 რევიუ
B3 რევიუ
B4 სპორტი
B5 სპორტი
B6-B7 საოჯახო ტოტო
B8 სხვადასხვა

მოკლედ

## აფხაზები წინადადებათა პაკეტს ამზადებენ

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა წინადადებები საქართველოს ახალ ხელმძღვანელობასთან დიალოგის განახლებისთვის.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმს“ აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ განუცხადა, წინადადებები შემდეგ პრინციპულ პოზიციებს მოიცავს: აფხაზეთსა და საქართველოს შორის ადრე დადებულ შეთანხმებათა დაცვა, აფხაზეთის მიმართ ძალის გამოყენებაზე უარის თქმა, დასავლეთ საქართველოს ტერორისტულ დაჯგუფებებთან საბრძოლველად ზომების მიღება და დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, თბილისში მყოფი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების მხარდაჭერის უპერსპექტივობის აღიარება.

ამ წინადადებებს აფხაზეთის ხელმძღვანელობა გადასცემს გაერო-ს სპეციალურ წარმომადგენელს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ჰაიდი ტალიავინის, რომელიც აფხაზეთში ორშაბათს, 12 იანვარს ჩავა. თავის მხრივ, ტალიავინიმ ეს პირობები საქართველოს ახლადარჩეულ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს უნდა გადასცეს. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ კოდორის ხეობაში საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდ და ნორმალურ ვითარებაში ჩატარდა, თუმცა სამივე საარჩევნო უბანი ხეობაში 16.00 საათისთვის დაიხურა. კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის ემზარ კვიციანის თქმით, საარჩევნო უბნების დროზე ადრე დახურვის მიზეზი ვერტმფრენის განრიგი გახდა. მისი განცხადებით, დიდთოვლობის მიუხედავად, ძალიან იაქტიურა მოსახლეობამ და ამომრჩეველთა უმეტესობა საარჩევნო უბნებზე გამოცხადდა. წინასწარი ინფორმაციით, მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მიხეილ სააკაშვილს მისცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სოციალისტური პარტიის" გენერალური მდივანი ზაქარია ქუცნაშვილი ხელისუფლების მცდელობას მინისტრთა კაბინეტის შემოღებასთან დაკავშირებით ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე დანაშაულს უწოდებს. მისი თქმით, საქართველოს კონსტიტუციის ლეგიტიმურობაში დღეს ეჭვი არავის ეპარება, 1999 წლის მოწვევის "დისკრედიტირებული პარლამენტის" მხრიდან კონსტიტუციის ხელყოფა კი დაუშვებელია, რადგან ეს კონსტიტუციის ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ დააყენებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიგი წერეთელი მიიჩნევს, რომ ძველმა პარლამენტმა, ეფექტური მთავრობის შექმნის მიზნით, საკონსტიტუციო ცვლილებების ის ძირითადი პრინციპები უნდა მიიღოს, რომლებიც ქვეყანაში მინისტრთა კაბინეტის შემოღებას გულისხმობს. რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილების განსაზღვრის და სხვა დეტალურ ცვლილებებს, წერეთელს მიაჩნია, რომ ეს საკითხი ახალი პარლამენტის გადასაწყვეტი იქნება. „ძველი პარლამენტი, თავისი დროებითობიდან და არასრულფასოვნებიდან გამომდინარე, კონსტიტუციის ძირეულ ცვლილებებზე ვერ იმუშავებს“, - აცხადებს წერეთელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" თანათავმჯდომარის ალექსანდრე ჭაჭიას აზრით, ხელახალი სრულფასოვანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისათვის 28 მარტის დადგენა ნაადრევია. მისი თქმით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ ვადაში ყველა პარტიამ საკუთარი პოტენციალის ეფექტურად ამოქმედება შეძლოს**. პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოქმედი პარლამენტი, სავარაუდოდ, რეგლამენტში ცვლილებების შეტანის საკითხს მიუბრუნდება და პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიგი წერეთლის მიერ წამოყენებული ინიციატივის - პარლამენტის სხდომის დასაწყებად საჭირო კვორუმის შემცირებაზე იმსჯელებს. არსებული რეგლამენტით სხდომის გახსნას 118 ხმა სჭირდება, წერეთლის აზრით, შესაძლებელია, რომ პარლამენტის მუშაობა 79-ხმიანი კვორუმით გაიხსნას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ 1999 წლის მოწვევის პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიიღოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დეპუტატ ვახტანგ ხმალაძის აზრით, პარლამენტართა არაპრინციპულობის მიზეზით ვერ მოხერხდება საჭირო რაოდენობის ხელმოწერების შეგროვება, რათა საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის მიერ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდეს. ხმალაძე მიიჩნევს, რომ ბურჯანაძემ ამ გადაწყვეტილებით დაარღვია კონსტიტუცია და საკითხის გასაჩივრებას სამართლებრივი პერსპექტივა აქვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოსური მხარის პრეტენზიას, თითქოს კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის ქართველი თანათავმჯდომარის დაუნიშნაობა მოლაპარაკებათა პროცესის პარალიზებას გამოიწვევს, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე უსაფუძვლოდ მიიჩნევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ლეიბორისტული პარტია" მიხეილ სააკაშვილს მოსახლეობის მიერ ნოემბრის თვეში შევარდნაძის წინააღმდეგ გამოხატული მასობრივი პროტესტის პირადი ინტერესებისთვის გამოყენებაში ადანაშაულებს. პარტია მიიჩნევს, რომ სააკაშვილი ინაუგურაციამდე უკვე შევარდნაძის მეთოდების გამოყენების გაგრძელებას შეუდგა. ამის არგუმენტად პარტია იმ ფაქტს ასახელებს, რომ სააკაშვილმა საპარლამენტო არჩევნების “წინასწარი გეგმით შემუშავებული” შედეგები მის ჩატარებამდე გამოაცხადა და „ლეიბორისტი“ საკანონმდებლო ორგანოს მიღმა მოიხსენია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს სომეხთა კავშირის" თავმჯდომარის მოადგილე, პარლამენტის წევრი ვან ბაიბურთი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ეროვნული უმცირესობები სახელმწიფო დროშად ხუთჯვრიანი დროშის დაწესებას ეწინააღმდეგებიან. **ინტერ-პრესი**

**საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე**

2004 წლის 14 იანვარს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

გადახდის სიდიდე განისაზღვრება 25.00 პროცენტული პუნქტით.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 2 ივნისს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 14 იანვარს 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ” დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

# ხელჩართული ბრძოლა ხუთჯვრიანი დროშების ფონზე

პირველი გვერდიდან

**თვალის გახელის საშუალებას არ გვაძლევენ. არ დაგვაკლეს არც პატიმრობა, არც ცემა. მთელი ცხოვრება ტანჯვაში ვართ. სააკაშვილს უთხარით, თუ საქართველოს პრეზიდენტია, კეთილი ინებოს და ჩვენც მოგვხედოს. ეს თავადაზნაურობა გააქროს. არავინ არ უნდა წავიდეს იმის შიშით ამაღამ, რომ მას აიყვანენ."**

ამ განწყობით ხალხი "ნაციონალების" დროშის აღმართვას გონიოს ციხეზე გეგმავდა, მაგრამ სოფლის გამგებელმა მათ შეახსენა, რომ საგანგებო მდგომარეობაა და დემონსტრაციას მორიდებოდნენ. ეს "რჩევა" გონიოელებმა გაითვალისწინეს და დროშაც სოფლის კულტურის სახლზე ააფრიალეს.



მოგვეცით თვალის გახელის საშუალება - მოითხოვდა მიტინგზე შეკრებილი ხალხი.

მიტინგი ის იყო დაშლას აპირებდა, რომ 50-მდე "მოქალაქე" (აბაშიძის მხარდამჭერები, "ე.წ. შაოსნები", ვინც 23 ოქტომბერს "ნაციონალების" აქცია დაარბია) გაჩნდა. მათ იერიში თავდაპირველად ჟურნალისტებზე მიიტანეს. "იმედის" და "რუსთავი-2"-ის ოპერატორებს წაართვეს კამერები. განსაკუთრებული აგრესიულობით კი ამ უკანასკნელი ტელეკომპანიის მიკროფონს სდევნიდნენ. ჟურნალისტები იძულებულნი გახდნენ, თავისთვის გაქცევით ეშველათ, თუმცა მათ არც ამის საშუალება მისცეს და მდევარი დაადევნეს. "გაზეთ ბათუმელების" ჟურნალისტებს კი დაუმტვრიეს დიქტოფონი და ფოტოაპარატი. სააკაშვილის ლანძღვა-გინების ფონზე, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ამ გაზეთის ჟურნალისტებს.

**"ეს ადამიანები გვაგინებდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ მშვიდობიანი აჭარის არევა გვინდა, რომ ვეწევით პროვოკაციებს და ამას არ გვაპატიებენ. სოფელს როგორც კი გასცდებით, აი, მაშინ ნახეთ, რასაც დაგმართებთ - იძახდა ეგზალტირებული ბრბო. მათ არც იმის გაფრთხილება დავიწყებიათ, რომ თუ ამ ინფორმაციას გავავრცელებდით, იქ თუ ვერა, ბათუმში მაინც გაგვისწორებდნენ ანგარიშს. ჩვენ დახმარება ვთხოვეთ აჭარის შს პრესცენტრის ხელმძღვანელს დათო გერგედავას. რომ არა ის, ალბათ, მართლა ვერ გამოვაღწევდით, ჩვენი გამოყვანა მასაც გაუჭირდა,"** - აცხადებენ ჟურნალისტები.

ჟურნალისტებთან ანგარიშსწორების პარალელურად, ე.წ. სპეცნაზი ხალხს შეესია, მაგრამ გონიოს მცხოვრებლები ვერ დაშალეს. თუმცა მათ ბოლომდე ვეღარ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა მაშინ, როდესაც კულტურის შენობაზე აღმართული დროშა ჩამოხსნეს. იყო შეძახილები: **"მიდით ასლანის შნირებო, თქვენი დროც დადგება"...**

ამ არეულობას თვალს ადევნებდნენ პოლიციის თანამშრომლები, მაგრამ საქმეში ჩარევა აზრადაც არ მოსვლიათ.



"მოგვწყინდა ეს ფეოდალური ცხოვრება!"

"შაოსნები" ბრძოლის მოგებას ზეიმობდნენ. მათ "სასახელოდ" უნდა ითქვას, რომ ისინი ასეთივე "წარმატებით" გუშინ "კმარას" გაუსწორდნენ. ბათუმის ბულვარში ვერც ერთი კმარელი რომ ვერ დააკავეს ფაქტზე, "პატრონის" წინაშე თავის მოწონების მიზნით, ჯოხი ისევ მას-მედიას გადაატეხეს, რა თქმა უნდა, პირდაპირი გაგებით - გუშინ მხოლოდ "გაზეთ ბათუმელების" ჟურნალისტს თედო ჯორბენაძეს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.

გვიან ღამით კი გონიოში რაიონის ოფიციოზი შეიკრიბა და იმსჯელა იმაზე, თუ როგორ "შეირცხვინა" თავი სოფელმა აჭარის მასშტაბით.

ამ ყველაფრის მიუხედავად, გონიოში დღესაც აპირებენ აქციის გამართვას, თანაც უფრო ფართო მასშტაბით.

*24 საათი*

# რუსეთი მიდის კავკასიიდან, მას აშშ შეცვლის

პირველი გვერდიდან

1917 წლის რევოლუციის შემდეგ წითელმა არმიამ ჩაახშო ეროვნული აჯანყებები რეგიონში და სტალინმა, რომელიც მაშინ ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იყო, კავკასიის რეგიონი საქართველოდ, სომხეთად და აზერბაიჯანად დაანაწილა. სამივე რესპუბლიკაში იდგა ძლიერი რუსული სამხედრო გარნიზონები, რომელთა ამოცანას შეადგენდა ადგილობრივი ეთნიკური მღელვარების ჩახშობა, მოგვიანებით კი - ნატო-ს მხრიდან, თურქეთის ტერიტორიიდან, თავდასხმის მოგერიება.

მაგრამ მოსკოვში კომუნისტური მმართველობის დამხობის შემდეგ, რუსეთის ბატონობამ რეგიონში დასუსტება დაიწყო. 1991 წელს საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

ამჟამად საქართველოს სამხედრო გზა დაკნინდა, ტვირთების ნაკადი კი წვრილ ჭავლამდე შემცირდა. საბჭოთა პერიოდში აშენებული რკინიგზა ათი წლის წინათ, აფხაზეთში სეპარატისტული ომის მიმდინარეობისას გადაიკეტა, მოლაპარაკებამ კი, მისი აღდგენის შესახებ, შედეგი არ გამოიღო.

იქ, საიდანაც მიზანსწრაფულად ერეკებიან რუსებს, ვაკუუმს ავსებენ ამერიკელები. ამერიკელი სამხედროები ამზადებენ ქართულ არმიას, ხმები დადის, რომ იგეგმება ამერიკული საავიაციო ბაზების მშენებლობა აზერბაიჯანში. გასულ თვეში აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა მოსთხოვა რუსეთს, დააჩქაროს საქარ-



რუსეთი კავკასიაში "ბუქსაობს", მაგრამ - დიდხანს?

თველოში დარჩენილი თავისი ჯარების გაყვანა, რამაც კრემლის მკვეთრი პროტესტი გამოიწვია.

რუს ჯარისკაცებს უჭირთ გადაყლაპონ ასეთი შეურაცხყოფა "ცივი ომის" დროინდელი მტრისგან. აი, რა თქვა ოლეგმა: "ვფიქრობ, ჩვენ ჯერჯერობით სულაც არ ვართ ამერიკელებზე სუსტნი. ჩვენ გვაქვს თანამედროვე შეიარაღება და ტექნიკა, ძალიან მაღალი მორალური სულისკვეთება".

პოლკოვნიკმა აშოტ კარაპეტიანმა, რომელიც მსახურობს სომხეთში განლაგებულ რუსეთის ბაზაზე "დიდი ციხესიმაგრე", განაცხადა: "ამერიკელები აგრესიული ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ახორციელებენ. რუსები აქ პირველად 1775 წელს მოვიდნენ და ჩვენი აქ ყოფნა საჭიროა, როგორც არასდროს. უჩვენოდ მუსულმანები მიიტაცებდნენ ამ მიწებს და მყისვე რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან აღმოჩნდებოდნენ".

მაგრამ საქართველოში და აზერბაიჯანში ამის თითქმის არავის სჯერა. აქ თავის მომავალს ხედავენ ამერიკასა და ევროპასთან კავშირში. ახალგაზრდა თაობა სწავლობს ინგლისურს და არა რუსულს. მხოლოდ სომხეთში, რომელიც ჩაჭედილია თავის ისტორიულ მტრებს - აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის, ჯერ კიდევ არსებობს სურვილი, იხილონ რუსი ჯარისკაცები თავიანთი ქალაქების ქუჩებში. "ჩვენ ვართ ქრისტიანები მუსულმანების ზღვაში და რუსეთი გვიცავს. რა თქმა უნდა, ჩვენ გვირჩევნია, რომ აქ აგრეთვე იყვნენ ამერიკელები, მაგრამ ისინი შორს არიან, რუსები კი – ახლოს," - თქვა 37 წლის სახელმწიფო მოსამსახურე მანდილოსანმა ნარინემ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# დემორალიზებული ბიუროკრატია - პოსტრევოლუციური თავისტკივილი

პირველი გვერდიდან

ეს ბუნებრივიცაა, რადგან სახელმწიფო კანცელარია, რომელიც ჯერ კიდევ ქვეყნის პირველ უწყებას წარმოადგენს, შევარდნაძის ხელისუფლების დროს ხშირად თავად ახდენდა სახელმწიფო ინტერესების იგნორირებას, ვერც სხვა სტრუქტურებისთვის აღმოჩნდებოდა დადებითი ტონის მიმცემი.

დღევანდელ საქართველოს, განვითარებული ქვეყნების მსგავსად, ხელისუფლების განხორციელების ინსტრუმენტი - რაციონალური ბიუროკრატია სჭირდება. ამიტომ ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯები ცალსახად საჯარო სამსახურის რეფორმისკენ უნდა მიმართოს, რაც კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით შემუშავდეს და უახლოეს ხანში დამტკიცდეს ქვეყნის ერთიანი განვითარების სტრატეგია, რაც გულისხმობს ხელისუფლების მხრიდან სასიცოცხლოდ აუცილებელი ღონისძიებების განსაზღვრას და მათ ვადებში გაწერას. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ რეფორმების იმიტაციას, რაც რიგი პიროვნული და უწყებრივი ინტერესების წამოწევის შედეგად, ახალ წინააღმდეგობებს შექმნის. დოკუმენტში მეცნიერულ დონეზე უნდა აისახოს სახელმწიფოს პრიორიტეტები და თავისებურებები, რაც ხელისუფლების ცალკეული სამოქმედო პროგრამების საფუძველი გახდება.

კანონი საჯარო სამსახურის შესახებ და საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი არ იძლევა საკმარის საკანონმდებლო საფუძველს რაციონალური ბიუროკრატიის ჩამოყალიბებისათვის. აუცილებელია შეიქმნას ნორმატიული ბაზა დისციპლინარული წარმოების შესახებ. საჯარო თანამდებობის პირის ერთ-ერთი ფუნქცია უნდა იყოს ხელქვეითების საქმიანობის შეფასება, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მათ კარიერაზე. ამასთანავე უნდა არსებობდეს პროცედურა, რომელიც მოხელეს დაიცავს დაუმსახურებელი სასჯელისაგან. კანონმდებლობამ ასევე პრინციპების დონეზე უნდა დაარეგულიროს საჯარო მოსამსახურის დაწინაურების წესი. აქცენტი უნდა გაკეთდეს როგორც კარიერულ (პიროვნება მაღალ საჯარო თანამდებობაზე გარკვეული ეტაპების გავლის შემდეგ ინიშნება), ისე პოზიციურ (საჯარო მოხელე ინიშნება კონკურსის საფუძველზე) მოდელზე. ამ ნორმების რეალურად დანერგვამ ბოლოს და ბოლოს წერტილი უნდა დაუსვას ნაცნობ-მეგობრულ ურთიერთობებზე აგებულ საკადრო პოლიტიკას.



ზაალ გულაშვილის ფოტო

ბიუროკრატიის ერთი ნაწილი წარსულს ჩაბარდა, ვინ შეცვლის მათ?

საჯარო სამსახურის რეფორმის გარეშე წარმოუდგენელია აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაცია, რაც დღის წესრიგში ქრონიკულად იდგა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში და დიდ აქტუალობას იძენს დღევანდელ პირობებში. ეს საკითხი საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს, რადგან პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის მომავალ წარმატებასა თუ წარუმატებლობას. აქ, ალბათ, გასათვალისწინებელია ქვეყნის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, არსებული სტრუქტურების შესაბამისობაში მოყვანა დასავლური ქვეყნების ანალოგიურ უწყებებთან.

აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაცია ძირითადად არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას გულისხმობს, რასაც პოლიტიკური ნება სჭირდება. დღევანდელ ხელისუფლებას წინამორბედისგან განსხვავებით ამ ეტაპზე საკმარისზე მეტი ნდობა აქვს ხალხისგან მინიჭებული, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მძიმე გადაწყვეტილებები მიიღოს. ყველაზე არაპოპულარული ნაბიჯი ხელისუფლებისათვის სახელმწიფო მოხელეთა რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირება იქნება. ეს ის საკითხია, რომელიც უახლოეს ხანში საჭიროებს მოგვარებას. ალბათ, ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ თუ ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი არ გადადგა, ის ვერ ჩამოაყალიბებს იმ სრულფასოვან ინსტრუმენტს, რაც ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას სჭირდება. საჯარო მოხელეთა შემცირების მტკივნეული პროცესის შესამსუბუქებლად მთავრობამ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რომლებიც მზად არიან, სამსახურის გარეშე დარჩენილი პირების ფულად კომპენსაციასა და დასაქმებაზე იზრუნონ.

აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ ეტაპზე (მეორე ეტაპი, ალბათ, მინისტრთა კაბინეტის შემოღების მერე განხორციელდება) სახელმწიფო კანცელარიამ თავად უნდა მისცეს მაგალითი დანარჩენ აღმასრულებელ სტრუქტურებს და უნდა მოახდინოს როგორც თანამშრომელთა შემცირება, ისე პარალელური ფუნქციების მატარებელი რგოლების შერწყმა. ბუნებრივია, ეს პროცესი ყველა აღმასრულებელ სტრუქტურას უნდა შეეხოს.

საჯარო სამსახურის რეფორმა და აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაცია სრულფასოვანი ვერ იქნება, თუ პარალელურად არ დაიწყო ხელისუფლების დეცენტრალიზაცია-დეკონცენტრაციის პროცესი. საჯარო ხელისუფლების რეფორმა ადგილობრივ მოხელეებსაც უნდა შეეხოს. ასევე დღის წესრიგში უნდა დადგეს რეგიონებში არსებული ცენტრალური სტრუქტურების ტერიტორიული ორგანოების გაუქმება, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების დუბლირებას ახდენენ. ასეთი ნაბიჯები ხელს შეუწყობს დეცენტრალიზაცია-დეკონცენტრაციის პროცესის დაწყებას (რაც დანიშნული გამგებლის პირობებშიც შესაძლებელია) და გარკვეულ პირობებს შექმნის შემდგომში ადგილობრივ დონეზე სრული თვითმმართველობის შემოღებისათვის.

საჯარო სამსახურის რეფორმის პროცესში მნიშვნელოვანი დატვირთვა ეძლევა სახელმწიფო მოხელის სოციალურ-ეკომომიკურ უზრუნველყოფას. რაციონალური ბიუროკრატიის ჩამოყალიბება შეუძლებელია არსებული სახელფასო განაკვეთის პირობებში (ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე პრივილეგირებული სახელმწიფო უწყება). ხელისუფლებამ რეფორმის საწყის ეტაპზე უნდა შეძლოს საჯარო მოხელის საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილება (სახსრების გამოძებნა შესაძლებელია კადრების შემცირების შედეგად გამოთავისუფლებული თანხებისა და ცალკეული სამინისტროების განკარგულებაში მყოფი სპეცსახსრების ერთ ყულაბაში აკუმულირების გზით). სხვაგვარად რეფორმის ჩატარება აზრს დაკარგავს.

რევოლუცია არაორდინარული მოვლენაა და, ბუნებრივია, მის შედეგად მოსულ დღევანდელ ხელისუფლებას ხშირად არაორდინარული ნაბიჯების გადადგმა უწევს. ახალი კადრების დანიშვნისას იგი იძულებულია "ცეცხლის ჩაქრობის" პრინციპით იმოქმედოს და ანგარიში გაუწიოს იმ ადამიანებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ნოემბრის მოვლენებში. არადა, საჯარო სამსახურის პარტიული ნიშნით დაკომპლექტება ეწინააღმდეგება რაციონალური ბიუროკრატიის ჩამოყალიბების პრინციპებს. იმედია, "ვალების გასტუმრების" შემდეგ ხელისუფლება საკადრო პოლიტიკაში აქცენტს პროფესიონალიზმზე გააკეთებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ახალი ბიუროკრატიის სახით მიიღებს არაქმედით ინსტრუმენტს, რაც სათუოს გახდის ხალხის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას.

მოკლედ

## „შეკვეთილია" ნადარეიშვილი

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის ინფორმაციით, მისი ფიზიკური ლიკვიდაცია იგეგმება. როგორც ნადარეიშვილმა განაცხადა, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე მაღალჩინოსანი პირების წინააღმდეგ ტერორისტული აქტები იგეგმება.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ არც ერთი კონკრეტული გვარი არ დაასახელა - ვინ გეგმავს აღნიშნულ ტერორისტულ აქტებს, ან ვისი შეკვეთით უნდა განხორციელდეს ისინი. ნადარეიშვილის თქმით, კონკრეტული გვარების შემცველ დოკუმენტაციას იგი საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიაწვდის.

ნადარეიშვილმა ჟურნალისტებს იმ ვიდეომასალის ნაწილი აჩვენა, რომლის გადაცემასაც იგი გენერალურ პროკურატურაში აპირებს. ვიდეოკასეტაზე გადაღებულია, დაახლოებით, 50 წლის მამაკაცი, რომელიც აცხადებს, რომ მას ნადარეიშვილის ფიზიკური განადგურება შეუკვეთეს და მოსალოდნელ ტერორისტულ აქტებში ბევრი სხვაც არის ჩართული. როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, ეს პიროვნება მას თავად დაუკავშირდა და შეკვეთის შესახებ ამცნო. მამაკაცი ეროვნებით ქართველია, თუმცა ვიდეოკასეტაზე საუბარი რუსულ ენაზე მიმდინარეობს.

ნადარეიშვილის განცხადებით, ტერორისტული აქტების ჩასატარებლად საქართველოში რუსეთიდან შემოგზავნილნი არიან გარკვეული ჯგუფები. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს სიფხიზლისაკენ მოუწოდებს. **ინტერ-პრესი**

## არჩევნების ტექნიკური საკითხი აუცილებლად უნდა დაიხვეწოს

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელს საქართველოში გრეიგ ჯენესს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა მომავალ საპარლამენტო არჩევნებს შეეხებოდა, რომელიც 28 მარტს ჩატარდება.

მოქმედმა პრეზიდენტმა ეუთო-ს მისიისგან ის რეკომენდაციები მოისმინა, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რათა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები განვითარდეს.

საჭიროა, რომ ახალმა მთავრობამ ყველაფერი გააკეთოს ქვეყანაში დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნების ჩასატარებლად. ამ მხრივ, აუცილებლად დასახვეწია არჩევნების ტექნიკური საკითხიც.

ჯენესის აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ არჩევნებში მონაწილეობას იღებს აჭარის რეგიონი.

ბოლოს, ეუთო-ს მისიამ ნინო ბურჯანაძისგან განვლილი საპრეზიდენტო არჩევნების დეტალური შეფასება მოისმინა.

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

## იგორ გიორგაძის მომხრეები საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებენ

საქართველოს უშიშროების სამსახურის ექს-შეფის, 1995 წელს პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტის ბრალდებით ინტერპოლის მიერ ძებნილი იგორ გიორგაძის მხარდამჭერი პოლიტიკური ალიანსის - "სამშობლოს" ერთ-ერთი ლიდერი, "მონარქისტული პარტიის" თავმჯდომარე თემურ ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ 28 მარტს დანიშნულ ხელახალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ და ბოიკოტირებას არ აპირებენ. ამასთან, ჟორჟოლიანი აღნიშნულ თარიღს ნაადრევად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ამჟამინდელი პოლიტიკური სპექტრი "დეზორიენტირებულია".

მისი თქმით, დღევანდელ ხელისუფლებას, ფაქტობრივად, ერთპარტიული არჩევნების ჩატარება და ძალაუფლების მონოპოლიზება სურს.

"ხელახალი საპარლამენტო არჩევნები 4 იანვარის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, არასამართლიანად ჩატარდება," - აღნიშნა მან.

*პრაიმ-ნიუსი*



# საქართველო ისევ "ძირითადად არათავისუფალი ეკონომიკის" ქვეყანაა

*სააგენტო "Washington ProFile" - ის ინფორმაციით, "Wall Street Journal" და კვლევითი ორგანიზაცია "Heritage Foundation"-მა გამოაქვეყნეს ეკონომიკის თავისუფლების ახალი ინდექსი. ინდექსის შემუშავებისას ყურადღება გამახვილდა შემდეგ კატეგორიებზე - ვაჭრობა, მონეტარული და საგადასახადო პოლიტიკა, ხელისუფლების ზეგავლენა ეკონომიკაზე, ინვესტიციების მოცულობა, ფინანსური ვალდებულებების ბაზრის მდგომარეობა, ფასების რეგულირება, კერძო საკუთრების დაცვა, "შავი ბაზრის" მდგომარეობა და სხვა. ამ ინდექსის თანახმად, საქართველო ისევ "ძირითადად არათავისუფალი" ეკონომიკის ქვეყნების კატეგორიაში შედის, თუმცა, გასულ წელთან შედარებით, მან 22 ადგილით წინ წაიწია და 91-ე ადგილზე აღმოჩნდა.*

ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის ქვეყნების პირველ ათეულში შევიდნენ: ჰონკონგი, სინგაპური, ახალი ზელანდია, ლუქსემბურგი, ირლანდია, ესტონეთი, დიდი ბრიტანეთი, დანია, შვეიცარია და აშშ.

"ძირითადად თავისუფალი" ეკონომიკის ქვეყნების კატეგორიაში ლიტვა და ლატვია მოხვდნენ, ხოლო "ძირითადად არათავისუფალი" ეკონომიკის კატეგორიაში 44-ე ადგილი სომხეთმა დაიკავა, 91-ე - საქართველომ, 103-ე - ყირგიზეთმა, 106-ე - აზერბაიჯანმა, 114-ე - რუსეთმა, 117-ე - უკრაინამ და 131-ე - ყაზახეთმა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან "რეპრესირებულად წოდებული ეკონომიკის" ქვეყნების კატეგორიაში შევიდნენ, ბელორუსი (145-ე ადგილი), ტაჯიკეთი (146-ე) და უზბეკეთი (149-ე ადგილი). ამავე კატეგორიაში მოხვდნენ კუბა, ჩრდილოეთ კორეა, ლიბია, ბირმა, ზიმბაბვე, ლაოსი, ირანი და ვენესუელა.

საგულისხმოა, რომ 2002 წლის რეიტინგთან შედარებით, 2003 წელს თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის პოზიცია გაუმჯობესდა. უცვლელი პოზიცია შეინარჩუნა სომხეთმა, ესტონეთმა, უზბეკეთმა. ხოლო რეიტინგში პოზიციები გაუუარესდათ აზერბაიჯანს, ყაზახეთს და ტაჯიკეთს.

სხვათა შორის, პოზიცია გაუუარესდა აშშ-საც - იგი 2002 წლის მე-6-ე ადგილიდან 2003 წელს მე-10-ზე გადაადგილდა. **24 საათი**

# სამხრეთ აზიაში თავისუფალი სავაჭრო ზონა შეიქმნა

ადამ მჭედლიძე

რეგიონული ნიშნით ეკონომიკური გაერთიანებების შექმნა კვლავაც გრძელდება. სამხრეთ აზიის შვიდმა სახელმწიფომ თავისუფალი სავაჭრო ზონის ჩამოყალიბების თაობაზე შეთანხმებას მიაღწია, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კავშირების განმტკიცებასა და მათ მომავალ განვითარებას. თუმცა, სპეციალისტთა თქმით, წამოწყების წარმატება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განვითარდება ურთიერთობები სავაჭრო ზონის ორ სუბიექტს – ინდოეთსა და პაკისტანს შორის.

შეთანხმებას ისლამაბადში მოეწერა ხელი. შეკრებაზე სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაციის 7 სახელმწიფო საგარეო მინისტრების დონეზე იყო წარმოდგენილი. ხელმოწერილი ხელშეკრულება, წესით, 2006 წლის 1 იანვარს უნდა შევიდეს ძალაში. ინდოეთისა და პაკისტანის მინისტრებმა ცალკე მოლაპარაკებებიც გამართეს, რამაც იმედები ჩაუსახა რეგიონული განვითარების მომხრეებს. ბოლო სამი წლის განმავლობაში ეს პირველი შეხვედრა იყო ამ ორ სახელმწიფოს შორის, რომელიც 2002 წელს ქაშმირის გამო ლამის საომარ მოქმედებებში ჩაება.

ანალიტიკოსთა მონაცემებით, ინდოეთისა და პაკისტანის კონფლიქტის გამო სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაციას, რომელიც უკვე 18 წლისაა, არაერთი დიდი პროექტი ჩაეშალა. თუკი ახლა თავისუფალი ეკონომიკური ზონის გამოისობით ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები დარეგულირდება, ეს წამოწყება კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს.

შეთანხმების მიხედვით, პაკისტანმა, ინდოეთმა და შრი-ლანკამ 2006 წლიდან მოყოლებული საიმპორტო ტარიფები 7 წლის განმავლობაში 0-5 პროცენტის მაჩვენებელზე უნდა დაიყვანონ. დანარჩენ სუბიექტებს საამისოდ 10 წელიწადი ეძლევათ. როგორც ვხედავთ, თავისუფალი ზონა აქ გაცილებით უფრო ნელი ტემპით იქმნება, ვიდრე ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში, სადაც ზონის შექმნის თაობაზე, ჯერჯერობით, ყველაფერი არ გადაწყვეტილა, მაგრამ ამავე დროს ტარიფების შემცირებისთვის ასეთი დიდი პერიოდი გათვალისწინებული არ იქნება.

როგორც ცნობილი გახდა, ისლამაბადის შეხვედრის წინ მინისტრებმა შეთანხმებას მიაღწიეს ტერორიზმთან ბრძოლისა და ცხოვრების სტანდარტების აწევის თაობაზეც.

სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაციის წევრები არიან: ბანგლადეში, ბუტანი, ინდოეთი, მალდივი, ნეპალი, პაკისტანი, შრი-ლანკა.

## მოკლედ

### ყალბი აქციზური მარკები ბათუმის გავლით შემოდიოდა

საქართველოში ყალბი აქციზური მარკები თურქეთის რესპუბლიკიდან ბათუმის გავლით შემოდის. ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ოპერატიული სამსახურის უფროსმა გიორგი ახვლედიანმა განაცხადა.

მისი თქმით, ოპერატიული ღონისძიების შედეგად მხილებულია ბათუმის მკვიდრი ნაზიმ ბერაძე, რომელსაც თურქეთიდან ყალბი აქციზური მარკები ქვეყნის ტერიტორიაზე სისტემატურად შემოჰქონდა. აღნიშნული ყალბი აქციზური მარკები შემდგომ მთელს საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. როგორც ახვლედიანმა განაცხადა, ოპერატიული მოკვლევის სამსახური აქტიურად მუშაობს ყალბი აქციზური მარკების მწარმოებელთა და მათ რეალიზატორთა დასადგენად. **"9 იანვარს თბილისში ოპერატიული ინფორმაციის შედეგად, აღმოჩენილია ფალსიფიცირებული პროდუქციის მწარმოებელი მინის საამქრო, რომელიც მოქალაქე ხათუნა ესაიაშვილის სახლში იყო განთავსებული. ამოღებულია დიდი ოდენობით გამოუყენებელი ყალბი აქციზური მარკები, ჩამოსასხმელად გამზადებული ალკოჰოლის სუნის მქონე 10 ლიტრი შეზავებული სითხე, აგრეთვე, სხვადასხვა პროდუქციის ყალბი სავაჭრო ნიშნები, ბოთლები და საცობები,"** - განაცხადა ახვლედიანმა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას აწარმოებს საგადასახადო დეპარტამენტის ოპერატიული სამსახური. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შაბათ-კვირას „თელასი“ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ცენტრალური სადისპეტჩეროდან ელექტროენერგიას კვლავ შეზღუდული რაოდენობით იღებდა. გუშინ დილიდან „თელასი“ საჭირო სიმძლავრეზე 50 მეგავატით ნაკლებ ელექტროენერგიას იღებდა, რის გამოც დილიდან ელექტროენერგია არ მიეწოდება ვარკეთილის, ისნისა და სამგორის რაიონებს. „თელასის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, ზემოაღნიშნულ რაიონებს ელექტრომომარაგება შუადღის 14 საათისთვის აღუდგათ, რის შემდეგაც თბილისის ცალკეული უბნებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვის 3-საათიანი გრაფიკები დაწესდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის რაოდენობის შემცირების გამო, 51 რაიონული ფილიალის ელექტრომომარაგება ახალი წლის დღეებთან შედარებით გაუარესდა. 8 იანვრიდან კომპანიამ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი 150 მეგავატიდან (დღე-ღამეში) 50 მეგავატამდე შეამცირა. 31 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით კომპანია რუსეთიდან 150 მეგავატ ელექტროენერგიას იღებდა, ხოლო 8 იანვრიდან თებერვლის ჩათვლით რუსული მხარისაგან მხოლოდ 50 მეგავატს შეისყიდის, იმ მოტივით, რომ რუსეთიდან იმპორტირებული დენის ანაზღაურება შესაძლებელი იყოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** ამ წელს რუსეთის დედაქალაქ მოსკოვის ყველა საცხოვრებელ სახლში წყლის მრიცხველები დაიდგმება. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ქალაქის დუმის ვიცე-სპიკერმა მიხაილ ვიშეგოროდცევმა. სახლის საერთო მრიცხველის დადგმის ხარჯებს ქალაქის ბიუჯეტი გაიღებს, ხოლო მოსკოველებს მხოლოდ მრიცხველების ექსპლუატაციისა და მომსახურების ხარჯების გაწევა მოუწევთ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოსკოველი უარს იტყვის საერთო მრიცხველზე, მაშინ მას ინდივიდუალურ მრიცხველს დაუმონტაჟებენ. ამ შემთხვევაში, ისინი მრიცხველის დადგმის ხარჯებს თავად გაიღებენ. გამონაკლისი მხოლოდ ქალაქის სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის იქნება დაშვებული. **მედია-ნიუსი**

# მეზღვაურებმა შიმშილობა შეწყვიტეს

თამარ ივანიძე

გუშინ ბათუმიდან ჩამოსულმა 13-მა ქართველმა მეზღვაურმა შპს „საოკეანო სანაოსნო კომპანიის“ ოფისში გაფიცვა და შიმშილობა შეწყვიტა მას შემდეგ, რაც მათ სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია შეხვდა.

მეზღვაურებმა მას საკუთარი პრობლემები გააცნეს და პასუხისმგებელი პირების გვარები დაუსახელეს.

როგორც "24 საააათისთვის" გახდა ცნობილი, სახელმწიფო მინისტრმა "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" ხელმძღვანელს გურამ დოლბაიას მეზღვაურთა პრობლემებზე სასწრაფო რეაგირება და დამნაშავე კადრების გათავისუფლება მოსთხოვა. მოშიმშილეებიც სწორედ ამ პირობის მიღების შემდეგ დაიშალნენ.

თუმცა ამით, რა თქმა უნდა, არ მოხსნილა პრობლემა, რომელიც საქართველოს საოკეანო სანაოსნოსთან გახლავთ დაკავშირებული.

არსებული ინფორმაციით, შპს "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" 100 პროცენტი სახელმწიფო წილით იყო დაკომპლექტებული. პრეზიდენტ შევარდნაძის 14 ნოემბრის ბრძანებულებით, იგი გადაეცა კერძო კომპანიას "თბილისის საზღვაო სანაოსნოს".

მოგვიანებით, ნოემბრის მოვლენების შემდეგ, ეკონომიკის სამინისტრომ აღარ გააფორმა ეს ხელშეკრულება. თუმცა, ასევე არსებობს ფაქსი, რომლის თანახმადაც საოკეანო სანაოსნოს ხელმძღვანელი თავად ამბობს უარს ამ ხელშეკრულების გაფორმებაზე (ასევე ნოემბრის მოვლენების შემდეგ).

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ეს გარიგება, რომლის დადების მცდელობაც ნოემბრის "ცხელ პოლიტიკურ" დღეებში განხორციელდა, ვეღარ შედგება.

ამაზე პირადი კონტროლი სახელმწიფო მინისტრს აქვს დაწესებული.

საერთოდ, "24 საათის" ინფორმაციით, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სანაოსნოს ხელმძღვანელობას განუმარტეს, რომ ეს სფერო მათ სტრატეგიულ ინტერესებში შედის და უახლოეს პერიოდში მისი მართვის რეფორმირება მოხდება.



*ბათუმელმა მეზღვაურებმა შიმშილობა სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრის შემდეგ შეწყვიტეს.*

# "ბლეფი", "ბოდვა" თუ უშეცდომო ეკონომიკური გათვლები

გურამ ტუღუში
*ანტიკორუფციული კავშირის - "ენპეიქსის" საბჭოს თავმჯდომარე*

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო დაპირებებს ცალკეული კატეგორიის მეწარმეთა გადასახადებიდან გათავისუფლების, მიწის გადასახადის გაუქმებისა და პენსიების გაორმაგების შესახებ ეკონომიკური ანალიზის უნარს მოკლებულ პოლიტიკოსთა ერთმა ნაწილმა და მეტ-ნაკლებად ცნობილმა ეკონომისტებმა წინასაარჩევნო ბლეფი, ბოდვა და დემაგოგია უწოდეს. მათ გადასახადის გაუქმებით ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირება და, პარალელურად, პენსიების გაორმაგების გზით გასავლის გაზრდა ეკონომიკურად გაუმართლებლად და შეუძლებლად მიაჩნიათ.

რას ეყრდნობა პრეზიდენტობის კანდიდატი? რამდენად გამართლებულია ყოველივე? რა არის ეს - წინასაარჩევნო ბლეფი თუ ზუსტი გათვლების შედეგი?

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის და ცალკეული კატეგორიის მეწარმეთა გადასახადების გაუქმებით ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შემცირდება მაქსიმუმ 70 მლნ ლარით. ამ ოდენობის თანხის კომპენსირება პრობლემას არ წარმოადგენს ქვეყნისათვის, რომლის საბიუჯეტო ბაზა 3,8 მლრდ-მდე ლარია, საიდანაც, ცალკეულ გულგრილ და ინერტულ ჩინოვნიკთა წყალობით, ბიუჯეტში 800 მილიონის მობილიზება ხდება, დაკარგულ 3 მილიარდს კი თავისი ამთვისებელი ჰყავს.

2002 წელს არ აღირიცხა და დაუბეგრავი დარჩა ყველა ეტაპზე გათვლებით მიღებული 12 მილიარდი, ანუ დღეში საშუალოდ 33 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია; მათ შორის - 3-4 ეტაპზე არ დაიბეგრა: ბენზინი - 581 ათ. ტ. დიზელის საწვავი - 295 ათ. ტ. ფქვილი - 527 ათ. ტ. პურ-ფუნთუშეული - 635 ათ. ტ. სიგარეტი - 560 მლნ კოლოფი, მეზობელ პარტნიორ ქვეყნებში სარკისებური შემოწმების მეთოდით გამოვლენილი ასობით მილიონი დოლარის ღირებულების აღურიცხავი ექსპორტი. აღურიცხავ-დაუბეგრავი პროდუქციის დიდი ნაწილი კონტრაბანდულია. დაუცველი საზღვრების, ასობით შემოსასვლელი გზისა და უსუსური კორუფციული საკანონმდებლო ბაზის პირობებში თითქმის შეუძლებელი ხდება კონტროლის სრულყოფილად განხორციელება.

აღურიცხავობის მასშტაბებზე მიანიშნებს აღრიცხული პროდუქცია დღეში საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. 6 თვის მონაცემებით აღირიცხა: ფქვილი - 40 გრ. პურ-ფუნთუშეული - 48 გრ. მაკარონი - 2,3 გრ. ძეხვი - 0,59 გრ. მცენარეული ზეთი - 2,9 გრ. ნაყინი - 2 გრ. მინერალური წყალი - 14 გრ. საპონი - 1,7 გრ. ნავთი - 12 გრ და ა.შ.

ამ და სხვა აღურიცხავი რეზერვების ათვისებას ითვალისწინებს პრეზიდენტობის კანდიდატი წინასაარჩევნო, გულუხვ დაპირებებში და მართლაც, თუ იქნება ხელისუფლების ნება, 20-25 ჭკვიანურად, ყოველმხრივ გათვლილი ანტიკორუფციული კომპლექსური ღონისძიებაც კი საკმარისია, რომ უპრობლემოდ, ყოველგვარი ადმინისტრირების გარეშე იქნას მობილიზებული ბიუჯეტში მინიმუმ 3 მლრდ ლარი, რაც სრულად უზრუნველყოფს პენსია-ხელფასების არათუ 2-ჯერ, 4-ჯერ, ხოლო სხვა დაცული მუხლების დაფინანსების 2-ჯერ გადიდებას, დარჩენილი თანხები კი მოხმარდება მეწარმეთა სუბსიდირებას.

დღეს ძნელად სარწმუნოა, რომ ახალ სახეებში გარეულ, დემოკრატ-ნაციონალისტების მანტიამოსხმულ, ინერტულობასა და თვითდინებას შეჩვეულმა ჩინოვნიკებმა, რომლებიც გუშინ უსუსური არგუმენტებით გვიბლოკავდნენ ბიუჯეტში ასობით მილიონი ლარის მობილიზების გარანტიის შემცველ ანტიკორუფციულ კანონპროექტებს, კანონპროექტებს, რომლებიც დღეს დამტვერილი ინახება სახელმწიფო კანცელარიის ლაბირინთებში, რაიმე სასიკეთო მოისურვონ და ფეხი აუწყონ პრეზიდენტობის კანდიდატის ჩვეულ ტემპს.

წინათგრძნობის გამართლებაზე მიგვანიშნებს ხსენებული 70 მლნ ლარის კომპენსირების ფინანსთა სამინისტროს მიერ "მიგნებული რეზერვების" ათვისების ღონისძიება, რომელსაც, ჩვენი გათვლებით, კორუფციის სუნი უფრო უდის, ვიდრე კომპენსაციისა.

სხვა შეფასებას არ იმსახურებს კომპენსირების მიზნით წარმოდგენილი კანონპროექტი საწვავის იმპორტზე აქციზის გადიდების შესახებ, შედეგად ლეგალური და არალეგალური საწვავის დღევანდელი საშუალო ფასი მინიმუმ 40 თეთრით გაიზრდება, მიწათმფლობელს მიწის გადასახადის სახით გავუუქმეთ ჰექტარზე საშუალოდ 20 ლარი და ამავე ჰექტრის დამუშავებისათვის საჭირო ბენზინის ფასების გადიდებით დაემატება მინიმუმ 60 ლარი. ან როგორი იქნება საზოგადოების რეაგირება, როცა ფასები 30%-ით მაინც გაიზრდება ყველაფერზე, სადაც დანახარჯებში საწვავის ფასი ფიგურირებს. საკითხავია, ხომ არ ემსახურება აღნიშნული "ღონისძიება" სოციალური პრობლემების გაუარესებას, უკმაყოფილოთა გაორმაგებას, რომ მომავალ პრეზიდენტს სიტყვა გაუმტყუნდეს. იქნებ სჯობდა, საწვავის აქციზის დღევანდელი განაკვეთის შემცირებითა და სრული ლეგალიზაციით, მიგვეღწია 3-ჯერ მეტი თანხის კომპენსირებისათვის და შეგვენარჩუნებინა დღევანდელი ფასები.

მისასალმებელია და ლიდერთა დაპირების შესრულების ტიპური მაგალითია სოციალურად დაუცველი ფენების დახმარების მიზნით სიმდიდრის გადასახადის შემოღება გარეგნული ნიშნების მიხედვით, მაგრამ გართულდება ასეთ ფიზიკურ პირთა მიგნება და თანხების ამოღება. საქმე უფრო გამარტივდება, თუკი საგადასახადო სამსახურებში წარსადგენად დაკანონდება ზოგიერთი კატეგორიის ფიზიკურ პირთა ოჯახის ქონებრივი დეკლარაცია, დაუბეგრავი მინიმუმის - მემკვიდრული ქონებისა და 100 ათას ლარს ზევით არსებული ქონების 0,1 ან 0,2 %-ის "სოლიდარობის" ფონდში აკუმულირება კი დაგვეხმარებოდა მის მიზანმიმართულად განკარგვაში.

რევოლუციის ლიდერთა დაპირების შესრულება ბიუჯეტზეა დამოკიდებული, ბიუჯეტი – დასაბუთებულ, მაღალეფექტურ ღონისძიებებსა და მის ავტორებზე. სამწუხაროდ, გაუთვლელი ღონისძიებები თავისი უარყოფითი შედეგებით არცთუ იშვიათია. როცა პურის ცხობის სისტემის საწარმოებს დავუკანონეთ ფიქსირებული გადასახადი ღუმელების ფართის მიხედვით, ნებისმიერი წარმოშობის ფქვილის გადამუშავებისა და ღუმელების კონსერვაციის აქტის წარმოდგენის უფლება მივეცით, არავინ გამოთვალა შესაძლო კორუფცია და რა მივიღეთ? წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა აღურიცხავობა და 11 თვეში შემცირდა: ცხობა - 10%-ით და ფქვილის აღრიცხული მოხმარება 1 სულ მოსახლეზე 40 გრ-მდე, ბიუჯეტმა კი მთელი სისტემიდან მიიღო მხოლოდ 917 ათასი ლარი, როცა ხუთსიტყვიანი კანონით (მარცვლის იმპორტზე აქციზის 5-7 პროცენტამდე შემცირებით) გათანაბრდებოდა იმპორტული და სამამულო წარმოების ფქვილის ფასები, ამუშავდებოდა 10-მდე წისქვილ-კომბინატი, დასაქმდებოდა 4 ათასამდე კაცი, ძალაუნებურად დამყარდებოდა წესრიგი, ხოლო ბიუჯეტი დამატებით მიიღებდა 300 მლნ ლარს. მაღალჩინოსნებში არც მაშინ გამოჩნდნენ "ნაწერს უკან კითხვის" ოსტატები, როცა ბაზრებსა და ბაზრობებს სავაჭრო ფართზე დაუსაბუთებლად გაუდიდეს გადასახადები. მივიღეთ ის, რომ კონტროლირებადი ბაზრებიდან მოვაჭრეებმა გადაინაცვლეს არაკონტროლირებად, გარე მოვაჭრეთა ბაზრობებზე, სანახევროდ დაიცალა ცენტრალური სუპერმარკეტი, ნავთლუღისა და საბურთალოს ბაზრები, პრობლემები შეექმნა სხვა ბაზრობებსაც.

გადაუდებელი ღონისძიებების განხილვა-დანერგვის წესების მიმართ ასეთმა მიდგომამ ბიუჯეტის სეკვესტრები, საბიუჯეტო კრიზისი, უმუშევრობა და სიღატაკე ჩვენი ცხოვრების ნორმად აქცია. დიდი რეზერვების მქონე ქვეყანაში ასეთი არასავალალო მემკვიდრეობა ერგოთ "ვარდების რევოლუციის" ლიდერებს - მემკვიდრეობა, რომელიც კიდევ მრავალ პრობლემას წარმოშობს, თუ დროულად არ უარვყავით მზა რეცეპტებით ქვეყნის მართვის ტრაფარეტული სტილი. და მაინც, ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი წელი და რა ჩაიწერება 4 და 25 იანვარს დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს უახლესი ისტორიის პირველ ფურცლებზე.

# გავზარდოთ თუ შევამციროთ გადასახადები?!

*ახალი ხელისუფლების მიერ უკვე გადადგმული პირველი ეკონომიკური ნაბიჯები ექსპერტებს შორის საკმაოდ ბევრ კითხვას ბადებს. ხელისუფლება, ერთი მხრივ, აუქმებს მიწის გადასახადს, მეორე მხრივ კი ზრდის გადასახადებს ზოგიერთი სახის პროდუქციაზე. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ მთავარია ადმინისტრირების მოწესრიგება და არა გადასახადების განაკვეთების უთავბოლო ცვლილებები.*

ეთერ მამულაშვილი

**თემურ მიმინოშვილი "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია":**

იმის თეორიული შანსი, რომ აქციზის მომატების შემთხვევაში ბიუჯეტში ბევრი ფული შევა, რა თქმა უნდა, არსებობს; მაგრამ აქ არის მეორე, უფრო რეალური საშიშროება იმისა, რომ ბიზნესის ჩრდილოვანი ნაწილი კიდევ უფრო გაიზარდოს. ამ მექანიზმით, ანუ აქციზის მომატებით, კორუფციის აღმოფხვრა ნაკლებად არის მოსალოდნელი, თუკი ადმინისტრირება არ გაუმჯობესდა. ასევე განსაკუთრებული შედეგები არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ლიბერალიზაციის შემთხვევაში, თუმცა ერთი რამ ცხადია: ამ ადმინისტრირების პირობებში აქციზის გაზრდა, პრაქტიკულად, გამოიწვევს პროდუქციის ჩრდილოვან ეკონომიკაში მოქცევას, ანუ, როგორც უკვე აღვნიშნე, ბიზნესის "გაშავებას"; უფრო მეტად გაიზრდება კონტრაბანდა და იმპორტირებული საქონელი დაიმალება, ამიტომ, თუკი აქციზი მოიმატებს, ადმინისტრირებაც უნდა გაუმჯობესდეს.

**ნოდარ ხადური ფინანსთა მინისტრის მოადგილე:**

1 ივლისიდან თამბაქოს პროდუქტი, გარდა აქციზისა, დღგ-თიც დაიბეგრება. ეს, ბუნებრივია, თამბაქოზე ფასების ზრდას გამოიწვევს. ნავთობპროდუქტებსა და თამბაქოზე აქციზის გაზრდაზე საუბარი, ჯერჯერობით, არ არის, ამიტომ არც ფასების აწევას და ცხოვრების გაძვირებას უნდა ველოდოთ. იმ მოსაზრებას, რომ თითქოს გადასახადების განაკვეთის შემცირება კორუფციის მასშტაბებს შეამცირებს, არ ვეთანხმები. კორუფციას მხოლოდ კარგი ადმინისტრაცია და ორგანიზება შეამცირებს. გადასახადები ძალიან მაღალია ინგლისში, შვეციასა და შვეიცარიაში, ხოლო ძალიან დაბალია საქართველოში, აზერბაიჯანსა და რუსეთში. სად უფრო მეტია კორუფცია?

**შოთა გვენეტაძე "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია":**

იქ, სადაც ადმინისტრირების პრობლემა არსებობს, გადასახადის ვერც შემცირება და ვერც გაზრდა ქვეყანაში მნიშვნელოვან ცვლილებას ვერ მოიტანს. პირველ რიგში, ქვეყანამ უნდა მოაგვაროს ადმინისტრირების პრობლემა და ამისთვის რადიკალური ნაბიჯები გადადგას. პირველი, რაც ამ კუთხით უნდა გაკეთდეს, ჩემი აზრით, არის ის, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდოს იმ ადამიანთა ხელფასი, ვისაც გადასახადების აკრეფა ევალება.

# ხათამი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა


მოჰამედ რეზა ხათამი

ირანის "გუშაგთა საბჭოს" მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, რეფორმატორი კანდიდატების უმრავლესობას თებერვალში დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალა. გუშაგთა საბჭო კი, როგორც ცნობილია, სასულიერო პირებისაგან შემდგარ, კონსერვატიულ ორგანოს წარმოადგენს და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდი გავლენა გააჩნია. გუშაგთა საბჭოს ისლამური რევოლუციის მონაპოვარის დაცვა და შენარჩუნება ევალება.

ირანის ამჟამინდელ პარლამენტში რეფორმატორებს უმრავლესობა უკავიათ. მათმა დიდმა ნაწილმა საბჭოს გადაწყვეტილებას, პროტესტის ნიშნად, სხდომათა დარბაზის დატოვებით უპასუხა. თუმცა, მოგვიანებით ისინი კვლავ შეიკრიბნენ და აცხადებენ, რომ პარლამენტის დატოვებას აღარ აპირებენ. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რამდენ რეფორმატორ პოლიტიკოსს აეკრძალა არჩევნებში მონაწილეობა. თუმცა, ადგილობრივი მედიის ცნობით, დისკვალიფიკაცია დაახლოებით ორასამდე ირანელ პოლიტიკოსს შეეხება.

რეფორმატორი დეპუტატების განცხადებით, "შავ სიაში" მოხვედრილი, დაახლოებით, 80 ადამიანი მოქმედი პარლამენტარია. მათ შორის მეჯლისის სხვადასხვა ფრაქციების ლიდერებიც არიან.

უკვე ცნობილი გახდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა აეკრძალა ირანის პრეზიდენტის მოჰამედ რეზა ხათამის ძმას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი რეფორმატორული პარტიის ლიდერი და პარლამენტის ვიცე-სპიკერია.

რაც შეეხება პარლამენტის სპიკერს მეჰდი ქარუბის, მას არჩევნებში მონაწილეობის უფლება დართეს, თუმცა ის აცხადებს, რომ კონსრვატორების გადაწყვეტილებით აღშფოთებულია.

მისი განცხადებით, კრიზისის გაღვივებამდე მოლაპარაკებები გამართა პრეზიდენტ ხათამისთან, ირანის სასულიერო ლიდერთან აიათოლა ხამენეისთან და რევოლუცის გუშაგთა საბჭოს ლიდერებთან. თუმცა, მისი ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. მიუხედავადა ამისა, მეჰდი ქარუბი აცხადებს, რომ ბრძოლას ბოლომდე გააგრძელებს.

საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა ირანის პრეზიდენტი მოჰამედ ხათამი. ის აცხადებს, რომ მზად არის, საჭიროების თანახმად გამოიყენოს თავის კონსტიტუციური უფლება და შექმნილი ვითარება კარდინალურად შეცვალოს.

ვიდრე ხათამი საქმეში აქტიურად ჩაერევა, დისკვალიფიცირებულ დეპუტატებს სააპელაციო სასამართლოში გუშაგთა საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ.

რეფორმატორული მოძრაობის წარმომადგენლებმა უკვე მიმართეს განცხადებით ქვეყნის პრეზიდენტს და მოუწოდეს, რომ კონსერვატორთა წინაშე უკან არ დაიხიოს.

თავად რეფომატორები ხათამის პოლიტიკურ ბრძოლაში აქტიურ მხარდაჭერას ჰპირდებიან.

ასეთივე მხარდაჭერას აღუთქვამენ გუშაგთა საბჭოს კონსერვატორები, რომლებიც პრეზიდენტ ხათამის რეფორმატორულ კურსს მკვეთრად ეწინააღმდეგებიან.

დამკვირვებლები არ გამორიცხავენ, რომ ირანში შესაძლოა სერიოზული პოლიტიკური კრიზისი გაღვივდეს.

# ბაიკანურს რუსეთი 2050 წლამდე გამოიყენებს


ბაიკანურის კოსმოდრომი.

ყაზახეთში ვიზიტით მყოფმა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა თავის ყაზახ კოლეგასთან ერთად ბაიკანურის კოსმოდრომის საკითხზე კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება შეძლო. რუსეთი დაჟინებით ითხოვდა, რომ 2014 წლის შემდეგ, კოსმოდრომის იჯარის ვადა 50 წლით გაგრძელებულიყო. ასტანა კი ალტერნატიულ ვარიანტს ემხრობოდა, რომლის თანახმადაც, რუსეთს კოსმოდრომი იჯარით 2044 წლამდე უნდა გადასცემოდა. ნაზარბაევის მოტივაცია ნათელი იყო: ის იჯარის გახანგრძლივებას მცირე ვადებით ცდილობდა, რომ რუსეთთან სავაჭრო რაც შეიძლება დიდ ხანს ჰქონოდა.

თუმცა, ორივე მხარემ შეძლო დათმობაზე წასვლა. გადაწყდა, რომ ბაიკანურის კოსმოდრომს რუსეთი 2050 წლამდე გამოიყენებს. ამასთანვე იჯარის პირობები უცვლელი დარჩა. რუსეთი ყაზახეთს ყოველწლიურად 115 მილიონ დოლარს გადაუხდის. "ჩვენ კოსმოსის ათვისების მიზნით ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ, ამ სიტყვის ფართო გაგებით. ჩვენ შესაბამისი გეგმები გვაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ ამ გეგმების რეალიზებას წარმატებით მოვახერხებთ," - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ასტანაში ვიზიტის დროს ვლადიმირ პუტინი ყაზახეთში "რუსეთის წლის" გახსნის საზეიმო ცერემონიალს დაესწრო. გახსნის დროს მან განაცხადა, რომ 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ის რუსეთის ტერიტორიას აღარ დატოვებს და, ამდენად, ყაზახეთის ვიზიტს კრემლის მესვეურმა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა მიანიჭა. "ჩვენ ყაზახეთთან კეთილ მეზობლობას ვუფრთხილდებით. ჩვენთვის თქვენი ქვეყანა უახლოესი მეგობარია," - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

ასტანაში მიღწეული შეთანხმების თანახმად, რუსეთი და ყაზახეთი ბაიკანურის კოსმოდრომზე ერთობლივ კომპლექსს – ბაიოტრეკს შექმნიან, საიდანაც "ანგარის" ტიპის რაკეტების გაშვება მოხდება.

# ერაყთან რუსეთის იარაღით ვაჭრობა დასტურდება

აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, მათ ხელთ აქვთ ახალი მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც ერაყში ომის დაწყებამდე რუსული ფირმები სადამის რეჟიმთან იარაღით აქტიურად ვაჭრობდნენ. სააგენტო "ბიბისის" ცნობით, ვაშინგტონში აცხადებენ, რომ, ძირითადად, საუბარი ღამის მხედველობით და თანამგზავრული სიგნალების ჩახშობის მოწყობილობებს შეეხება.

ეს თემა ამერიკელებმა ჯერ კიდევ მარტში წამოწიეს წინა პლანზე. ვაშინგტონი აცხადებდა, რომ რუსეთი ერაყისათვის სამხედრო ტექნოლოგიების მიყიდვით გაერო-ს გადაწყვეტილებებს არღვევდა.

ამ ბრალდებაზე მოსკოვი აცხადებდა, რომ მის მიერ ნაკისრი არც ერთი საერთაშორისო ვალდებულება არ დაურღვევია. იგივე განაცხადეს იარაღით ვაჭრობაში დადანაშაულებულმა ფირმებმა – "ავიაკონვერსიამ" და ტულის აღჭურვილობების კონსტრუქტორულმა ბიურომ.

ცოტა ხანში, ვაშინგტონმა ტულის იარაღის ქარხანა ოფიციალურად დაადანაშაულა ჰუსეინისათვის "კორნეტის" ტიპის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების მიყიდვაში და სანქციებიც დაუწესა. საბოლოოდ, სკანდალი მინელდა. და აი, ვაშინგტონმა კრემლს სადამის რეჟიმთან იარაღით ვაჭრობის ბრალდება კვლავ წაუყენა.

**"ჩვენ მაშინ რთული პერიოდი გადავიტანეთ და დღემდე ვერ მივიღეთ რუსეთისგან დამაკმაყოფილებელი პასუხი იმ კითხვებთან დაკავშირებით, რომელიც ომის დროს წარმოიშვა. მე დღეს რისი თქმაც შემიძლია, არის ის, რომ ეს ფაქტები დღეს უკვე დასტურდება,"** - განუცხადა სააგენტო "ბიბისის" აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა ჩარლზ რისმა. კონკრეტული ბრალდებების ჩამოთვლისაგან, ვაშინგტონი ჯერ თავს იკავებს. თუმცა, პირველი ბრალდება ზემოაღნიშნული ტექნოლოგიების მიყიდვას შეეხება.

**"ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რომ ომის დროს GPS-სისტემის თანამგზავრულ სიგნალებს ერაყელები რუსული ტექნოლოგიების მეშვეობით ახშობდნენ,"** - აცხადებს ჩარლზ რისი. ამასთანვე, უკვე დადასტურებულია, რომ პირველი და მეორე ერაყული კამპანიების დროს, რუსული ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებით, ერაყელებმა ორი ამერიკული ტანკის განადგურება შეძლეს.

# იმპერატორი დემოკრატიული ტანსაცმლის გარეშე

ვლადიმერ სოკორი

"ნანგრევების ქვეშიდან" – ასე ერქვა ცნობილი საბჭოთა დისიდენტების მიერ შედგენილ კრებულს. საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში ავტორები თავიანთ თანამოქალაქეებს მოუწოდებდნენ, თავი დაეღწიათ იმ ნანგრევებიდან, რომლებადაც გადააქცია სისტემამ საბჭოთა ადამიანი და საზოგადოება. ორი ათეული წლის შემდეგ, რუსული პოლიტიკური სისტემა, უკან, ნანგრევებში მიძვრება და საზოგადოება მას უკანმოუხედავად მიჰყვება.

პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც დისიდენტები ხსენებულ წიგნს წერდნენ, ახლა სრულდება: რუსეთი უარს ამბობს კომუნისტებსა და მათ იდეოლოგიაზე და, სანაცვლოდ, სახელმწიფოს საფუძვლად "კაგებესა" და რუსულ ნაციონალიზმს ირჩევს. 80-იანი წლების ჩაშლილმა პერესტროიკამ და 90-იანი წლების უშედეგო რეფორმებმა მხოლოდ დროებით შეაფერხა ჩანაცვლების პროცესი. "კაგებიზირებული" სახელმწიფოს სიმბოლომ, ვლადიმირ პუტინმა, ეს პროცესი წარმატებით მიიყვანა ბოლომდე. ამ შინაგან პროცესს საგარეო გამოხატულებაც აქვს - ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსია.

დასავლეთის სახელმწიფოებს ამ ტენდენციის დანახვა და მასზე რეაგირება დიდად არ სიამოვნებთ. ამის მიზეზი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა, მაგრამ ეს ანაქრონიზმი ყველგან თვალშისაცემია. დროა, დასავლეთი გათავისუფლდეს არასწორი შეფასებების, სტრატეგიული შეცდომებისა და ვარდისფერი სათვალით ყურების ათწლიანი ჩვევისაგან.

სამი წლის წინ, როდესაც ჯორჯ ბუში და რესპუბლიკელები ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ, მათ მკაცრად გააკრიტიკეს დემოკრატების პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში. კრიტიკის პირველი მიზეზი ამ პოლიტიკის უკიდურესი პერსონიფიცირება იყო: ვაშინგტონის რუსული პოლიტიკა კლინტონ-ელცინის პირად ურთიერთობას და მოსკოველი კვაზირეფორმატორებისადმი ვაშინგტონის მხარდაჭერას ეყრდნობოდა და მეორე - ჩვეული ნორმა იყო პრობლემებისა და შეცდომების დაფარვა, რაც შემდგომში სტრატეგიულ გათვლებში შეცდომებს იწვევდა.

სამწუხაროდ, 11 სექტემბრის შემდეგ, ურთიერთობების პერსონიფიკაციამ და შეცდომების დამალვამ ახალ სიმაღლეებს მიაღწია. როდესაც პრეზიდენტი ბუში პუტინს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის მშენებლობაში გადადგმული ნაბიჯებისათვის აქებს, ეს იმას ნიშნავს, რომ თეთრ სახლს არ სურს, რეალობას თვალებში ჩახედოს და პრობლემების არსებობა აღიაროს.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ რაკი რუსეთი ჩვენი მოკავშირეა ტერორიზმის წინააღმდეგ ომში, მასთან რბილად მოპყრობა აუცილებელია. პუტინმა ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები. პირიქით, მან ობსტრუქცია გაუწია ერაყის ომს, სცადა ჩამდგარიყო ვაშინგტონსა და იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ბირთვული იარაღის შექმნას ცდილობენ და მოისურვა, ერთმანეთისთვის წაეკიდებინა აშშ და ევროკავშირი. იმის ნაცვლად, რომ კომერციული ენერგომატარებლების სტაბილური მომწოდებელი ყოფილიყო, იგი შეეცადა, ენერგეტიკა სტრატეგიულ ბერკეტად გამოეყენებინა.

გასულ წელს პუტინმა და მისმა თანამებრძოლებმა წარმატებით მიიყვანეს ბოლომდე რუსული დემოკრატიისათვის საფლავის გათხრის პროცესი. სახელმწიფომ მსხვილი ტელეარხების მონოპოლიზება მოახდინა და ისინი პროპაგანდისტულ მანქანებად აქცია, წარმატებით გაგრძელდა საზოგადოებრივი ცხოვრების მილიტარიზაცია, სახელშეცვლილი "კაგებეს" ოფიცრებმა წამყვანი სახელმწიფო და პოლიტიკური თანამდებობები დაიკავეს. სწორედ მათი დამსახურებაა მზარდი ანტი-დასავლური განწყობილებები რუსეთში. გაყალბდა დეკემბრის საპარლამენტო არჩევნები და ახლა საკანონმდებლო ორგანო სამი სახელისუფლო პარტიისა და კომუნისტებისაგან შედგება.

ამასთან ერთად, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რუსულ ორბიტაში დაბრუნება უკვე ოფიციალურ პოლიტიკად იქცა. რუსეთში დემოკრატიის მარცხმა იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკას საბოლოოდ გაუხსნა გზა. ამ პოლიტიკას რუსეთი კლასიკური, ეტაპობრივი გზით განახორციელებს იმ იმედით, რომ მის მიერ გადადგმული პატარ-პატარა ნაბიჯები დასავლეთის მხრიდან ძლიერ წინააღმდეგობას არ გამოიწვევს. ნელ-ნელა ეს პოლიტიკა გამოიწვევს იმას, რომ დასავლეთს გადაეკეტება გზა ცენტრალური აზიისა და კავკასიის ნავთობისა და გაზისაკენ, აღარ ექნება კორიდორი და საფრონტო ბაზები ანტიტერორისტული ოპერაციების საწარმოებლად და, ბოლოს, ევროატლანტიკური სივრცის საზღვარზე ახალი სამხედრო საფრთხე გაჩნდება.

დასავლეთის პასუხი რუსეთის ამ პოლიტიკაზე უნდა იყოს ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოება იქამდე, სანამ ამ ორგანიზაციებში რაიმე ფორმით არ აღმოჩნდებიან უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო და აზერბაიჯანი, და სანამ დასავლეთს არ გაეხსნება გზა აღმოსავლეთ კასპიისპირეთის ნავთობისა და გაზისაკენ. ეს ახლა დასავლეთის "ახლო საზღვარგარეთია".

ბელარუსი ევროპის გულში მდებარეობს, მოლდოვა – კონტინენტის სტრატეგიულად მნიშვნელოვან, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, უკრაინის დამოუკიდებლობა კი – ცივი ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული შედეგია. სამივე ეს ქვეყანა ნატო-სა და ევროკავშირის ორბიტის გარეთ არის დარჩენილი. კრემლის გააქტიურებამ და დასავლეთის პასიურობამ სამივე ამ ქვეყანაში შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ბალტიისა და შავი ზღვების შემაერთებელ ყელზე ახალი გამყოფი ხაზი გაჩნდეს.

ამ რეგიონში, რომელიც ისტორიულად დასავლეთის კარიბჭეს წარმოადგენს, მდებარე ბელარუსსა და მოლდოვას საბჭოთა სტილის რეჟიმები მართავენ და თავიანთ ხელისუფლებაში ყოფნას, პირველ რიგში, კრემლთან კავშირს უმადლიან. პრო-დასავლური ძალები უფრო ძლიერია უკრაინაში, თუმცა კრემლი ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ მომავალ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში პრორუსულ პარტიებს გაამარჯვებინოს. მოსკოვს რუსეთ-უკრაინის ბლოკის შექმნის იმედი აქვს.

დასავლეთის ქვეყნებმა არ უნდა დაუშვან, რომ მათ მეზობელ ქვეყნებში დემოკრატიულ და პროდასავლურ ძალებს იგივე ბედი ეწიოთ, რაც რუსეთში ხვდათ. უკრაინასა, ბელარუსსა და მოლდოვაში აუცილებელია დემოკრატიული პარტიების დაუყოვნებელი და სერიოზული მხარდაჭერა. ამ სახელმწიფოთა სტრატეგიული მნიშვნელობა და მათ საქმეებში რუსეთის ჩარევა აშკარაა, შესაბამისად, დასავლეთის პასიურობას არავითარი გამართლება არ ექნება.

საჭიროა დემოკრატიული პარტიების ფინანსური მხარდაჭერა, მათი ტრენინგი, ადმინისტრაციული ჩარევისაგან დაცვა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მათი სისტემატური გამოჩენა. სამივე ქვეყანაში მომავალი არჩევნები გადაწყვეტს, შეურთდებიან ისინი ევრო-ატლანტიკურ სამყაროს, თუ მის მიღმა დარჩებიან.

რაც შეეხება საქართველოსა და აზერბაიჯანს, მათი მოსახლეობის პროდასავლური ორიენტაცია ეჭვს არ იწვევს. აქ მთავარი საფრთხე სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტეში და ლოკალურ კონფლიქტებში მდგომარეობს. ეს პრობლემები კომუნისტური პერიოდიდან მემკვიდრეობით დარჩა. მათით მანიპულირებას დიდი მონდომებით ცდილობს რუსეთი.

სახელმწიფოს სისუსტის აღმოფხვრას სპეციალური პროგრამების მეშვეობით ცდილობს აშშ. ევროკავშირი ადმინისტრირების სისტემისა და შესაბამისი ინსტიტუტების გაუმჯობესებას უნდა ცდილობდეს (მიუხედავად რეგიონში ეკონომიკური და ენერგეტიკული ინტერესებისა, ევროკავშირი კავკასიაში არც ისე აქტიურია).

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დიდი ხნის ნალოდინევი გახსნა საქართველოსა და აზერბაიჯანს პოლიტიკურად და ეკონომიკურად საიმედოდ დააკავშირებს დასავლეთთან. ამ ქვეყნების სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები მანამ არ გადაიჭრება, სანამ მოუგვარებელი რჩება სეპარატისტული კონფლიქტები და ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებული საკითხები. სამხრეთ კავკასიის პრობლემების გადაჭრა ევროპის, აშშ-სა და ნატო-ს შორის მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს.

ევროკავშირისა და ნატო-ს ახალ წევრებს, ბალტიის ქვეყნებიდან დაწყებული და რუმინეთითა და ბულგარეთით დამთავრებული, ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლიათ. დასავლეთს, უბრალოდ, არ შეუძლია დაუშვას, რომ მისი საზღვრების გასწვრივ პროდასავლურმა, დემოკატიულმა ძალებმა მარცხი განიცადოს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საერთო სამოქალაქო მოძრაობამ "მრავალეროვანმა საქართველომ", ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის მიზნით, სპეციალური კანონპროექტი შეიმუშავა.

კანონპროექტი ეთნიკური უმცირესობების ეროვნული, ენობრივი, რელიგიური ნიშნით დაცვას და მათ ქვეყნის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას ითვალისწინებს.

სომხური სათვისტომოს თავმჯდომარის არნოლდ სტეფანიანის ინფორმაციით, კანონპროექტი 10-გვერდიანია, მასზე მუშაობა 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. "კანონპროექტი შედგენილია საქართველოს კონსტიტუციის ყველა მუხლის დაცვით და საერთაშორისო ორგანიზაციების კონვენციის გათვალისწინებით," - აღნიშნა სტეფანიანმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს სომეხთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პარლამენტის წევრი ვან ბაიბურთი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ეროვნული უმცირესობები ეწინააღმდეგებიან სახელმწიფო დროშად ხუთჯვრიანი დროშის დაწესებას.

ვან ბაიბურთის განცხადებით, საქართველოში მუსულმანების გარდა, სხვა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც ცხოვრობენ, რომელთათვის დროშაზე ჯვრის გამოსახვა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. "ქვეყანაში ჰერალდიკის შეცვლამ ეთნიკური უმცირესობების ნეგატიური დამოკიდებულება არ უნდა გამოიწვიოს," - აღნიშნა ბაიბურთმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შპს „საოკეანო სანაოსნო კომპანია“ მზადაა გაფიცულ მეზღვაურთა დასაქმებას შეუწყოს ხელი. კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილის ვლადიმერ შელიას განცხადებით, უახლოეს თვეებში კომპანია სამხრეთ კორეაში აშენებულ ორ ახალ ტანკერს მიიღებს, სადაც 100-მდე მეზღვაურის დასაქმება გახდება შესაძლებელი. თუმცა ამისათვის მათ სათანადო კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეთ.

"იმ 13 მეზღვაურიდან, რომლებიც სანაოსნო კომპანიის ოფისში შიმშილობენ და კომპანიის ხელმძღვანელობას კორუფციაში ადანაშაულებენ, ხუთმა ადრე, დასაქმების მიზნით, კომპანიაში ტესტირება ვერ გაიარა, რადგან მათი კვალიფიკაცია დაბალი აღმოჩნდა," – თქვა შელიამ. თუმცა, კომპანიაში მზად არიან, მეზღვაურთა კანდიდატურები კიდევ ერთხელ განიხილონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე მტკნარი წყლის რაოდენობა მნიშვნელოვნად კლებულობს. როგორც გარემოსდამცველები აცხადებენ, მეოცე საუკუნეში მოსახლეობის გასამმაგების გამო სუფთა წყლის მოხმარება ექვსჯერ გაიზარდა. დღესდღეობით კი მსოფლიოს მდინარეების 20 პროცენტი მოიხმარება.

რაც შეეხება საქართველოს სანაპირო ზოლს, იქ არსებული კოლხეთის უნიკალური ჭაობები მტკნარი წყლის რესურსებით გამოირჩევა. ეს ჭაობები მდიდარია ფლორითა და ფაუნით. ბუნებრივი ეკოსისტემების კონსერვაციას და, მათ შორის, ჭაობების შენარჩუნებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს "მწვანეებმა" გერმანიის საელჩოს დახმარებით თბილისში მაკულატურის შემგროვებელი ქსელის ჩამოყალიბება დაიწყეს. "მწვანეთა" ბრიგადები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და მოსახლეობიდან მეორადი ქაღალდის მაკულატურის ამოღებას და გადამამუშავებელი ქარხნისთვის მიწოდებას შეეცდებიან.

როგორც მწვანეები აცხადებენ, საქართველო ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 6 კილოგრამ ქაღალდს მოიხმარს. მისი დიდი ნაწილი თბილისისა და სხვა დიდი ქალაქების ნაგავსაყრელებზე ხვდება, რაც არსებული ნარჩენების 37 პროცენტს შეადგენს.

სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად შეიქმნა პროექტი - „თბილისში მაკულატურის შემგროვებელი ქსელის ჩამოყალიბება“. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი გარემოსდამცველები შეშფოთებას გამოთქვამენ საქართველოში ერთჯერადი პოლიეთილენის ბოთლების მრავალჯერადად გამოყენების გამო.

გარემოსდამცველთა თქმით, საქართველოსთვის ეს კვლავ ერთ-ერთ გადაუჭრელ პროლემად რჩება. გარდა ამისა, ამ ბოთლების უდიდესი ნაწილი სხვა ნაგავთან ერთად ქუჩის ბუნკერებში და ნაგავსაყრელებზე სისტემატურად იწვის, რაც ტოქსიკური აირებით აბინძურებს გარემოს.

ცნობილია, რომ პოლიეთილენის ბოთლების უდიდესი ნაწილი ადგილობრივი წარმოებისაა, რომელთა დასამზადებლად ნედლეული საზღვარგარეთიდან შემოდის. მოსახლეობა ნაკლებადაა ინფორმირებული პოლიეთილენის ბოთლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერიამ უკვე გამოყენებული ერთჯერადი პლასტმასის ბოთლების მიმღებ პუნქტებში ჩაბარება ოფიციალურად აკრძალა, ჩვენთან ეს პრობლემა კვლავ მოუგვარებელია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედამიწაზე სწრაფი დათბობის შედეგად 21-ე საუკუნის მეორე ნახევარში შესაძლოა სახმელეთო ფლორა და ფაუნა გაქრეს. ასეთი პროგნოზი გააკეთეს მეცნიერებმა ბიოსფეროს ევოლუციის ახალი მოდელის საფუძველზე.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მაქსიმალურად საუკეთესო პირობები შეიქმნება, რაც არცთუ ისე რეალურია, 21-ე საუკუნის მეორე ნახევარში ხმელეთის მცენარეთა და ცხოველთა 10 პროცენტს გადაშენების საფრთხე ემუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მეურნეობებში გამოყვანილი თევზის საკვებად გამოყენება ადამიანის ორგანიზმში სიმსივნური დაავადებების რისკს ზრდის. ევროკავშირის ქვეყნების მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილი ატლანტიკური ორაგულის ქიმიური ანალიზის შედეგად, მეცნიერებმა დაადგინს, რომ თევზების უმრავლესობა საშიში რაოდენობის კარცეროგენურ ნივთიერებებს – ორგანიქლორებს შეიცავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** განათლების სამინისტროში ახალი ხელმძღვანელის დანიშვნის შემთხვევაში, განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს საფრთხე არ ემუქრება, – ვარაუდობენ ამ პროექტის ფარგლებში შექმნილი რეფორმისტული ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც საკადრო ცვლილებების გატარებას არ გამორიცხავენ. მათივე განმარტებით, რეფორმა, რომელიც მსოფლიო ბანკიდან გამოყოფილი 60-მილიონიანი კრედიტით ფინანსდება, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია და საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამერიკელებს ე.წ. ძროხის ცოფის არ ეშინიათ. ამაზე კომპანია „გელაპის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვა მეტყველებს. ძროხის და ფრინველის ხორცის რეალიზაცია ქვეყანაში არ შემცირებულა, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში ძროხის ცოფის ერთი შემთხვევა უკვე გამოვლინდა.

გამოკითხულთა მხოლოდ 17 პროცენტმა აღნიშნა, რომ ხორცის მოხმარება შეამცირა ან შეწყვიტა. მის შემდეგ, რაც დეკემბერში აშშ-ში ძროხის ცოფის შემთხვევა გამოვლინდა, საქონლის ხორცზე ფასები დაეცა. მყიდველების უმეტესობა ხორცის მოხმარების შემცირებას არ აპირებს. მათ სჯერათ, რომ ინფიცირებული ხორცი რეალიზაციაში არ მოხვდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრიარქოს ახალგაზრდული კავშირი „ძლევაი“ თბილისის მხედველობადაქვეითებული სკოლა-ინტერნატების მოსწავლეებისთვის ას-ასი ლოცვანისა და სახარების დაბეჭდვას სპეციალური, ე.წ. ბრაილის შრიფტით აპირებს. წიგნები, სავარაუდოდ, იანვრის ბოლოს დაიბეჭდება.

როგორც ამ კავშირის ხელმძღვანელმა კოტე სვანაძემ განაცხადა, წიგნების დაბეჭდვას უსინათლოთა კავშირი უზრუნველყოფს, ხოლო ამ საქმიანობისთვის საჭირო თანხები შემოწირულობებითა და მეცენატთა დახმარებით შეგროვდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სს „თელასი“ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ცენტრალური სადისპეტჩეროდან ელექტროენერგიას კვლავ შეზღუდული რაოდენობით იღებს.

გუშინ დილიდან „თელასი“ საჭირო სიმძლავრეზე 50 მეგავატით ნაკლებ ელექტროენერგიას იღებს, რის გამოც ვარკეთილის, ისნისა და სამგორის რაიონებს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. **მედია-ნიუსი**

# 38 წელი მიწისქვეშა სიცოცხლის ლაბირინთებში

თამარ დვალი

*11 იანვარი მეტროპოლიტენის მუშაკთა დღეა. 38 წლის წინათ, თბილისის მეტროპოლიტენში პირველი მატარებელი დაიძრა. ამ ხნის განმავლობაში, მემანქანეებისთვის სამუშაო დღე დილის ექვსის ნახევარზე პირველი საცდელი მატარებლის გასვლით იწყება. გოჩა ჩიტიშვილი დამსახურებული მემანქანეა. იგი ამ ადგილზე მეტროპოლიტენის გახსნის დღიდან მუშაობს. როგორც ბატონი გოჩა აღნიშნავს, მისთვის ყველაზე კარგი პერიოდი კომუნისტების დროს იყო. მაშინ, როდესაც, წელიწადში ერთხელ დასასვენებლად უშვებდნენ და სხვა მრავალი შეღავათებიც ჰქონდათ დაწესებული. ყველაზე მძიმე პერიოდი კი მეტროპოლიტენის მუშაობაში 90-იანი წლები იყო, როდესაც საქალაქო ტრანსპორტი არ მუშაობდა და დენიც ხშირად ითიშებოდა.*


გუშინ მეტროპოლიტენის მუშაკთა სახელობის დღე იყო.

**“მალე, სულ მალე აგუგუნდება მძლავრი ლოკომოტივის ძრავი და პირველი მგზავრი სწრაფად მოილევს გზას დიდუბის სადგურიდან რუსთაველის სადგურამდე... თბილისის მეტროს მშენებლობა ნამდვილად ხალხთა ძმობის სიმბოლოა. ნუ დაიგვიანებთ, თორემ მეტროპოლიტენში დროს ნამდვილად ოქროს ფასი აქვს. ვაგონის კარი ავტომატურად გაიღება, ხოლო თუ დახურეს, მორიგ სადგურამდე აღარ გააღებენ, არც ხვეწნა გაგივა, არც მუქარა. უნდა ნახოთ, განიცადოთ, რა ამბავია მეტროპოლიტენის სადგურთა შესასვლელებში.”** – ასეთი პათოსით აუწყებდნენ 38 წლის წინათ ქართული გაზეთები მკითხველს მეტროპოლიტენის გახსნის შესახებ.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. გაიზარდა სადგურთა რაოდენობა. თუმცა, მეტროპოლიტენი კვლავ დილის ექვსი საათიდან ღამის პირველ საათამდე მუშაობს და ახლა გაცილებით მეტი მგზავრი გადაჰყავს.

რამდენიმე წლის წინათ, მეტრო ათასობით ადამიანებისათვის მგზავრობის გარდა, არსებობის საშუალებადაც იქცა. ყველა მეტროსადგურის ჩასასვლელსა თუ გადასასვლელ გვირაბს შორის, ნაირ-ნაირი საქონელი გამოიფინა და მეტროსადგურებმაც ძველი იერსახე დაკარგეს. აქ, ძირითადად, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი ხალხი ვაჭრობს.

მიუხედავად იმისა, რომ გუშინ მეტროპოლიტენის მუშაკთა სახელობის დღე იყო, მათთვის ეს დღე სხვებისგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა. როგორც გაირკვა, მათ თავიანთი იუბილე აღარც კი ახსოვდათ. **“ეჰ, რას იზამ, არც არავის გავხსენებივართ და მეც აღარ მახსოვდა... პირველი მატარებელი 1966 წელს დაიძრა და იმ დროიდან მოყოლებული, მეც აქ ვმუშაობ. ადრე კარგი დრო იყო. ბევრი შეღავათები გვქონდა, უფასოდ გვასვენებდნენ, კარგი ხელფასი და პენსია იყო ... ადამიანს, რომელიც თითქმის მთელ ცხოვრებას მიწის ქვეშ ატარებს, კარგი დასვენება სჭირდება, თუმცა, დღეს ეს უკვე შეუძლებელია. ძალიან მძიმე სამუშაო გვაქვს. გარდა იმისა, რომ მატარებელს ვმართავთ, დაძაბულები ვართ, რომ მგზავრები უსაფრთხოდ შევიდნენ და გამოვიდნენ ვაგონებიდან. შარშან ვიღაც გოგო მატარებელს წინ გადაუხტა და მემანქანემ შეჩერება ვეღარ შეძლო. ახლაც, ორი დღის წინათ, "ახმეტელის" სადგურში ვიღაც გადახტა ლიანდაგებში და, საბედნიეროდ, გადარჩენა მოახერხეს. 90-იან წლებში იყო შემთხვევები, როდესაც მემანქანეებს იარაღიანი ხალხი გვივარდებოდა და გვცემდა. ხშირად ირთვებოდა ელექტროენერგია, რის გამოც გვირაბში შუქნიშნები არ მუშაობდა და ავარიების საფრთხე იქმნებოდა. მოკლედ, მძიმე წლები გავიარეთ და ახლა მომავლის დიდი იმედი გვაქვს. ჩვენ ისეთი სამუშაო გვაქვს, რომ 55 წლის ასაკში პენსიაში უნდა გავდიოდეთ, თუმცა 14 ლარზე ცხოვრება შეუძლებელია და ამიტომ 60, 65 წლამდე ვმუშაობთ, “** – გვითხრა ვეტერანმა მემანქანემ გოჩა ჩიტიშვილმა.

მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, მემანქანეები 90-იან წლებში მომხდარ ამბებს ახლა ღიმილითაც კი იხსენებენ. მაშინ, როდესაც ყველას თავისუფლად შეეძლო მემანქანის კარები შეეღო და თავისი პრეტენზიები გამოეთქვა, მათ ვაგონში ერთი სვანიც შეჭრილა და მემანქანისთვის ულტიმატუმი წაუყენებია: დედა მყავს ცუდად და მერვე საავადმყოფომდე ისე უნდა იარო, რომ არსად გააჩეროო. იარაღმომარჯვებულ სვანს მემანქანემ უარი ვერ უთხრა და მგზავრებით სავსე მატარებელი გაუჩერებლად ატარა. ამავე პერიოდში, მეტროში ერთი ქართველიც დაბადებულა. ქალს მშობიარობა მეტროში დაწყებია და მემანქანეებს მგზავრებთან ერთად აღმოუჩენიათ მისთვის დახმარება. ასე რომ, ცუდ ამბებთან ერთად, კარგიც ბევრი აქვთ მოსაგონარი.

რაც შეეხება პრობლემებს, საბურთალოს მაცხოვრებლებისთვის და მემანქანეებისთვის დღეისათვის ყველაზე დიდ პრობლემას მეტროსადგურ “ვაჟა ფშაველას” ხაზის სრულფასოვანი გახსნა წარმოადგენს. თბილისის მერის ვანო ზოდელავას დაპირების მიუხედავად, ეს პრობლემა კვლავ მოუგვარებელი რჩება.

მართალია, მეტროპოლიტენი ღამის პირველ საათზე იკეტება, თუმცა, აქ მომსახურე პერსონალი მთელი ღამის განმავლობაში მუშაობს. ღამე სუფთავდება ლიანდაგები და ვაგონები. მოწმდება აპარატურა და, თუ დილით მუშებმა ნება არ დართეს, ვერც ერთი მემანქანე მატარებელს ვერ დაძრავს.

# ფოსტა და პენსიონერი ნადია

ზაზა ფაჩუაშვილი

*ფოსტა კაცობრიობის უსაყვარლესი გამოგონებაა, სანატრელი წერილების, ამანათების და ფულადი გზავნილების სიმბოლოა, რომლის დანახვა ან თუნდაც გახსენება ყოველთვის კეთილგანწყობილებასთან არის დაკავშირებული. ასეთი სახელის მქონე დაწესებულება ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ ადამიანებმა მას ყოველდღე მიაკითხონ, მაგრამ 77 წლის პენსიონერი ნადია ფოსტაში ყოველდღიურ ვიზიტს მისდამი უსაზღვრო სიყვარულით არ ხსნის.*


ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო
პენსიამდე აქ ვიჯდები

ქალბატონი ნადია თბილისის გარეუბანში მარტო ცხოვრობს და მისი ამქვეყნიური საქმიანობა მხოლოდ პენსიის აღებით შემოიფარგლება. ეს არის ერთადერთი მოქმედება, რომლისთვისაც ღვაწლმოსილი პენსიონერი დროს და ენერგიას არ იშურებს. დანარჩენი, მაგალითად, ნათურის ანთება, გაზქურის დანთება, "ფეჩის" აღუღუნება, მაცივრის გამოწმენდა, ტელევიზორის ჩართვა, რადიოს მოსმენა, გაზეთის წაკითხვა და სხვა ამგვარი წვრილმანები მისგან ძალისხმევას არ მოითხოვს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი დასახელების საგნები ქალბატონი ნადიას ბინაში არ მოიძებნება. ბოლო ხანებში ეს ჩამონათვალი პურითა და შაქრითაც გამდიდრდა.

საქმე ის გახლავთ, რომ რევოლუციურმა აღმაფრენამ, ბოლოს და ბოლოს, ქალბატონ ნადიაზეც იმოქმედა და მან გადაწყვიტა, უსიკვდილოდ აეღო თავისი კუთვნილი პენსია. გარკვეული ფიქრის შემდეგ, განზრახვის შესრულებასაც შეუდგა და გორიდან თბილისში ჩამოვიდა. გორი მისი სამშობლოა. იქ ცხოვრობენ შვილები და შვილიშვილები, რომლებსაც მოხუცი დედა და ბებია ხანგრძლივი დროით აკითხავდა ხოლმე. თბილისში კი, ძირითადად, პენსიის ასაღებად ჩამოდიოდა.

მოგეხსენებათ, რომ გასული წლის რევოლუციურ შემოდგომაზე ეს პროცესი შეჩერებული იყო და ქალბატონი ნადიას წუწუნი, პენსიას არ მაძლევენო, მეზობლებს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდათ, - "ვის აძლევენ რო?!" – მაგრამ შემდეგ, როცა სასწაული მოხდა და ერთი თვის პენსიებიც დარიგდა, მოხუცის მომაბეზრებელმა წუწუნმა შედეგი გამოიღო. ერთი თავდადებული მეზობელი მას ფოსტაში გაჰყვა.

პენსიონერი ნადიას დანახვაზე ფოსტის გამგეს ხელები ულონოდ ჩამოუშვა და სკამზე დაჯდა. ფოსტის გამგესთან ასეთი მიახლოება კი იმიტომ მოხერხდა, რომ პენსიები ახალი დარიგებული იყო და მთავრობასაც გამოცხადებული ჰქონდა, ჯერჯერობით ვერ შეგპირდებით, მაგრამ, ვეცდებით, ახალ წლამდე ერთი თვის პენსია კიდევ დავარიგოთო.

ასე იყო თუ ისე, ფოსტის გამგისგან ცნობილი გახდა, რომ ქალბატონი ნადიასთვის პენსია შეუწყვიტავთ. მისივე განცხადებით, ამ საქმეში თავად პენსიონერი იყო დამნაშავე, რომელიც არც ერთხელ არ დახვდა ფოსტალიონს სახლში. ეს არგუმენტი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საჩხუბრად მომართულ მეზობელს პირი აღარ გაეღო და მომაბეზრებელი მოხუცისგან "შეღონებული" ფოსტის გამგის მონოლოგი ბოლომდე მოესმინა.

"ბებია, ორი თვეა, ჩემთან ყოველდღე მოდიხარ და ერთი და იგივეს მალაპარაკებ. იმის გამო, რომ სოფელში იყავი და პენსია დიდი ხანია, არ აგიღია, ბარათი გაგიუქმდა. ახლა ველოდებით ახალ ბარათს, რომელიც დეკემბრის შუა რიცხვებამდე არ მოგვივა. პენსიას მერე მოგცემთ, მანამდე ნუ მოხვალ, გაიგე?!" – იჭაჭებოდა ფოსტის გამგე და გარშემომყოფ საზოგადოებაში თანაგრძნობას ეძებდა.

"დიდი ხანია, არ აგიღიაო?! არ მამეცით პენსიაი და რას ავიღებდი?! აბა, თქვი, რამდენჯერ მოვედი აქა?!" – პოზიციებს არ თმობდა მოხუცი.

"შენ მაშინ მოდიხარ, როცა პენსია არ არის და არც ფოსტალიონს ხვდები სახლში, გორში ხომ არ ჩამოგიტანდით? მოკლედ, წადი ახლა სახლში და ასე, 20 დეკემბრისთვის მოდი," – დაამთავრა ფოსტის გამგემ.

"იქამდე მთელი ერთი თვე არი და პური არა ვჭამო, კაცო?!" – ხელები გადაატრიალა მოხუცმა და საშველად მეზობელს გადახედა, რომელიც ფოსტის გამგემ გვერდზე გაიხმო და გულშემატკივრული ტონით უთხრა, იქნებ უთხრათ, რომ სოფელში წავიდეს და ერთ თვეში ჩამოვიდესო.

მეზობელმა თავისი საქმე გააკეთა და სადარბაზოს შეატყობინა, რომ ნადია დეიდას პანსია ერთ თვეში იქნებოდა, თუმცა მოხუცისა და ფოსტის ამბავი ჩვეულებრივი ყოველდღიურობით გაგრძელდა (მაშინ გავარდა ხმა, ამას მგონი სკლეროზი ეწყებაო). პენსიონერი ნადია დილით ფოსტაში ჩადიოდა, გამგეს პენსიას სთხოვდა, ეუბნებოდა, ჯერ პენსია მომეცით და სოფელში მერე წავალო და ნაგავსაყრელზე მიდიოდა. რა ექნა, აბა, გორიდან ჩამოტანილი ვაშლი და ორიოდე გროში დიდი ხნის გათავებული იყო, საოჯახო ნივთები კი – წინა წლებში დახურდავებული. რა თქმა უნდა, თავისი მნიშვნელოვანი ადგილი კარის მეზობლის მიერ მოწოდებულ ულუფასაც ჰქონდა, მაგრამ ქალს საკუთარი შრომით არსებობა სურდა და პლასტმასის გადაყრილ ბოთლებს აგროვებდა. მერე რეცხავდა, ბაზარში იაფფასიანი მყრალი არყისა და მწარე ზეთის გამყიდველებს აბარებდა და დღეში ერთი-ორი ფუნთუშა ან "პრიანიკი" მოსდიოდა.

ამასობაში, ერთი თვეც გავიდა, დედაქალაქში მთავრობის დანაპირები საახალწლო პენსიებიც დარიგდა, მაგრამ ნადიას ისევ არაფერი მისცეს.

საქმეში ისევ ჩაერთო ფოსტაში ნამყოფი მეზობელი, რომელმაც უკვე "საპენსიო ფონდის" რაიონულ განყოფილებას მიმართა. აღმოჩნდა, რომ პენსიონერ ნადიას პენსია 2002 წლის ნოემბრის შემდეგ არ აულია, რაც სრულიად დაუჯერებლად ჟღერდა მეზობლისთვის, რომლის კარებსაც ნადია დეიდა ყველაზე ხშირად აღებდა და რომელმაც დანამდვილებით იცოდა, რომ მოხუცი სოფლიდან ყოველ ორ-სამ თვეში ერთხელ მაინც ჩამოდიოდა და ორი-სამი კვირით რჩებოდა. თურმე, იმ დღეებსაც პენსიაზე სიარულს ახმარდა და ამას სოფლიდან ჩამოტანილი უკანასკნელი ლუკმის გამოლევამდე აკეთებდა.

მეზობელმა კი გაარკვია, რომ დაგროვილი 156 ლარის მისაღებად და მიმდინარე პენსიის გასაახლებლად ნადია დეიდას აღნიშნული უწყებისთვის განცხადებით უნდა მიემართა, რის შემდეგაც მიმდინარე პენსიას ჩვეულებრივ ფოსტაში მიიღებდა, ხოლო 156 ლარს – ბანკში. ამხელა თანხას ფოსტას ვერ ვანდობთო, - განმარტეს "საპენსიო ფონდის" ფილიალში.

ამ საქმით სერიოზულად დაინტერესდა "სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის" ახალი ხელმძღვანელი ლადო ჭიპაშვილი და ყველა დამნაშავის დასჯასაც დაგვპირდა. მისივე თქმით, ასეთ გაუგებრობას ბოლო სულ მალე მოეღება, როცა ფოსტა თამაშიდან ამოვარდება და პენსიებს მთლიანად ბანკი დაარიგებს. დაგროვილი თანხაც იქვე შეინახება. რეგიონებში ასეც არის. თბილისელი პენსიონერები კი, ჯერჯერობით, ისევ "50-თეთრიანი" ფოსტალიონების ამარა არიან დარჩენილნი.

რაც შეეხება ქალბატონი ნადიას საქმეს, მინიმუმ ერთი თვე არაფერი ეშველება. ქაღალდების მოძრაობასაც ხომ დრო სჭირდება.

# გატაცებაში ბრალდებული გენერალ-ლეიტენანტი გადატრიალების მცდელობაშიც იყო ექვმიტანილი

პირველი გვერდიდან

ახალი ფურცელი გადაიშალა, უფრო ზუსტად, იმით, რომ შემსრულებელთა გარდა, სამართალდამცველებმა ბანკირის გატაცების ორგანიზატორიც დააკავეს. თბილისის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში მყოფ გენერალ-ლეიტენანტს გია ვაშაკიძეს თბილისის პროკურატურის გამომძიებლებმა მძიმე ბრალდებები გუშინ, გვიან ღამით წაუყენეს. გუშინვე ვაკე-საბურთალოს სასამართლომ ელდარ გოგიბერაშვილისა და რევაზ სანებლიძის დაპატიმრების ბრძანება გასცა. უზენაესი სასამართლო გია ვაშაკიძის წინასწარი დაპატიმრების საკითხს დღეს განიხილავს.



*გათავისუფლების ოპერაციაში თავად მინისტრი მონაწილეობდა.*

### გატაცების ორგანიზატორობაში ბრალდებულია გენერალ-ლეიტენანტი

ადამიანის გატაცების ორგანიზატორობაში ბრალდებული სამხედრო გენერალი გია ვაშაკიძე ყოფილი მხედრიონელია. 1991-1993 წლებში იგი სამტრედიის "მხედრიონს" ხელმძღვანელობდა. მან თავი განსაკუთრებით გამოიჩინა აფხაზეთის ომში. შს მინისტრი გია ბარამიძე აცხადებს, აფხაზეთის ომში იგი ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მეომრის იმიჯით სარგებლობდა. ოჩამჩირის ცნობილი შეტევის მთავარი გმირი სწორედ გია ვაშაკიძე გახლდათ. აფხაზეთის ომში გამოჩენილი გმირობისთვის მას მაღალი წოდება მიენიჭა - 24 წლისა გენერალ-ლეიტენანტი და ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი გახდა. შემდეგ იგი საქართველოს თავდაცვის მინისტრის გია ყარყარაშვილის მოადგილედ დაინიშნა. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 24-ე ბრიგადა. მოგვიანებით, იგი მოსკოვში გაემგზავრა. დაამთავრა რუსეთის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია და ამჟამად ასპირანტურაში სწავლობდა, თანაც, სადოქტორო დისერტაციის დასაცავად ემზადებოდა.

გია ვაშაკიძის მეუღლე გახლავთ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთავარსარდლის მოადგილის პოტაპოვის ქალიშვილი. სხვათა შორის, მოსკოვში ჩასულ ჯაბა იოსელიანს სწორედ გია ვაშაკიძე უწევდა მასპინძლობას. "მხედრიონის" დამაარსებელი ჯაბა იოსელიანი ვაშაკიძის სიმამრთან, გენერალ პოტაპოვთანაც მეგობრობდა. მოსკოვში, "სამი განზომილების" რუსულ ენაზე თარგმანის პრეზენტაციაზე, გია ვაშაკიძე თავის სიმამრთან ერთად იმყოფებოდა.

გია ვაშაკიძე და მისი სამი ძმა – კაკო, დათო და რეზო ვაშაკიძეები ჯაბა იოსელიანის "მარჯვენა ხელის" სტატუსით სარგებლობდნენ. 1991 წელს გია და დათო ვაშაკიძეები პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ ჯაბა იოსელიანთან ერთად დააპატიმრა. მოგვიანებით, დათო ვაშაკიძე მოსკოვში მომხდარი ავტოკატასტროფისას დაიღუპა; რეზო ვაშაკიძე სხვადასხვა დანაშაულებშია ექვმიტანილი და მას სამართალდამცველები რამდენიმე წელია ეძებენ. ძმები ვაშაკიძეებიდან ერთადერთი უვნებლად გადარჩენილი კაკო ვაშაკიძეა.

რაც შეეხება თამაზ მაღლაკელიძის გატაცების შემსრულებლებს ელდარ გოგიბერაშვილსა და ბენიამინ სანებლიძეს, რომელიც გია ვაშაკიძის მეჯვარეა და მოსკოვიდან მასთან ერთად ჩამოვიდა თბილისში. ელდარ გოგიბერაშვილი ყოფილი მხედრიონელია, იგი რამდენიმე თვის წინ გაათავისუფლეს პატიმრობიდან. შეგახსენებთ, რომ ელდარ გოგიბერაშვილის სახელი გასულ წელს ე.წ. "წითელ ზონაში" - ხონის კოლონიაში მომხდარ, პატიმრების სკანდალურ ბუნტთან დაკავშირდა. ეს ის ელდარ გოგიბერაშვილია, რომელმაც მაშინ ციხეში მოქმედი ნარკომაფიის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამის გამო, ავჭალის კოლონიაში გადმოყვანილ ხონის კოლონიის ბინადართ ელდარ გოგიბერაშვილსა და მის მეგობარ ზურაბ გოგობერიშვილს კოლონიაშივე რამდენჯერმე აფეთქებაც მოუწყვეს. ზურაბ გოგობერიშვილი მოკლეს, ხოლო ელდარ გოგიბერაშვილი იმის გამო გადარჩა, რომ მისი მოთხოვნით, ნეიტრალურ ზონაში ე.წ. "კრიტში" გადაიყვანეს, რის შემდეგაც იგი მალევე შეიწყალეს.

### თამაზ მაღლაკელიძის გატაცების ვერსიები

უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის თამაზ მაღლაკელიძის გატაცებას საქართველოში ნოემბრის მოვლენების შემდეგ, ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ პროგნოზირებული "დინამიური ქაოსის" შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს და გამტაცებლების კავშირს მოსკოვის კრიმინალურ და პოლიტიკურ წრეებთან არ გამორიცხავს. ვალერი ხაბურძანია აცხადებს, რომ მაღლაკელიძის გატაცების ორგანიზატორს, გენერალ-ლეიტენანტ გია ვაშაკიძეს საქართველოს უშიშროების ექს-მინისტრ იგორ გიორგაძესთან ჰქონდა კავშირი. გარდა ამისა, ვალერი ხაბურძანია გამოთქვამს ვარაუდს, რომ მაღლაკელიძის გამტაცებლებს კავშირი ჰქონდათ ცნობილ ქისტ კრიმინალთან შოთა ჭიჭიაშვილთანაც.

მაღლაკელიძის გატაცების დღიდან დანაშაულის ერთ-ერთ მთავარ ვერსიად ფულის გამოძალვა და სამსახურებრივი მოტივი სახელდებოდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გამტაცებლები მაღლაკელიძის ახლობლებს დაუკავშირდნენ და 200 ათასი დოლარის გადახდა მოითხოვეს. გამოსასყიდი გამზადებული იყო კიდეც, მაგრამ კანონდამცველთა რჩევით, მაღლაკელიძის ახლობლებმა თანხა აღარ გადაიხადეს.

ერთ-ერთი ვერსიით, მაღლაკელიძის გატაცება მისი კომპანიონის, ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ პოლიტიკურ მოტივებზე აგებულ მოსაზრებას მაღლაკელიძის გატაცების შემდეგ "გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალების დაყაჩაღებითაც ამყარებენ.

კიდევ ერთი ვერსიით, თამაზ მაღლაკელიძეს, რომელიც გავრცელებული ინფორმაციით, აზარტული თამაშების მოყვარული იყო, გია ვაშაკიძის სოლიდური ვალი ჰქონდა. თუმცა, უკვე გაჩნდა ვარაუდები, რომლის მიხედვითაც, გია ვაშაკიძის დაკავშირება მაღლაკელიძის გატაცებასთან პროვოკაციადაა მიჩნეული.

### გია ვაშაკიძე სამხედრო გადატრიალებაშიც იყო ეჭვმიტანილი

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დაკავებამდე რამდენიმე კვირით ადრე შსს-ში მინისტრის მოადგილეს რუბენ ასანიძესა და გია ვაშაკიძის ძმას კაკო ვაშაკიძეს შორის შეხვედრა შედგა. ამ შეხვედრას წინ უსწრებდა სამტრედიის სოფელ დიდ ჯიხაიშში ვაშაკიძეების სახლში შსს-ს სპეცჯგუფის მიერ ჩატარებული ჩხრეკა. ჩვენი ინფორმაციით, კაკო ვაშაკიძესა და რუბენ ასანიძეს შორის გამართულ შეხვედრაზე საუბარი იყო მოსალოდნელ გადატრიალებაზე, რომელსაც, სავარაუდოდ, გია ვაშაკიძე გეგმავდა. ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღეში გია ვაშაკიძე თბილისში ჩამოვიდა, იგი შეხვდა რუბენ ასანიძესაც და უშიშროების მინისტრს ვალერი ხაბურძანიასაც. საუბარი კვლავ მოსალოდნელ გადატრიალებას შეეხებოდა. ამ შეხვედრებიდან რამდენიმე დღეში გია ვაშაკიძე, ელდარ გოგიბერაშვილი და რევაზ სანებლიძე გვიან ღამით, ვაკეში დააკავეს და საბურთალოს სასაფლაოზე წაიყვანეს, სადაც პირველი ჩვენების მიღებას შეეცადნენ. შს მინისტრის მოადგილე რუბენ ასანიძე კაკო ვაშაკიძისა და მისი შეხვედრის ფაქტს არ უარყოფს.

**"რამდენიმე ხნის წინათ მე მართლაც შევხვდი გია ვაშაკიძის ძმას - კაკო ვაშაკიძეს, ეს შეხვედრა მისი ინიციატივით შედგა. ჩვენ მართლაც გვქონდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ ძმები სერიოზულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში იყვნენ გარეულნი და ამიტომ ჩატარდა ჩხრეკები, მათ შორის, ვაშაკიძეების სახლშიც, რომელიც დიდ ჯიხაიშში მდებარეობს. კაკო ვაშაკიძეს ამ ჩხრეკის მიზეზები აინტერესებდა. შეხვედრისას მას ეს მიზეზები ავუხსენი.**

**სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის შესახებ ეჭვებს, სავარაუდოდ, გამოძიება გაარკვევს. როდის ჩამოვიდა გია ვაშაკიძე საქართველოში, ზუსტად არ ვიცი, თუმცა, ნამდვილად ორ კვირაზე მეტი იქნება – ამის დადგენა არც თუ ისე ძნელია და ამასაც გამოძიება შეიტყობს. რაც შეეხება დაკავებას, გია ვაშაკიძე დაახლოებით ღამის 4 საათზე დააკავეს, იგი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ქალაქში, კერძოდ, ვაკის ტერიტორიაზე დააკავეს. გია ვაშაკიძის კავშირის შესახებ იგორ გიორგაძესთან და შოთა ჭიჭიაშვილთან მე ვერაფერს გეტყვით, ამის შესახებ არ ვიცი",** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა რუბენ ასანიძემ.

### იგორ გიორგაძეს სათქმელი არაფერი აქვს

ვაშაკიძის დაპატიმრების ამბავი გუშინ დილით მისმა მეუღლე ალამ "24 საათისგან" შეიტყო. ცოცხალია? – ასეთი იყო მისი კონტრშეკითხვა. "ჩვენ ფულის პრობლემა არ გვქონდა," – ასეთი პასუხი გაგვცა მან, როცა შეიტყო, რომ მისი მეუღლე ბანკირის გატაცების გამო იყო დაკავებული.

რაც შეეხება გენერალ პოტაპოვს, მასთან ჩვენი ინტერვიუ ვერ შედგა, რადგან, როცა გენერალთან საუბრის ნებართვა ვითხოვეთ, კატეგორიული უარი მივიღეთ. **"ის კომენტარს არ გააკეთებს,"** – ასე გვიპასუხა მისმა შვილიშვილმა.

**"მე აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში - ოღონდ, კანონიერი, კონსტიტუციური გზებითა და მეთოდებით. სამშობლოში ჩემს დაბრუნებას არც ერთი ადამიანის სიცოცხლე არ შეეწირება",** - "24 საათთან" სატელეფონო საუბრისას განაცხადა თამაზ მაღლაკელიძის გატაცების ორგანიზატორად გამოცხადებულმა იგორ გიორგაძემ. იგორ გიორგაძე აცხადებს, რომ მას ახალი არაფერი აქვს სათქმელი. უბრალოდ, სურვილი გააჩნია, რამდენიმე პრინციპული შეკითხვა დაუსვას საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რასაც, მისი თქმით, პირადი შეხვედრების დროს გააკეთებს. გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში ბრალდებულები - გენერალ-ლეიტენანტი გია ვაშაკიძე, „მხედრიონელი" ელდარ გოგიბერაშვილი და რევაზ სანებლიძე დუმილის უფლებას იყენებენ და გამოძიებას ჩვენებას არ აძლევენ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გია ვაშაკიძემ გუშინ ოჯახის წევრებს წერილი გამოუგზავნა და სამართალდამცველები დაკავებულთა წინააღმდეგ განხორციელებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლაში დაადანაშაულა. დაკავებულმა გენერალმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრაც მოითხოვა.

# "კაი ბიჭების" მხარდასაჭერი მიტინგი რუსთავში

*რუსთავში "კანონიერ ქურდებს" ახლა "კაი ბიჭებს" ეძახიან და მათ მხარდასაჭერად გზებსაც კეტავენ. პოლიცია მოპიკეტეებს არ არბევს, თუმცა იმავე საღამოს მათ მასობრივ დაკავებას იწყებს. "ქალაქში "ქურდი" ერთი უნდა იყოს და ისიც მე ვარ," - ხუმრობს რუსთავის მერი.*

მაია მოსიაშვილი

გუშინ რუსთავის ცენტრალური გზა დაახლოებით სამასმა ადამიანმა გადაკეტა. "სიტყვის თავისუფლებას გაუმარჯოს!" "კაი კაცებს გაუმარჯოთ!" - ასე სკანდირებდნენ პიკეტის მონაწილეები, რომელთა უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ. "კაი ბიჭებს პატივს ვცემთ და იმიტომ მოვედით," - ამბობდნენ 17-18 წლის ბიჭები, თუმცა "კაი ბიჭების" ვინაობის დაკონკრეტებას ყველა თავს არიდებდა.

**"გასაქანი აღარ აქვს ახალგაზრდობას, ქუჩაში ვერ გაუვლიათ, ან იარაღს უდებენ, ან წამალს, მიჰყავთ, სცემენ. თუ ეს არის "ვარდების რევოლუცია", რომ წამალი ჩაუდონ და დაჭერები დაიწყონ, მაშინ გვითხრან. მაგათ გულისთვის მთელი ღამეები ვიდექით მიტინგზე, რომ ნაციონალურ მოძრაობას გაემარჯვა,"** - განუცხადა "24 საათს" გზის გადაკეტვის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა დარეჯან შემაზაშვილმა, რომელიც ე.წ. "კანონიერი ქურდის" კობა შემაზაშვილის დაა.

**"სამი წლის წინ რაღაც მოვიპარე, მაგაზე ჩავვარდი და სასჯელი მოვიხადე. ახლა მოდიან ჩემთან და მეუბნებიან, ყოველთვიურად 200 დოლარი მომეცი, ძმაო, და თავისუფლად იმოქმედეო... ნახევარი ზონა ეგრე ზის. მოსკოვიდან ჩამოსულან ბიჭები, ჩამოუტანიათ ფული, პოლიცია მისულა იმათთან და უთქვამს, ფული მოგვეცი, თორემ ძმას დაგიჭერთო. აძლევენ, აბა, რას იზამენ, ძმას ხომ არ დააჭერინებენ?! თუ ხმა არ ამოვიღეთ, ასე გაგრძელდება სულ..."** - ამბობს ერთ-ერთი მოპიკეტე.

**"ჩვენ არ გავჩერდებით, მთავრობა გაიწმინდოს ჯერ ქურდებისგან და ბანდიტებისგან. პირველი ქურდი მერაბ ტყეშელაშვილია, ამ ხალხს რომ პენსიები და ხელფასების შეუჭამა, ჯერ ის დაიჭირონ. გუშინ ქუჩაში გაიარა კობა შემაზაშვილმა და დაიჭირეს. იყო ათი მანქანა და ორმოცდაათამდე კაცი. იარაღის ჩაგდება უნდოდათ,"** - ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ მოპიკეტეები, რომელთა ძირითადი ბირთვი იმ ადამიანებისაგან შედგებოდა, რომელთა ოჯახის წევრებიც დაჭერილი ან დასაჭერი ჰყავს პოლიციას.

თავად პოლიციას პიკეტის ძალით დაშლაზე არ უზრუნია. ქალაქის პოლიციის უფროსის მოადგილე კახა კაკაჩია, რამდენიმე თანამშრომელთან ერთად, მივიდა მათთან და შეეცადა ზრდილობიანად და უხმაუროდ დაერწმუნებინა აქციის ორგანიზატორები, დაშლილიყვნენ. პიკეტი დაახლოებით ერთ საათში დაიშალა.

"კანონიერი ქურდების" მხარდამჭერების მხრიდან ქალაქის მერის "ქურდად" მოხსენიება მერაბ ტყეშელაშვილს ხუმრობის ხასიათზე აყენებს: **"ისე, ქალაქში "ქურდი" ერთი უნდა იყოს და ისიც მე ვარ... ხუმრობა იქით იყოს და სანამ მე ქალაქის მერი ვარ, კანონგარეშე ხალხი აქ ვერ გაიხარებს. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ბავშვები გარყვნან და საწარმოები არეკეტონ. მაგ საქმიანობაში ხელს რომ ვუშლით, მაგიტომ არიან გაღიზიანებულები".** ტყეშელაშვილს არ უკვირს "შავების" მხრიდან ქუჩის დემონსტრაციების მოწყობა და ლამის პოლიტიკური განცხადებების კეთება. **"კარგა ხანია პოლიტიკაში ცხვირის ჩაყოფა დაიწყეს. ეგ ხალხი მამალაძესთან ერთად არჩევნებს "ატარებდა". ლამის თავიანთი დაჯგუფებების სასამართლო რეგისტრაციაც კი გააკეთონ. ვინ ვისთან არის შეკრული ამჟამად, ეგ დიდი კითხვის ნიშანი ნამდვილად არსებობს,"** - ამბობს რუსთავის მერი.

"კაი ბიჭების" მხარდასაჭერი პიკეტის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მომავალში კვლავაც მოაწყობენ აქციებს და პროტესტის უფრო მძიმე ფორმებსაც მიმართავენ, თუ მათი მოთხოვნა არ შესრულდება. გუშინ ისინი ქვემო ქართლის "ნაციონალი" გუბერნატორის მოპიკეტეებთან მისვლას ითხოვდნენ და ხმამაღლა ამბობდნენ, რომ ნოემბერში "ნაციონალების" გასამარჯვებლად დღე და ღამე მიტინგებზე იდგნენ და ახლა სანაცვლო მხარდაჭერას საჭიროებენ.

გუშინ გვიან საღამოს პოლიციამ მოპიკეტეების დაკავება და პოლიციის განყოფილებებში მიყვანა დაიწყო. როგორც რუსთავის პოლიციის უფროსმა რამაზ ელოშვილმა "24 საათს" განუცხადა, მოპიკეტეებს შორის ბევრი იყო ადრე ნასამართლევი, ნარკომანობაზე და სხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი ხალხი. **"სანამ პირში სული მიდგას, არ დავუშვებ მაგათ პარპაშს, შვილებს ვფიცავარ, არ გავახარებ,"** - ამბობს პოლიციის უფროსი.

# ბინაში შეგდებულ ასაფეთქებელ მოწყობილობას ორი ადამიანი ემსხვერპლა

გუშინწინ ღამით გორში, ყიფიანის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ ბინაში მომხდარი აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა და ოთხი მძიმედ დაიჭრა. გორელი გიგა ბლუაშვილის ბინაში აფეთქება ფანჯრიდან შემოგდებული ასაფეთქებელი მოწყობილობით მაშინ განხორციელდა, როდესაც მასპინძელი და მისი სტუმრები ოჯახის დიასახლისის ხათუნა ყაზრიშვილის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. შიდა ქართლის სამხარეო პროკურორი ამირან ნოზაძე, თვითმხილველთა ნაამბობის თანახმად, მომხდარის დეტალებს ჰყვება და ამბობს, რომ ფანჯრიდან შემოგდებული ასაფეთქებელი მოწყობილობა პირდაპირ მაგიდაზე აფეთქდა. იქვე დაიღუპნენ ბლუაშვილთან სტუმრად მყოფი, 30 წლის ლალი ქოქაშვილი და 35 წლის მერაბ მედოევი. სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებებით, გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს ნინო ქოქაშვილი, ხათუნა ყაზიშვილი, გულნაზი ბლუაშვილი და ოჯახის უფროსი გიგა ბლუაშვილი. გუშინ დილით კი ხათუნა ყაზიშვილი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, თბილისის საავადმყოფოში გადმოიყვანეს.

გამოძიება ამ დროისთვის დანაშაულში ეჭვმიტანილთა ვინაობას არ აკონკრეტებს, თუმცა აცხადებს, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, რამდენიმე ვერსია არსებობს.

სავარაუდო მოტივად ოჯახის უფროსის, გიგა ბლუაშვილის მიმართ შურისძიება სახელდება. არაოფიციალური ინფორმაციით, რამდენიმე წლის წინ გიგა ბლუაშვილმა ავტოავარიის შედეგად მცირეწლოვანი ბავშვი იმსხვერპლა.

# ვის მოსაკლავად ემზადებოდნენ ზუგდიდში დაკავებულები?

*ორი დღის წინ, ზუგდიდის ცენტრში დაკავებულ რუსეთის მოქალაქეს დიმიტრი ანდრეევს და გალელ ზურაბ აგუბავას, სამართალდამცველებმა გუშინ უკვე წაუყენეს ბრალი. გამოძიებამ სასამართლოს უკვე მიმართა დაკავებულთათვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით. მართალია, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციამ დიმიტრი ანდრეევი და ზურაბ აგუმავა ნარკოდანაშაულისთვის დააკავა, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, დასაშვებია, ცოტა ხანში, მათ ბრალეულობას საკმაოდ სერიოზული და სკანდალური ბრალდებაც დაემატოს – წინასწარი ინფორმაციით, დიმიტრი ანდრეევი და ზურაბ აგუმავა ზუგდიდში შეკვეთილი მკვლელობების სისრულეში მოსაყვანად იყვნენ ჩასულები.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ვის მოკვლას გეგმავდნენ ანდრეევი და აგუმავა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუმცა, მკვლელობის სავარაუდო დამკვეთი უკვე სახელდება. ეს გახლავთ აფხაზი კრიმინალი, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სპეცრაზმის ხელმძღვანელი ვალმერ ბუთბა, რომლის სახელსაც არაერთი შეკვეთილი მკვლელობა უკვე ოფიციალურად, გამოძიების მასალებით დაუკავშირდა. შეგახსენებთ გალის გამგებლის ყოფილი მოადგილის დავით შენგელიას მკვლელობის მცდელობას. ისევე, როგორც გამოძიებამ, ცოტა ხნის წინ უზენაეს სასამართლოში გამართულმა პროცესმაც დაადასტურა, რომ შენგელიას მკვლელობა ქილერს სწორედ ვალმერ ბუთბამ შეუკვეთა.

როგორც ცნობილია, ბუთბას მრავლად ჰყავს დაქირავებული ქილერები და მათ, საკმაოდ სოლიდური თანხის საფასურად, კონკრეტული პირების მკვლელობის შეკვეთას აძლევს. ამ დაქირავებულთა შორის რუსები სჭარბობენ, რომელთაც, დავალებაზე წასულებს, ბუთბა ასევე მისი შეკვეთების შემსრულებელ ქართველებს დამხმარედ აყოლებს. გუშინწინ ზუგდიდში დაკავებულ რუსეთის მოქალაქეს დიმიტრი ანდრეევს და გალელ ზურაბ აგუმავას, ჩხრეკისას, ჯიბეში გარკვეული მისამართებისა და კონკრეტული სახელებისა და გვარების საკმაოდ ვრცელი ნუსხა აღმოაჩნდათ. გარდა ამისა, სამართალდამცველებმა მათ ფოტოსურათებიც უპოვეს. ვინ არიან გამოსახული ამ ფოტოსურათებზე და ვის ეკუთვნის ის მისამართები, რომლებიც დაკავებულებს აღმოუჩინეს, გამოძიება, გამოძიებისვე ინტერესებიდან გამომდინარე, არ ასახელებს. თუმცა, როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, დაკავებულთათვის აღმოჩენილ სიებში ზუგდიდის მისამართები კი არა, საქართველოს სხვა რეგიონის მისამართები და ამ რეგიონში მცხოვრები გარკვეული პიროვნებების სახელ-გვარებია მითითებული. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დიმიტრი ანდრეევი საქართველოს ტერიტორიაზე ვიზის გარეშეა შემოსული.

ჩვენი ინფორმაციით, დაკავებულებმა გამოძიებას ჩვენებები უკვე მისცეს. ანდრეევის ჩვენების მიხედვით, ის საქართველოში პარტიზანული მოძრაობის წევრებთან გასაერთიანებლად ჩამოვიდა და ზურაბ აგუმავა ზუგდიდის ცენტრში შემთხვევით გაიცნო. დაკავებულები გამოძიებას ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს აძლევენ. აგუბავა ჩვენებაში ანდრეევს ნათესავად იხსენიებს.

ჩვენი ინფორმაციით, დიმიტრი ანდრეევს რუსეთის გენერალური პროკურატურა ეძებს. ის ორჯერ არის ნასამართლევი, ერთხელ - მკვლელობისთვის, მეორედ – იარაღის უკანონოდ ტარებისთვის. რაც შეეხება ზურაბ აგუმავას, იგი ქალაქ გალში ცხოვრობს და იშვიათად ჩადიოდა ზუგდიდში. სხვადასხვა დანაშაულისთვის მან უკვე სამჯერ მოიხადა სასჯელი.

როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციაში განგვიცხადეს, დიმიტრი ანდრეევი მოსკოვის ოლქის ქალაქ ლუბერეცში ცხოვრობს და იმ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერია, რომელიც მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში ლუბერეცის დაჯგუფების სახელით მოქმედებს. ჩვენების თანახმად, ის ადლერიდან ჩავიდა ქალაქ სოხუმში, სადაც რამდენიმე დღე დაჰყო, შემდეგ გალში გადავიდა, გალიდან კი – ზუგდიდში. გალელი აგუმავა და რუსეთის მოქალაქე დიმიტრი ანდრეევი ზუგდიდში ჩასვლის კონკრეტულ მიზანს არ ასახელებენ.

**"მათი ზუგდიდში გადმოსვლა ბევრ ეჭვს ბადებს. ორივე დაკავებული აქ ჩამოსვლის მიზანზე სხვადასხვაგვარად საუბრობს. ანდრეევი თავად აღიარებს, რომ ლუბერეცის დაჯგუფების ერთ-ერთი აქტიური ლიდერია"**, - აცხადებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი.

ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ ზუგდიდის წინასწარი დაკავების საკანში მყოფი ანდრეევი და აგუმავა, რომლებიც ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს აძლევენ გამოძიებას და სამართალდამცველებს ბევრი ეჭვის საფუძველს უტოვებენ, ორ დღეში სასამართლოს წინაშე წარდგებიან. მათ ჯიბეებში ნაპოვნი ფოტოსურათების, სახელ-გვარებისა და მისამართების შესახებ ინფორმაცია კი, სავარაუდოდ, კარგახანს იქნება გასაიდუმლოებული.

# ინციდენტი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მორიგი ინციდენტი მოხდა. ქართულ სოფელ კეხვში "07"-ის მარკის მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფი, ოსი ეროვნების მოქალაქე მართავდა, ამავე მარკის ავტომანქანას შეეჯახა. შემთხვევის ადგილზე მისულ, ქურთას პოლიციის განყოფილების თანამშრომლებს მანქანის მძღოლი და მისი ორი, ასევე ოსი ეროვნების მგზავრი, არ დაემორჩილნენ, გაქცევა სცადეს და მანქანა გამიზნულად დააჯახეს პოლიციელ ლევან ჭულუხაძეს, რომელიც ტვინის შერყევის დიაგნოზით საავადმყოფოშია მოთავსებული.

ამის შემდეგ მათ ცეცხლი გახსნეს და ცხინვალის მიმართულებით გაემართნენ. ცხინვალში მათ ასევე სროლა აუტეხეს იქაურ მილიციელებს, რომლებმაც საპასუხო სროლის შემდეგ დაჭრეს ორი მათგანი – ვლადიკავკაზელები კაბისოვი და გაგლოევი. ისინი ამჟამად ქალაქის საავადმყოფოში იმყოფებიან. მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღძრეს როგორც ოსმა, ისე ქართველმა სამართალდამცავებმა. დევნილობაში მყოფი, ცხინვალის პროკურორის გურამ ბაბუციძის განცხადებით, ქართული მხარე დაჭრილების დაკითხვას ჯერ ვერ ახერხებს.

*მედია-ნიუსი*

# კვლავ პოსტრევოლუციური ვარდების შესახებ

ნიკო მელიქაძე
*სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრი*

*ეს წერილი ორიოდე კვირის წინ გაზეთ "24 საათში" (22 დეკემბერი, 2003 წელი) გამოქვეყნებული წერილის - "ვარდები რევოლუციის შემდეგ" - გაგრძელებას წარმოადგენს; ეს არის პასუხის ხელახალი მოძიების ცდა შეკითხვაზე - რა გაკვეთილი უნდა გამოიტანოს საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ და საზოგადოებამ იმისაგან, რაც 23 ნოემბერს მოხდა? ყურადღების ცენტრში მოქცეულია საქართველოს ახალი ხელისუფლების ძირითადი პოსტრევოლუციური ამოცანა - ქვეყანაში უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფო სისტემის გარდაქმნა. მისი ეფექტური გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოხერხდება ხელისუფლებაში გარდაქმნის პოლიტიკის გააზრებისა და მისი განხორციელების ახალი მიდგომების დამკვიდრება.*

1. საქართველოს უკანასკნელი პრეზიდენტი ხელისუფლებაში თავიდანვე ხალხის დიდი მხარდაჭერით მოვიდა. იმ პერიოდში ჩამოყალიბებული სახელმწიფო სისტემა უაღრესად არაეფექტური, უზნეო და უსამართლო აღმოჩნდა, რის გამოც პრეზიდენტმა ხალხის თვალში დაკარგა ლეგიტიმურობა, ანუ ხალხის ნდობა და თანხმობა, იყოს მის მიერ მართული; ამის შედეგად, რევოლუციური ფორმით გამოხატული სახალხო მოთხოვნით პრეზიდენტი იძულებული გახდა გადამდგარიყო. როდესაც ნათელი გახდა, რომ ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობის შეცვლის პოლიტიკური ნება და პროფესიონალური კომპეტენცია ხელისუფლებას არ გააჩნია, მისი შეცვლის საკითხი გადაწყვიტა იმ პოლიტიკური ლიდერის გამოჩენამ, რომელსაც უკმაყოფილო მოსახლეობის პოლიტიკური მობილიზაციის უნარი აღმოაჩნდა; ასეთი კი, როგორც ჩანს, შესაბამისი სოციალური შეკვეთის წარმოქმნისას ქვეყანაში ყოველთვის გამოჩნდება. ნათელი ხდება, რომ **პოლიტიკური თავისუფლების პირობებში საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის არალეგიტიმური ხელისუფლება მიუღებელია.**

"ვარდების რევოლუციით" ხალხმა ძველ ხელისუფლებას უთხრა "არა"; მაგრამ ახლისათვის მას ჯერ კიდევ "ჰო" არ უთქვამს; მან მხოლოდ ნდობის ავანსი გასცა (4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებიც ამ ნდობის დასტური იყო); ახალი ხელისუფლება ჯერ კიდევ უნდა გახდეს ხალხის თვალში ლეგიტიმური. რევოლუციის შედეგად ქვეყანაში ჯერ მხოლოდ პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეიცვალა; ხოლო თავად ის სახელმწიფო სისტემა, რომელიც ამ ხელმძღვანელთა მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბდა, არ შეცვლილა. ეს სისტემა, ზოგადად, შეიძლება მისი ძირითადი ინსტიტუტების ფორმით მოვიაზროთ; ეს არის ქვეყნის პოლიტიკური და ადმინისტრაციული წყობა, მასში რეალურად მოქმედი ფორმალური და არაფორმალური კავშირები, დომინანტური ინტერესები და მათი განხორციელების არსებული მექანიზმები, პოლიტიკური აზროვნების დამკვიდრებული ფორმები, მართვის სისტემაში მოქმედი მორალი და მართვის ტექნოლოგიები.

სწორედ ამ სახელმწიფო სისტემამ განაპირობა ქვეყანაში დღეს არსებული მდგომარეობა. პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლა არის მხოლოდ აუცილებელი, მაგრამ სრულიად არასაკმარისი პირობა არსებულ მძიმე მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად. ახალი ხელისუფლების სასიცოცხლო ამოცანაა ხალხის უკმაყოფილების მასაზრდოებელი ამ ძველი სახელმწიფო სისტემის სწრაფი დემონტაჟი და ახალი, ეფექტური და სამართლიანი სისტემის აგება. **ახალმა ხელისუფლებამ თავიდანვე უნდა გაიცნობიეროს, რომ ხალხის თვალში საკუთარი ლეგიტიმურობის უზრუნველყოფის სხვა საშუალება მას არ გააჩნია.**

ხელისუფლების რევოლუციური შეცვლა საზოგადოებას უაღრესად ძვირი უჯდება ხოლმე. ამდენად, საქართველოს ახალი ხელისუფლების ლეგიტიმაცია არის არა მხოლოდ თავად ამ ხელისუფლების ინტერესი; ძველი სისტემის გარდაქმნა საზოგადოების ინტერესებშიაც არის, თუკი ხალხს არ სურს რეგულარულად მხოლოდ



*ახალმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ძველი სისტემის დემონტაჟი.*

რევოლუციური მასის როლი შეასრულოს და ათწლეულობით გადაავადოს საკუთარი შვილების უკეთესი ცხოვრების პერსპექტივა. დღევანდელობა ამისათვის უაღრესად ხელსაყრელი მომენტია. პოსტრევოლუციური პერიოდი, როდესაც ძველი ხელისუფლების სამოქმედო პრინცეპები და ფორმები საჯაროდ არის დაგმობილი, ხოლო ახალი ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია, როდესაც ხელისუფლება ჯერაც მგრძნობიარეა ხალხის მოთხოვნათა მიმართ, საჭიროა ამ ხელსაყრელი მომენტის გამოყენება. არ შეიძლება ახალი ხელისუფლების საკუთარ ნებაზე მიშვება, იგი საზოგადოების მიერ დისციპლინირებული უნდა იყოს; ეს ხალხსაც და ხელისუფლებასაც მხოლოდ სიკეთეს მოუტანს.

2. განვლილ ათწლეულში საქართველოში ჩამოყალიბებული სახელმწიფო სისტემა არ იყო და ვერც იქნებოდა ვინმეს ბოლომდე მოფიქრებული პროექტის ხორცშესხმა. ქვეყანაში არსებულ კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ გარემოში ეს სისტემა მნიშვნელოვანწილად სპონტანური თვითჩამოყალიბების ფორმით შეიქმნა. განვითარებული დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ამგვარი ხასიათის პროცესები ცხოვრების ნორმაა და მათ ეფექტურ განვითარებას ხელისუფლება არეგულირებს; საქართველოს ხელისუფლებამ კი ეს ვერ შეძლო. მის მოქმედებაში ბევრი რამ იყო საზოგადოებრივი ზნეობისათვის მიუღებელი, პოლიტიკურად მცდარი და ლოგიკურად გაუმართლებელი; ყოველივე ამის ერთობლივი მოქმედებით ქვეყანაში ის სახელმწიფო სისტემა ჩამოყალიბდა, რომელიც დღეს გვაქვს. ამ გარემოებათა ღრმა ანალიზი ჯერ კიდევ ჩასატარებელია. წინამდებარე წერილი კი ყურადღებას მხოლოდ ერთ ფაქტორზე, სახელმწიფო მშენებლობის პოლიტიკის გააზრების იმ ფორმაზე ამახვილებს, რომელიც ამ პროცესში დომინანტური იყო. ძირითადი პრობლემა ის არის, რომ საქართველოს ახალი სახელმწიფოს მშენებლობას არ გააჩნდა გააზრებული და ნათლად ჩამოყალიბებული სტრატეგია; ასევე ბევრ რამეზე მიუნიშნებს ის ფაქტი, რომ ათი წლის სახელმწიფო მშენებლობის განმავლობაში ხელისუფლებას ამგვარი სტრატეგიის დამუშავების მოთხოვნილება არ გაუჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ უკვე მხოლოდ ამ გარემოებამ შეასრულა გადამწყვეტი როლი არაეფექტური და არაჯანსაღი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებაში.

რატომ აღმოჩნდა ეს გარემოება საქართველოსათვის ესოდენ მნიშვნელოვანი?

ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი წყობისა და სახელმწიფო სისტემის მქონე ქვეყნების უმრავლესობისათვის ეს პრობლემა მწვავედ არ დგას. ამ ქვეყნებში საზოგადოების ფუნდამენტური ურთიერთობები და ინსტიტუტები, მათი ფუნქციონირების ფორმალური და არაფორმალური ნორმები თანდათანობით დაიხვეწა, ფეხი მოიკიდა ადამიანთა ყოფაში, საზოგადოებრივი ქცევისა და აზროვნების კულტურაში. მათგან განსხვავებით, საქართველოს ახალი საზოგადოებრივი წყობა ისტორიული ევოლუციის ხანგრძლივ პროცეში კი არ ყალიბდებოდა, არამედ პირდაპირ, რაციონალურად გააზრებული და მიზანმიმართული ფორმით შენდება; ანუ ის, რისი შემოქმედიც სხვაგან ისტორიული პროცესი იყო, საქართველომ მოკლე დროში, გონებით გათვლილი პროექტით (სტრატეგიით) უნდა ააგოს. სახელმწიფო მშენებლობის პროფესიულად დამუშავებული სტრატეგიის უქონლობა, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ პრინციპული განსხვავების გაუცნობიერებლობის ნიშანია.

საქართველოს ახალ საზოგადოებრივ სისტემაში ქვეყნის არსებობისა და განვითარების მამოძრავებელი ენერგია პოლიტიკურად და ეკონომიკურად თავისუფალ ადამიანთა კერძო ინტერესმა უნდა შექმნას; საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად ამ ენერგიის წარმართვა კი ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა; ამისათვის მან ეს კერძო ინტერესები საჯარო სფეროს ფორმალურ ურთიერთობათა ჩარჩოში უნდა მოაქციოს. რეალურად კი პოსტსაბჭოურ ქაოსში მყოფ, კომპეტენტური და ზნეობრივი მართვის გარეშე დარჩენილ ქვეყანაში კერძო ინტერესებმა გადათელეს ფორმალური ურთიერთობები; მათი მოძალებით საჯარო სფეროს ფუნქციონირების წესის ფაქტობრივი განმსაზღვრელი არაფორმალური ურთიერთობები გახდა; სახელმწიფო ინტერესები, ფაქტობრივად, მთლიანად კერძო ინტერესებს დაექვემდებარა.

**სახელმწიფო მშენებლობის სტრატეგია არის საჯარო სფეროში არაფორმალური მექანიზმების დათრგუნვისა და ფორმალურ მოთხოვნათა შესაბამისად მათი დისციპლინირების ერთადერთი ლოგიკური საფუძველი.** ამგვარი სტრატეგია პროფესიულად დამუშავებული სისტემაა, რომელშიც ხელისუფლების სოციალური ვალდებულება, ეკონომიკური როლი, პოლიტიკური ფუნქცია და შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობა ურთიერთშეთანხმებულია, რაც სერიოზულ ლოგიკურ ბარიერს უქმნის კერძო ინტერესთა შესაბამისად და საზოგადო ინტერესთა საზიანოდ მოქმედ ყოველ ნორმათშემოქმედებას. სტრატეგიის უქონლობა პოლიტიკოსებს თვითნებობის თავისუფლებას ანიჭებს, ათავისუფლებს პროფესიული არაკომპეტენტურობით გამოწვეული დისკომფორტისაგან. გასაკვირი როდია, რომ საქართველოს პოლიტიკურმა სისტემამ აღმშენებლობითი სტრატეგიის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა; მეტიც, ის მას ხელსაც კი უშლიდა; ამგვარად ორიენტირებულ პოლიტიკურ სისტემაში აზროვნების სპეციფიკური "კულტურა" დამკვიდრდა: (ა) პოლიტიკაში სტრატეგიამ ადგილი დაკარგა; არ ჩამოყალიბდა მისი საჭიროებისა და მოხმარების წესის გაგება; (ბ) პოლიტიკაში ყოფითმა აზროვნებამ და ენამ დაისადგურა; პოლიტიკა "ყველას" საქმე გახდა; პოლიტიკური ფილოსოფიის ცნებათა შინაარსში გარკვევა, პოლიტიკური თეორიის მოდელებისა და მართვის პოლიტიკის დამუშავების პროფესიონალური ტექნოლოგიების ათვისება საჭირო აღარ გახდა; (გ) პოლიტიკის ყურადღების ცენტრში პრობლემათა მხოლოდ გამოვლინებები მოექცა; სახელმწიფო მშენებლობის პრობლემათა არსში წვდომა, მათი განმაპირობებელი ობიექტური პირობებისა და პოლიტიკის აუცილებლობათა გამოვლენა საჭირო აღარ გახდა.

3. საქართველოს ახალი ხელისუფლება ძველის უარყოფის ტალღაზე მოვიდა. ახლა იგი ურთულესი ამოცანის წინაშე დგას. ის სახელმწიფო სისტემა, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო, რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს; საამისო პროგრამა კი ახალ ხელისუფლებას ჯერ კიდევ გასაკეთებელი აქვს; ფუნქციონირების ძველ ფორმათა კატეგორიული უარყოფის გარდა, მას ჯერ კიდევ მკაფიოდ აქვს სათქმელი, თუ როგორ აპირებს ძველი სისტემის გარდაქმნას. ამავე დროს საქართველოს დღევანდელი ლიდერები და მათი "გუნდის წევრები" პოლიტიკოსებად ძველი სისტემის ფარგლებში ჩამოყალიბდნენ, იქ შეიძინეს სახელმწიფო მართვის დიდი ნეგატიური გამოცდილება; ახალი ხელისუფლების მიერ მიღებულ ზოგიერთ გადაწყვეტილებასა და პოლიტიკურ განცხადებაში უკვე შეინიშნება ძველი მიდგომების ინერცია; ამას ახლავე უნდა ვუფრთხილდეთ. აი, რამდენიმე მაგალითი:

საკადრო ცვლილებათა გატარებას ახალი ხელისუფლება ამჟამად დიდ ყურადღებას უთმობს. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ ნათლად განცხადებული პრინციპების გარეშე მიღებული საკადრო გადაწყვეტილება პოლიტიკურ თანამდებობებზე კვლავ "საკუთარი ხალხის" დანიშვნის კარგად ნაცნობ ფორმას ემსგავსება. თანამედროვე მიდგომით, სახელმწიფო სამსახურის თანამდებობაზე ინიშნება არა "პატიოსანი კაცი", არამედ "პატიოსანი და კომპეტენტური მოხელე". თავად ამ კომპეტენციის შინაარსი პირობითია და მხოლოდ შესაბამის თანამდებობაზე შესასრულებელი საქმიანობის შინაარსიდან, ე.ი. სახელმწიფოს შესაბამისი პოლიტიკიდან განისაზღვრება; ამიტომ, ჯერ ამგვარი პოლიტიკა უნდა არსებობდეს. ხოლო, როცა არც სახელმწიფო პოლიტიკა არის განსაზღვრული, არც საკადრო შერჩევის პრინციპები და საქმიანობის შინაარსია განცხადებული, მაშინ საკადრო გადაწყვეტილების არგუმენტის ადგილს, სამწუხაროდ, გადაწყვეტილების უშუალო მიმღების კერძო პოლიტიკური ინტერესი იკავებს ხოლმე. ამგვარ მიდგომას გარდუვალად სახელმწიფო სამსახურის მორალურ და პროფესიონალურ დეგრადაციისაკენ მივყავართ; ეს ყველაფერი კი უკვე კარგად ნაცნობი გუშინდელი დღეა.

მსგავს შეშფოთებას იწვევს საქართველოში პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღების შესახებ უკვე გაკეთებული განცხადება. მისი გატარება პრინციპულად ცვლის ქვეყნის ხელისუფლების მთელ სისტემას, რაც უკვე არა მარტო კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას, არამედ კონსტიტუციის კონცეფტუალურ გარდაქმნას ნიშნავს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებთან კვლავ ხელისუფლების მორგებას ვცდილობთ. სახიფათოა არა თავისთავად პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, არამედ ამ საკითხისადმი უაღრესად გამარტივებული მიდგომა; გარეგნულად ეს ტექნიკური საკითხი სინამდვილეში ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის სტრატეგიულ გადაწყვეტილებასთან არის დაკავშირებული. პირველ ყოვლისა, დასაყენებელია არა ახალი თანამდებობის შემოღების საკითხი, არამედ სახელმწიფო მართვის ის გამოვლენილი პრობლემა, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს. მხოლოდ ამ პრობლემის პროფესიონალური ანალიზის შედეგად შეიძლება იშვას მისი ეფექტური გადაწყვეტის წინადადება (ის კი აღნიშნული ანალიზის ჩატარებამდე უცნობია); მათ შორის, შეიძლება, გაჩნდეს პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღების წინადადებაც. ხოლო უკვე მზა პოლიტიკური გადაწყვეტილებით საქმის დაწყება კი, პოლიტიკური შეკვეთების გაცემის იმ მიდგომას ემსგავსება, რომელიც უკვე დაგმობილია.

ასევე, ყურადღებას იპყრობს ხელისუფლების განცხადება ქვეყნის საგადასახადო წესებში ცვლილებათა შესახებ. აქ, ისევ და ისევ, ამ ცვლილებათა კონკრეტულ შინაარსს არ ვეხებით; პრობლემა - საკითხისადმი მიდგომაშია. საგადასახადო წესები ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტია; იგი ამ პოლიტიკას ემსახურება, მის მიერ არის მთლიანად განსაზღვრული; ამიტომ, ინსტრუმენტის ცვლა და შედეგების შეფასებაც მხოლოდ ამ პოლიტიკის კონტექსტშია გასააზრებელი. იმ პირობებში კი, როდესაც თავად ეკონომიკური პოლიტიკა ხელისუფლებას ჯერ არ განუცხადებია, მართვის ძველი და მცდარი მეთოდოლოგიური პრინციპები იჩენს თავს; პოლიტიკის დღის წესრიგში კვლავ ქვეყნის ეკონომიკური პრობლემის ერთ-ერთი გამოვლინება დგება, და არა თავად ძირითადი პრობლემა და მისი გადაწყვეტის პოლიტიკა.

ზემოთ მოყვანილი ყველა მაგალითი ერთ საერთო ნიშანს ავლენს - არ იგრძნობა, რომ ხელისუფლებას მის ამჟამინდელ გადაწყვეტილებათა მეთოდოლოგიური დეფექტები გაცნობიერებული აქვს; არ ჩანს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მიმდინარეობს პოლიტიკის კეთების ძველი მიდგომების პრინციპული გადააზრების პროცესი; და რაც მთავარია, **არ იგრძნობა, რომ პოლიტიკოსებმა შეიცნეს ის ხიფათი, რომელიც საკუთარი პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად და სოციალური რეალობის ობიექტური ლოგიკის იგნორირებით მიღებულ გადაწყვეტილებებთან არის დაკავშირებული; ანუ, ასეთი რამ რომ სასტიკად ისჯება ქვეყნის მდგომარეობის გაუარესების შედეგად ხალხის თვალში ლეგიტიმურობის დაკარგვით, ე.ი. შემდეგი რევოლუციის პერსპექტივით.**

4. საქართველოს სახელმწიფო სისტემა განვლილ ათწლეულში მრავალი ობიექტური სირთულისა და სუბიექტური დარღვევის პირობებში ჩამოყალიბდა. ქვეყნის მომავალი განვითარების უზრუნველსაყოფად ეს სისტემა საფუძვლიან გარდაქმნას მოითხოვს. ხელისუფლების რევოლუციური შეცვლა ამ გარდაქმნის მხოლოდ პირველი და უმარტივესი ნაბიჯია. დღეს ქვეყანათა გარდაქმნის პროცესი პოლიტიკური ნებით წარმართული მიზანმიმართული ხელთქმნაა. ამიტომ პოლიტიკური აზროვნების ფორმებს, არსებულ პრობლემებთან მათ ადეკვატურობას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მას შემდეგ, რაც ძველი ხელისუფლების პოლიტიკური მიდგომები დაიგმო, საჭირო გახდა მისი ფუნქციონირების წესის ღრმა ანალიზი; სერიოზული დასკვნებია გამოსატანი იმ უზარმაზარი ნეგატიური გამოცდილებიდან, რომელიც სახელმწიფო მშენებლობაში დაგროვდა. სამწუხაროდ, ამ გამოცდილებიდან ცოტა რამ თუ გამოდგება განსახორციელებელ მშენებლობაში; ხელისუფლებას და საზოგადოებას ბევრი რამ თავიდან აქვს შესასწავლი, ეს განსაკუთრებით პოლიტიკური აზროვნებისა და სახელმწიფო მართვის სფეროზე ითქმის.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გაცნობიერებას, რომ **არსებული სისტემის ფარგლებში პრინციპულად შეუძლებელია ქვეყნის არც ერთი ცალკეული სიღრმისეული პრობლემის გადაწყვეტა**. ეფექტურად მოქმედ სახელმწიფო მანქანად ამ სისტემის გადაქცევა მოითხოვს ქვეყნის მთელი სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემის გარდაქმნას. ამ გრანდიოზული სამუშაოს ჩასატარებლად კვლავ არის საჭირო ქვეყნის მთელი მოსახლეობის მობილიზაცია, მაგრამ ახლა უკვე არა არსებულის რევოლუციური უარყოფის, არამედ ახლის შემოქმედებითი შენებისათვის. რასაკვირველია, კრიმინალები და ქურდები უნდა მოვაშოროთ საზოგადოებას; ასევე, ბევრი რამ არის შესაცვლელი ქვეყნის ადმინისტრირებისა და საკადრო სისტემებში; მაგრამ ეს ვერ გახდება საზოგადოებრივი მობილიზაციის ამოცანა, და, რაც მთავარია, ეს ვერ გამოიყვანს ქვეყანას იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი დღეს აღმოჩნდა.

განვითარების მიზნის მისაღწევად მოსახლეობის მობილიზაცია ამბიციური ეროვნული პროექტის დასახვას მოითხოვს. მსოფლიოს უახლოესი ისტორია ამგვარ პროექტებს კარგად იცნობს; იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი პროექტები დაისახა და მათ განსახორციელებლად ხალხის მობილიზაცია მოხერხდა, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში "განვითარების სასწაული" მოხდა (გერმანია, იაპონია, ირლანდია, მალაზია და სხვები). საქართველომ დღეს უნდა მიიღოს საკუთარი განვითარების სასწაულის მოხდენის ისტორიული გამოწვევა.

ამგვარი პროექტი ქვეყანამ საკუთრივ უნდა ჩამოაყალიბოს და განახორციელოს. სათანადო უნარის აგება, შესაბამისი პოლიტიკური, ორგანიზაციული და ინტელექტუალური უზრუნველყოფის შექმნა - დღეს საქართველოსათვის უმაღლესი პრიორიტეტის მქონე ამოცანებია. საჭიროა სტრატეგიული სამსახურების ჩამოყალიბება არა მხოლოდ ამგვარი პროექტების დამუშავების, არამედ ქვეყანაში პოლიტიკური აზროვნების ახალი კულტურის დამკვიდრების მიზნით. თუ საკუთარ თავში ჩაკიდებული ხელებით არ ამოვათრიეთ თავი იმ ჭაობიდან, რომელშიც ჩაფლულნი ვართ, ჩვენს შვილებს მსოფლიო განვითარების კუდში ჩანჩალისათვის გავწირავთ.

www.24hours.ge
24
B



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

# მომავალ ორშაბათამდე!



რაც არ უნდა ხდებოდეს ირგვლივ, აზრები მაინც პრეზიდენტის მომავალი ინაუგურაციის გარშემო ტრიალებს. როგორც ეტყობა, ეს არა მარტო მომავლის, არამედ დღევანდელობის განმსაზღვრელი და დღევანდელობასთან მიმართებით დამამუხრუჭებელი ყველაზე მთავარი მოვლენაა...

მაინც რატომ დამამუხრუჭებელი? — აი, თუნდაც 10 იანვრის ინფორმაცია წავიკითხოთ, რომელიც "24 საათმა" პირველ გვერდზე გამოაქვეყნა. მოქმედი პრეზიდენტი, **ნინო ბურჯანაძე** ასე პასუხობს აჭარის ავტონომიის მეთაურს: **"თუ "კმარელები" დაკავებულები არიან მხოლოდ იმიტომ, რომ მათ საკუთარი აზრი გამოხატეს, ჩვენ ამას ვერ შევეგუებით, მაგრამ თუ არსებობს მათ მიმართ რაიმე კონკრეტული ბრალდებები, ეს არგუმენტირებული უნდა იყოს"**. ამგვარი პასუხიდან არაფერი გამომდინარეობს, უფრო მეტიც, მას შეიძლება ბანალურიც ვუწოდოთ. ერთი სიტყვით, ორი რამ განსაზღვრავს ამგვარ პასუხს: ჯერ არ მომხდარა პრეზიდენტის ინაუგურაცია და საბოლოოდ არ შეთანხმებულან საპარლამენტო არჩევნების თარიღზე. სწორედ ამ ორი გარემოების გამო გრძელდება აჭარული რეჟიმის აგონია და დილეგში იტანჯებიან რეალური ადამიანები.

ახლა გადავიკითხე, რაც დავწერე, და აღმოვაჩინე, რომ მეც საკმაოდ ბანალური რამ გამომივიდა. რას იზამ, როცა დესპოტიზმთან კომპრომისზე მიდიხარ, ან თუნდაც ამ კომპრომისის შესახებ ლაპარაკობ, არ უნდა გქონდეს იმედი, რომ რიგით უნიჭობაზე უკეთესი რამ გამოგივა...

ჩვენ კი კვლავ ინაუგურაციას დავუბრუნდეთ და კიდევ რაღაცრაღაცეებს.

გასულ კვირას მოვლენათა განსხვავებული წაკითხვის ორი მაგალითი შემოგვთავაზეს **ემზარ ჯგერენაიამ** და **შალვა ნათელაშვილმა**. 9 იანვრის ნომერში ორივეს აზრი გავიგეთ იმის შესახებ, რომ საგზაო პოლიციის სამმართველოს შენობა მალე პრეზიდენტის რეზიდენციად უნდა გადაიქცეს. პირველი ინტერპრეტატორის (*ინტერმეცო ვარდების რევოლუციის "სახისმეტყველებისათვის"*) თანახმად, ხელისუფლებამაც შეამჩნია ბოლოს და ბოლოს, რომ თბილისი მარტო მარჯვენა სანაპირო არაა. ჩვენ კი დავამატებთ: **მიხეილ სააკაშვილი** ამ მხრივ საკმაოდ თანმიმდევრულია, რადგან გელათის არჩევა ინაუგურაციის ადგილად იმაზედაც მეტყველებს, რომ საქართველო მარტო თბილისი არაა. აშკარად ფართოვდება ჩვენი ხელისუფლების თვალსაწიერი!

თუმცა, ისიც უნდა შევახსენოთ დამთხვევების მოყვარულ პრეზიდენტს, რომ მისი წინამორბედის ინაუგურაცია მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს დაემთხვა და სვეტიცხოველში ჩატარდა. მაინც არ უშველა!

მაგრამ ამას კიდევ დავუბრუნდებით. ჯერ მეორე ინტერპრეტატორს, შალვა ნათელაშვილს უნდა მივხედოთ, თუმცა ინტერპრეტაციისაგან აქ შორს ვართ. ამ სუბიექტის გამონათქვამები მოცემულია **ლელა მჭედლიძის** მასალაში *ხალხი "ხალხის ინტერესების დამცველის" წინააღმდეგ*. სათაური მართლაც რომ ჰოლივუდურია, თუმცა შალვა ნათელაშვილს ნამდვილად მირჩევნია **ლარი ფლინტი**, თუნდაც იმიტომ, რომ მეტი სარგებლობა მოაქვს.

ნათელაშვილის არგუმენტები სიფაქიზით არ გამოირჩევა: **"იმის ნაცვლად, რომ ახალმა პრეზიდენტმა ეს თანხა პენსია-ხელფასების გაცემას მოახმაროს, მას ძველი "ქაჯეთის ციხის" ნაცვლად ახლის აშენება აქვს გადაწყვეტილი, თავისი ჰოლანდიური ბაღებითა და შადრევნებით"**. ესეც ასე, აი, თურმე სად უნდა იცხოვრონ მიხეილ სააკაშვილმა და სემირამიდა... ბოდიში... სანდრა რულოვსმა! მაგრამ ქართველი ლეიბორისტი აქ არ ჩერდება: **"მე-19 საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც თბილისის ჟანდარმერიის უფროსმა ეს შენობა ჟანდარმერიისთვის ააშენა, ვერ წარმოიდგენდა, რომ ორი საუკუნის შემდეგ ამ შენობაში დაბანაკებას მოინდომებდა რუსთავის ციხის ამშენებელი, ამჟამად კი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი"**. ეჰ, ნიცშეს თუ დავუჯერებთ, ჭეშმარიტების გულისთვის სიბინძურეშიც არ უნდა მოგვერიდოს ხელების ჩაყოფა. ამიტომაც დავუკვირდეთ ნათელაშვილის ნათქვამს. ის გარემოება, რომ ჟანდარმერიის უფროსი ვერ წარმოიდგენდა იმას, რაც მისი სიკვდილიდან 100 წელზე მეტი ხნის შემდეგ მოხდებოდა, არაფერს ნიშნავს, რადგან ამგვარ რამეს ვერავინ ვერ წარმოიდგენს, მათ შორის თვით ნათელაშვილიც. თუ მაინცდამაინც გვინდა ამ ტრუიზმის (გაცვეთილ ჭეშმარიტებას ეძახიან) რიტორიკაში გამოყენება, ის უნდა გაგვახსენდეს, რომ ცარიზმის აწ გარდაცვლილი მოხელე ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ რუსეთის იმპერიის საგუბერნიო ცენტრი დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქი იქნებოდა ოდესმე. რაც შეეხება რუსთავის ციხის აშენებას, ეს ჭეშმარიტ ღირსებად უნდა ჩავუთვალოთ სააკაშვილს, რადგან ქვეყანაში ყველა ღირსეულ პირობებში უნდა ცხოვრობდეს და ეს მოთხოვნა პატიმრებზეც ვრცელდება. დღეს არჩეული პრეზიდენტი მაშინ იუსტიციის მინისტრი იყო და სწორედ ამაზე ზრუნვა ევალებოდა. მაინც რატომ გამოიყენა ნათელაშვილმა ეს არსებითად დადებითი არგუმენტი სააკაშვილის წინააღმდეგ? საბჭოთა კავშირში ერიდებოდნენ საპყრობილეების აშენებას: იდეოლოგიის უპირველესი პირობა იყო, რომ დამნაშავეობა დროებითი, მალე და ადვილად დაძლევადი დაბრკოლებაა. ამავე მიზეზით ამბობდნენ, რომ არ არსებობს პროსტიტუცია და ნარკომანია. ამის გამო სასჯელაღსრულების ადგილები "ლაგერის" ან "ზონის" პრინციპზე იქმნებოდა, ხოლო სათანადო დანიშნულების შენობათა უმრავლესობა 1917 წლამდე იყო აშენებული და მათ გაფართოება გარემონტებაზე არავინ ფიქრობდა. ნათელაშვილის ამ გამონათქვამში საბჭოთა პროკურორის ხრინწი გაისმა ("კარები იკეტება? — აბა, დატეულან!") და საბჭოური ფოლადისაგან გამოჭედილი შუბი ლეიბორისტულ ხალთაში ვერ დაიმალა.

მაინც ვერ გავუძელი ცდუნებას და ამდენი ადგილი დავუთმე ამ სისულელეს. რატომ? ერთმა გარემოებამ თითქმის სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო: 8 იანვარს მიხეილ სააკაშვილმა ტელევიზიით სპეციალური განცხადება გააკეთა; განცხადებაში მოცემული იყო ერთადერთი არსებითი და ყველაფრის ასახსნელად სრულიად საკმარისი არგუმენტი: სახელმწიფო აპარატის შენახვა გაცილებით იაფი დაჯდება. რატომ არ ყოფნის ეს არგუმენტი ნათელაშვილს? მოდი და ნუ ჩავარდები სასოწარკვეთილებაში, როცა ჰორიზონტზეც კი არა ჩანს ჭკვიანი და გონიერი ოპოზიცია. ხან იმას ამბობენ, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკი პროვინციალიზმიაო, ხანაც გვმოძღვრავენ, რომ ჰიტლერი "სერიოზული ბიჭი" იყო. ახლა, სწორედ ახლა სჭირდება საქართველოს, და, როგორც ნინო ბურჯანაძე გაიძახის წამდაუწუმ, "თითოეულ ჩვენგანს" ჭკვიანი ოპოზიცია. ეს ოპოზიცია თვით მიხეილ სააკაშვილს სჭირდება... თორემ, როგორც გურიაში ამბობენ, *მარცხი ელანძეა*!

ჩვენ კი სხვაგან მოვძებნოთ ამ აზრის დამამტკიცებელი საბუთები.

გასულ კვირას ერთ განსაკუთრებით მრავალმნიშვნელოვან მოვლენასაც ჰქონდა ადგილი. მხედველობაში მაქვს შობის დღესასწაული და მისი თანმხლები საშობაო ეპისტოლე. წლევანდელი მაინც ისეთი საინტერესო იყო, რომ 8 იანვარს "24 საათმაც" გამოაქვეყნა მისი ფრაგმენტი. აქ ვკითხულობთ შემდეგს... თუმცა არც არაფერს ვკითხულობთ... ვარიაციები პავლე მოციქულის ეპისტოლედან იმის შესახებ, რომ ყოველი ხელისუფლება ღვთისგან არის... მერე მსჯელობა კონფუციუსის ერთი გამონათქვამის გარშემო... მთავარი სადღაა? რატომ აუარეს გვერდი იმ ფრაზას, რომელიც არ გამორჩენია ჩვენს ელექტრონულ მედიას და რომელშიც კათოლიკოს-პატრიარქი ადასტურებს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მუდამ ახალი ხელისუფლების გვერდში იქნება? ამ შეკითხვაზე პასუხი არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მთელი საშობაო ეპისტოლეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ეს ფრაზა იყო.

მაინც რას ნიშნავს ეს?

ახლა ნუ დავიწყებთ იმის გარჩევას, რამდენად გვერდში ედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში არსებულ მთავრობებსა თუ რეჟიმებს და რა მოუტანა მათ ამ გვერდში დგომამ. უბრალოდ, დავფიქრდეთ, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს დღეს.

ახალი ხელისუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იზოლაციონიზმზე უარის თქმა და ჩვენი ბოლოდროინდელი დილემის (რუსეთი-ამერიკა) რადიკალურად აშშ-ს სასარგებლოდ გადაწყვეტაა. გამოდის, რომ საშობაო ეპისტოლეს უმთავრეს პოლიტიკურ ფრაზაში ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ მალე ჩვენი ეკლესიაც აღარ იქნება იზოლაციონიზმის უკანასკნელი ბასტიონი და ამქვეყნად მცხოვრებ მართლმადიდებელთა უმრავლესობის მსგავსად ჩვენც დავუბრუნდებით ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს და ჩვენი ცხოვრების ლოცვითსა და საერო რიტმებს გავაერთიანებთ ახალი სტილის კალენდრით.

ეს იმას ნიშნავს, რომ მეც მოვესწრები იმ ღვთივკურთხეულ დღეს, როცა საერთაშორისო საეკლესიო შეხვედრიდან ჩამოსული რუსი დეკანოზი ქედმაღლურად არ მესვრის სახეში — "Видел я там одного вашего епископа... Ну, что поделаешь!" — და მე სირცხვილით არ დავიწვები იმის გამო, რომ საკუთარი გული და გონება ვერ შევარიგე; როცა სასულიერო აკადემიის კარი გაიხსნება ყველასათვის, ვისაც მართლმადიდებელი ღვთისმეტყველების შესწავლა უმაღლეს დონეზე სურს დამოუკიდებლად საკუთარი სარწმუნოებრივი თუ სამოქალაქო შეხედულებებისა და ჩვენი სულიერი მემკვიდრეობა საზოგადო საერო კუთვნილებად იქცევა; როცა ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე კურთხევამიღებული მორწმუნე მრევლი ბაზარში არ გავარდება თევზის საძებნად, თვით ეკლესიის მწყემსთმთავარი კი შობამდე არ მიულოცავს ქართველ ერს ახალი წლის დადგომას.

ბოლომდე თანმიმდევრულნი რომ ვიყოთ, ხელისუფლების გვერდში დადგომა სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს, რადგან სხვა მრავალთან ერთად, თვენახევრის წინ, შემოდგომის მიწურულს, თბილისი იმიტომაც აივსო რევოლუციური ვარდებით, რომ საქართველო რუსეთს არ მიეყიდოს ხორცითა და სულით.

მაგრამ ჯერ-ჯერობით ეკლესიის გვერდში დგომა მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით, ანუ სწორედ დგომითა და უძრაობით გამოიხატება: შობის დღესასწაულზე კათოლიკოს-პატრიარქი ნახევარი საათის განმავლობაში ელოდა, თუ როდის გამოჩნდებოდა მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრა არ სურდა. მე ვისურვებდი, ყველაფერი პირიქით იყოს: ეპისკოპოსი მკაცრად უნდა მოუწოდებდეს პრეზიდენტს, როგორც მრევლს და მხარს უჭერდეს პრეზიდენტს, როგორც პოლიტიკოსს. ღვთისმსახურება არ უნდა ყოვნდებოდეს პრეზიდენტის გამო ისევე, როგორც არც ერთი ჩვენგანის გამო არ დაყოვნდება. საჯარო პირთა ოჯახის წევრების სულიერი ცხოვრებაც არ უნდა გახდეს მედიის ინტერესის საგანი, რადგან ასეთ შემთხვევაში გაჩნდება ეჭვი და დაბრკოლდებიან ისინი, ვისაც სახარებაში წაკითხული აქვს, რომ ლოცვა დახშულ კარებს მიღმა გვმართებს, რათა მამამან ჩვენმან, რომელმან იცის დაფარული, მოგვიზღოს ცხადად.

ნუთუ პირიქითაა საქმე და საერო ხელისუფლებაზე ფრთხილი და მალული კონტროლის დაწესების მცდელობასთან გვაქვს საქმე? თუ არა, რატომ დაუძვრა სერიოზულ ანალიზსა და შეფასებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, **თედო ჯაფარიძის** ერთი უცნაური განცხადება იმის შესახებ, რომ შესაძლებელია საქართველომ ცალმხრივად შეამსუბუქოს რუსეთთან სავიზო რეჟიმი. ესეც ასე! — მაშინ, როცა მთელი პროგრესული კაცობრიობა (ხომ არ მეშლება, ხომ სწორედ იმ ენაზე ვლაპარაკობ, რომელიც ასე კარგად ესმით ყოფილ "აპარატჩიკებს"?) იმას ცდილობს, რაც შეიძლება გაამკაცროს რუსეთთან სავიზო რეჟიმი, ჩვენ მის შემსუბუქებაზე ვოცნებობთ?! თანაც ცალმხრივად! დაუჯერებელია. ისე კი, თუ საფრანგეთთან სავიზო რეჟიმი გვაქვს, რატომ არ უნდა გვქონდეს რუსეთთან? განა "მისრეთით მოფრანგენი" არ ისევე არ მოდიოდნენ ავთანდილის სიმღერის სასმენად, როგორც რუსნი და სპარსნი? მაშინ ბარემ საფრანგეთთანაც ვეცადოთ. ან იქნებ საფრანგეთის ელჩი (ზურაბიშვილი) ნაკლები ქართველია რუსეთის ელჩზე (ჩხიკვიშვილზე)?

ერთი კიდევ ვიკითხოთ ხმამაღლა: რატომ დაუძვრა სერიოზულ ანალიზსა და შეფასებას საგარეო საქმეთა მინისტრის ეს განცხადება?

იტარ-ტასის კორესპონდენტი **ევგენი ტკაჩოვი** 7 იანვარს გვაუწყებს, რომ თედო ჯაფარიძეს ის არ მოსწონებია, რომ მოსკოვში გასამგზავრებლად მასაც კი მოუხდა რუსეთის საელჩოში ვიზის მიღება. ამის მერე კი განუცხადებია, რომ ეს რეჟიმი ორივე ქვეყანას უქმნის დამაბრკოლებელ სიძნელეებს. რის დამაბრკოლებელს?

მოკლედ ამასაც შევეხოთ. თუმცა ოდნავ მოულოდნელი მხრიდან...

10 იანვარს "24 საათში" გამოქვეყნდა **ვერიკო თევზაძის** ორი მასალა *ოპოზიცია სერიოზული კოალიციის შექმნას აპირებს* და *"ხელისუფლებას სურს, არჩევნები ხალხის გამოფხიზლებამდე ჩაატაროს"*. არ შეგეშინდეთ, ჯერ მხოლოდ ლაპარაკია ედპ-სა და ტრადიციონალისტების კავშირზე, მაგრამ ესენი თურმე არც სხვა "მემარჯვენე ძალების" შემოერთებაზე იტყვიან უარს, რაც მათ **"პოტენციალს კიდევ უფრო გაზრდის"**.

ამათი რიტორიკა ისევ ძველებური ხატოვანი ლანძღვა-გინებაა:

**"ამ ხელისუფლებამ, თავის დროზე, "მოქალაქეთა კავშირი" მუსიკის ჰანგებით მოიყვანა ქვეყნის სათავეში, დღეს კი უნდა "ვარდების სინდრომით" დამკვიდრდეს"**.

**"ხელისუფლება, რომელიც ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებას ვერ შეძლებს, ცდილობს, არჩევნები ხალხის გამოფხიზლებამდე ჩაატაროს"**.

რას გვეუბნებიან "სერიოზული კოალიციის" მომავალი წევრები ამ სიტყვებით? ჯერ ერთი, იმას, რომ ბათუმურ რეჟიმში გაჩენილი ბზარი სერიოზული გაფრთხილებაა მომავლისათვის: მხარდაჭერის ერთი მნიშვნელოვანი რგოლი ირღვევა. ამიტომაც არიან ასე გაბრაზებულნი: **"აღორძინება" თავფეხიანად ჩაბარდა**. ადრე, გაჭირვების ჟამს, ყველანი ცალ-ცალკე დარბოდნენ ბათუმში. ახლა სადღა ირბენენ? ბათუმში მიღებული ნუგეშების პირველწყარო სადაც მდებარეობს, ხომ გასაგებია, ახლა ისიც ვიკითხოთ, იქნებ ამგვარი ნუგეშების მიღებას აბრკოლებს დღეს რუსეთთან არსებული სავიზო რეჟიმი? არა, მე არაფერს ვამტკიცებ, მხოლოდ კითხვას ვსვამ.

მაგრამ სხვა რამესაც გვეუბნება ოპოზიცია. 4 იანვრის არჩევნებამდე გიჟი მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი იყო (არჩევნების შემდეგ, მადლობა ღმერთს, ოპოზიციისავე თქმით, ის მხოლოდ "ფეთქებადია"), დღეს კი ეს სიგიჟე რატომღაც მთელ ქართველ ერს მოედო. "ვარდების სინდრომი", "ეიფორია", — ასეთ ტერმინოლოგიას მიმართავენ და ამტკიცებენ, რომ არჩევნები აუცილებლად "გამოფხიზლების" შემდეგ უნდა ჩატარდეს. გამოფხიზლებად კი, როგორც ეტყობა, ის მდგომარეობა ჩაითვლება, როცა ბაჩუკი ქარდავას ან აკაკი ასათიანის რეიტინგი 40 პროცენტამდე აიწევს. ეჰ, არ გვიწერია გამოფხიზლება და ეგაა!

მაგრამ აქ უფრო მეტი სერიოზულობა გვმართებს, რადგან სიტყვა "ეიფორია" დამაფიქრებელი სიხშირით ისმის ტელეეთერიდან და იკითხება პრესაში. მაგრამ "ეიფორია" მეტაიურიდიული ცნებაა და რეალურად მას ვერაფერში გამოვიყენებთ. სრულიად წარმოუდგენელია, მაგალითად, ასეთი მუხლი საარჩევნო კოდექსში: *"საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა 95 % თავისუფალი იქნება ეიფორიის მდგომარეობისგან"*. მაინც რატომ აქვს საქართველოში ამ აბსურდს უფრო მეტი გასავალი, ვიდრე, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოდგენილ ცხად და გასაგებ გაანგარიშებას სახელმწიფო აპარატის შენახვის ხარჯებზე? რატომ უნდა დავიჯეროთ, რომ ოპოზიციური კოალიცია სერიოზული იქნება, თუ ასეთი არასერიოზული არგუმენტებით მსჯელობს და, უფრო მეტიც, სრულებით დაკარგული აქვს რეალობის გრძნობა? რატომ წუწუნებენ ისინი, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა იდიოტია, თუ თვით მათი არგუმენტაცია მხოლოდ იდიოტებზეა გათვლილი?

როგორც ეტყობა, ეს ადამიანები ამ ქვეყნისანი არ არიან. მაგრამ რაღა უშლის ხელს, ამ ქვეყანაში მათ დაბრუნებას? — ალბათ ისევ ის ყბადაღებული სავიზო რეჟიმი.

პირადად მე ერთ რამეს მინდა მოვესწრო: როცა რომის ან მილანის აეროპორტში მომიწევს საპასპორტო კონტროლზე გასვლა, მქონდეს უფლება, ევროკავშირის მოქალაქეთა სწრაფმავალ რიგში ჩავდგე. ამისათვის კი რუსეთის საელჩოში ვიზის მისაღებად სამკვირიან ვადაზეც თანახმა ვიქნები. ამასვე გისურვებ შენ, ჩემო მკითხველო.

ჰო, მართლა! — დამშვიდობებას ვაპირებდი უკვე, მაგრამ გამახსენდა, რომ ბოლო დროს მრავალი ზეპირი და წერილობითი თხოვნა მიმიღია, გამოვხმაურებოდი **ქეთევან იგნატოვას** ყოველკვირეულ რუბრიკას "გულახდილად". აი, მაგალითად, 10 იანვრის ჩანახატი *ანიმაციური სიახლე ტელეეკრანზე*. განიხილება ტელეკომპანია "მზის" ერთი კორესპონდენტის, როგორც ქეთევან იგნატოვა იხსენიებს მას, **"ვინმე სოფიკო ნიკოლაიშვილის"** რეგულარული სიუჟეტი "ბლიც-ინტერვიუ". ჩანახატში ნათქვამია, რომ ამ ვინმე სოფიკო ნიკოლაიშვილს **"კარგი მანერების არაფერი გაეგება"**, რადგან **"ამგვარი ჟესტიკულაცია, ინტონაცია, ემანსიპაცია არაფერია, გარდა ელემენტარული უზრდელობისა"**. კეთილი და პატიოსანი: ამ შეფასების შინაარსთან კამათი მართლაც ძნელია, მაგრამ შინაარსის გარდა არსებობს ფორმაც. ოჰ, არა! — მე სულაც არ მოვითხოვ მის შერბილებას და აზრადაც არ მომდის, "კორექტულობისაკენ" მოვუწოდო ქეთევან იგნატოვას. საქმე გაცილებით უფრო ფაქიზადაა. ეს "ვინმე სოფიკო ნიკოლაიშვილი" ყველა რესპონდენტს უსვამს ერთ შეკითხვას: "რა ჰქვია სპილოს შვილს?". გამოკითხულთაგან ვერც ერთმა ვერ უპასუხა. ეს ნიშნავს, რომ ამ ბლიც-ინტერვიუს არავინ არ უყურებს.

ჩემი პრეტენზიები სხვაგვარია: ღირდა კი "24 საათის" ფურცლებზე "ღამის მზერის" რეკლამის მოთავსება? ნუთუ იმდენად მაინც არ ვიცნობთ ადამიანებს, რომ იმის გაგებასაც ვერ ვახერხებთ, რომ უზრდელი და ემანსიპირებული ტელეკორესპონდენტის ნახვა ყველას დააინტერესებს და მისი გამოჭერის მცდელობაში **ინგა გრიგოლიასაც** მიაყოლებს სრული დოზით?

ბასრი და უკომპრომისო კრიტიკა დიდი მონაპოვარია, მაგრამ თან თეორიული სიღრმე თუ არა, ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო გამჭრიახობა მაინც უნდა მივაყოლოთ.

ახლა კი რეიტინგები შევამოწმოთ : ყველას გასაგებად ვამბობ, რომ სპილოს შვილს ჰქვია **სპლიყვი**. თუ ახლა ჩვენმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა "მზის" ეთერში სწორი პასუხების გაცემა დაიწყო, ამ ტელეკომპანიის მესვეურებს "24 საათისათვის" მადლობის გადახდა არ უნდა დაავიწყდეთ.




### კინო

**ამირანი**
“ფრედი ჯეისონის წინააღმდეგ”
დას: 13:30; 18:00; 20:00 სთ.

“რეალური სიყვარული”
15:30; 22:00 სთ.
ფასი: 6-9 ლარი

### რუსთაველი

"ნემოს ძიებაში"
(ქართულ ენაზე)
დას: 12:00; 16:00; 18:00 სთ.

"ჯაშუშთა შვილები 2"
დას: 14:00; 20:00 სთ.

### გამოფენა

თბილისის ისტორიის მუზეუმი **“ქარვასლა”**
გეგა ქუთათელაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### ძველი გალერეა

ლადო ფოჩხუას ნამუშევრების გამოფენა

### რუსთაველის საზოგადოების საგამოფენო დარბაზი

პეტრე ფილინის ფოტონამუშევრების გამოფენა

### თანამედროვე ხელოვნების გალერეა

საახალწლო საშობაო გამოფენა "50 ახალგაზრდა მხატვრის საახალწლო სიურპრიზი"

# ლიტერატურა უპირველეს ყოვლისა

ვერა ნეფარიძე

ცოტა არ იყოს გამიკვირდა, როდესაც ახალი ქართული ვებ-საიტების შესამოწმებლად ქართულენოვან კატალოგს www.geres.ge-ს გადავხედე და ვნახე, რომ ბოლო დროს გაკეთებულ ელექტრონულ გვერდებს შორის, რაოდენობრივად ლიტერატურული ვებ-საიტები გამოირჩეოდნენ.

ლიტერატურის ასეთი უპირატესობა არ გამკვირვებია – ჩვენ ხომ მგოსნების ერი ვართ?! და რამდენი “ოფიციალური” პოეტიცაა, ასჯერ მეტია ჩვენში “არაოფიციალურთა” რაოდენობა. თუკი ამაში აქამდე ქართულ სუფრასთან ყოფნისას ვრწმუნდებოდით, ახლა უკვე წყნარად, ინტერნეტში ხეტიალის დროსაც შეიძლება დავადასტუროთ ეს მოსაზრება.

პოპულარული ქრათული კატალოგის “გერესის” (www.geres.ge) მონაცემებით ქართულენოვანი ლიტერატურული გვერდების რაოდენობა 49-აა. ბოლო დროს ყველაზე საინტერესო აღმოჩენა “ლიტერატურული კიდობანი” (litkidobani.gateway.ge) იყო. ახლა უკვე მას ღირსეული მეტოქეობა შეუძლია გაუწიოს ახალმა ვებ-საიტმა geliterature.narod.ru-მ ზუსტად არ ვიცი, როდის “გაუშვეს” ქსელში ეს საიტი, მე მაინც მინდა, საიტზე მოცემულ ქართველ ავტორთა სიმცირე (იაკობ ხუცესს თუ არ ჩავთვლით, აქ, ძირითადად, მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის პოეტთა და მწერალთა შემოქმედებაა) საიტის “ასაკს” დავაბრალო. იმედია, მისი შემქმნელები საიტის განახლება-გამდიდრებას სერიოზულად შეუდგებიან. საიტის უპირატესობად უნდა მივიჩნიოთ ცალკეული კატეგორიები. აქ ტრადიციულ პროზა-პოეზიის გარდა არის: თარგმანები, ამონარიდები (რამდენიმე მწერლის ნაწარმოებიდან) და სხვა ქართული ლიტერატურული ვებ-საიტების მისამართები. სწორედ ამ ბმულებიდან შევიტყვე საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ტექსტების ცენტრის ვებ-მისამართიც. როგორც შევიტყვეთ, პროექტით ელექტრონულ ბიბლიოთეკაში უნდა შევიდეს ქართული მხატვრული და ისტორიოგრაფიული მწიგნობრობის შედევრები, საცნობარო ლიტერატურა. პროექტი მასშტაბურია. საწყის ეტაპზე კი, ინტერნეტში განთავსდება ქართული მწიგნობრობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. ამჟამად ამ საიტზე მოცემულია “ვეფხისტყაოსანი”, მართლმადიდებლურქრისტიანული ლიტერატურა, ქართული ლიტერატურის ისტორია, ბიბლია და სახარება და.შ.



*ქეთი მელუას პერსონალური ვებ-საიტი.*

რახან ლიტერატურით დავიწყეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ცალკე გვერდი ეთმობა გიგლა ლეონიძის პოეზიას. www.geocities.com/komblege/poez.htm - “საქართველოს ცრემლები”, პოეტის ერთგვარი ელექტრონული კრებულია.

ერთი ასეთი უცნაური საიტია ინტერნეტში- web.sanet.ge/meskhitb/shairi.htm, პირდაპირ ამ საიტზე თუ შეხვალთ, ვერც ვერაფერს მიხვდებით. აი, “გერესიდან” კი მიხვდებით, რომ აქ მოთავსებულია თბილისური ცხოვრების ოთხტაეპიანი ჩანახატები, მაგალითად ასეთი ტიპის: **ერთმანეთში არეული საფერავი და ადესა/საუცხოოდ დაიწურა, გემო მისცა სიცოცხლესა/ უცხო გემო ღვინოს ახლავს, თუმცა აღარ უცვლის ფერსა,/ახალ სისხლს თუ ერიდები, დააბერებებ საწნახელსა.** ეს ყველაფერი კი საიტის შემქმნელს სლავა მესხს შეუგროვებია.

ერთგვარი “ჩარტების” შედგენა რომ იყოს ჩვენი მიზანი, მაშინ ლიტერატურას, ალბათ, სახვითი ხელოვნება თუ გაეჯიბრებოდა. ინეტრენტში ისეთი მხატვრების შემოქმედება შეიძლება იხილო, მათი სახელი და გვარიც რომ არ გსმენია. რა თქმა უნდა, ამაში დასაძრახი არაფერია. როდესაც ჭირს და გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული გალერეებში ამ ყველაფერის გამოფენა, სჯობს, საწადელი ისე მარტივად აისრულო (თუკი კომპიუტერის ცოდნა ამაში ხელს გიწყობს, - მითუმეტეს), როგორიცაა სხვადასხვა ან საკუთარ ვებ-საიტებზე ამ ნამუშევრების გამოტანა. თანაც, იმდენი უსაქმური აღმოჩნდება მერე ამ შენს ვირტუალურ სამყაროში, რომ არცერთ გალერეას არ დაესიზმრება. ყველა მხატვარისთვის კი არსებობს ასეთი მისამართი - gm.iatp.org.ge – არტ-გალერეა “შენკო”. აქ მხატვრებისთვის სხვადასხვა საჭირო ინფორმაციის მოძიების გარდა, სხვადასხვა ავტორის ნამუშევრების ვირტუალური გამოფენის დათვალიერებაცაა შესაძლებელი.

სწორედ გუშინდელი ვირტუალური ხეტიალისას შევიტყვე ქართველი მომღერლის ქეთი მელუას შესახებ. ახალგაზრდა ქართველი მომღერლის ვებ-საიტი ინგლისურენოვანია და საკმაო ინფორმაციას იძლევა ჩვენთვის უცნობი ადამიანის შემოქმედებაზე. “რიალ პლეიერის” დახმარებით კი ქეთის ერთადერთი ალბომისა და სინგლში შესული სიმღერების მოსმენაც არის შესაძლებელი. ასე რომ, ხანდახან შეიძლება მართლა გამოგადგეს ადამიანს ინტერნეტში ბორიალი.

## პატარა უფლისწულის წარმატება

საბავშვო თეატრალური სტუდია ”ბერიკები“ ინდოეთიდან დაბრუნდა. მსოფლიო თეატრალურ ფესტივალში საბავშვო თეატრალური დასებიც მონაწილეობდნენ.

როგორც სტუდიის ხელმძღვანელმა გოგი თოდაძემ განაცხადა, ”ბერიკებმა“ ფესტივალზე ერთი სპექტაკლი - ეგზიუპერის ”პატარა უფლისწული“ წარმოადგინა. მისივე თქმით, წარმოდგენამ მაყურებელი აღაფრთოვანა. ფესტივალზე პრიზები არ იყო დაწესებული, სამაგიეროდ ქართულმა დასმა რამდენიმე საქმიანი შეთავაზება მიიღო.

ამჟამად ”ბერიკები“ ახალ სპექტაკლებზე მუშაობს. წარმოდგენას ჯერ ქართველი, შემდეგ კი უცხოელი მაყურებელი იხილავს. გოგი თოდაძის თქმით, სტუდიაში ოსკარ ვაილდის ”ვარსკვლავბიჭუნა“ და მეტერლინკის ”ლურჯი ფრინველი“ იდგმება. **მედია-ნიუსი**

## ˝ფიროსმანი˝ მოსკოვში

ცნობილი ქართული ვოკალური ანსამბლი ”ივერია“ მოსკოვში მორიგი გასტროლებისთვის ემზადება. ანსამბლი მოსკოვში 20-21 იანვარს საკონცერტო დარბაზ ”როსიაში“ მიუზიკლ „ფიროსმანს“ წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, მიუზიკლის დადგმის იდეა 1985 წელს გაჩნდა, თუმცა მხოლოდ ათი წლის შემდეგ განხორციელდა. მაყურებლების წინაშე ”ფიროსმანი“ თითქმის 80-ჯერ წარადგინეს.

ლიბრეტოს ავტორია ჯემალ ბაღაშვილი, მუსიკა კი კომპოზიტორ ალექსანდრე ბასილაიას ეკუთვნის. რუსი მაყურებლებისთვის ლიბრეტო პოეტმა იაშენცევმა თარგმნა, პროგრამაში ტექსტი შესულია ინგლისურ ენაზეც.

მოსკოვში დაგეგმილ კონცერტებში ”ივერიის“ 45-კაციან შემოქმედებით ჯგუფთან ერთად მონაწილეობს ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე. მედუდუკეთა ნომერს კი ანსამბლი ”დილის საარი“ შეასრულებს. კონცერტის წამყვანი იქნება ნუგზარ კვაშალი. სპეციალურად მოსკოველი მაყურებლებისთვის მუსიკალური არანჟირების ავტორია ახალგაზრდა მუსიკოსი გია ბაღაშვილი.

”ივერია“ მოსკოვში რამდენიმე დღეში გაემგზავრება, გაზაფხულზე კი ”ფიროსმანს“ თბილისელ მაყურებლებს წარუდგენს. **მედია-ნიუსი**

## ˝სიყვარული და კარტოფილი˝ თბილისში დაბრუნდა

გუშინ კინოს სახლში ახალგაზრდა რეჟისორის ნონა გიუნაშვილის კომედიური ჟანრის მოკლემეტრაჟიანი ფილმის ”სიყვარული და კარტოფილის“ პრემიერა გაიმართა. ფილმის სცენარის ავტორია მალხაზ ბარბაქაძე, კომპოზიტორი - მიხეილ ჩეკურიშვილი. ფილმში ცნობილი მსახიობები: თამაზ თოლორაია და ნანული სარაჯიშვილი მონაწილეობენ.

ფილმი სადებიუტო გახდა დამწყები მსახიობების: თაკო თოლორაიასა და მამუკა მუმლაძისთვის. მართალია, თბილისში ფილმი პირველად გუშინ აჩვენეს, მაგრამ ის შარშან მაისში დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების კინემატოგრაფისტთა ერთკვირიანი ფორუმის დახურვაზე წარადგინეს. ფორუმზე ფილმმა როგორც მაყურებლების, ისე კინოკრიტიკოსების დიდი მოწონება დაიმსახურა. ფორუმის თავმჯდომარე სცენარისტი რუსტამ იბრაგიმბეკოვი იყო. მისი თქმით, ფილმში აღდგენილია სიყვარულის ძველი ქართული რაინდული ტრადიციები, რომლის ნოსტალგიას მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე განიცდის. ამ ფილმს ცნობილმა კრიტიკოსებმა ”ძველი ქართული კომედიის ოქროს ხანის დაბრუნება“ უწოდეს.

”თუკი კომედია ცუდი გამოვა, რეჟისორის ბრალია, თუ კარგი - მსახიობის დამსახურებაა და აპლოდისმენტებსაც ის იღებს. ამიტომ, როდესაც რეჟისორი კომედიის გადაღებას იწყებს, მან უნდა დაივიწყოს ”პალმის რტოებიცა“ და ”ოქროს დათვებიც“. ძველი ქართული კომედიის ნოსტალგია უკვე 20 წელიწადია გრძელდება. ეს სწორედ იმ კრიზისის გამოხატულებაა, რასაც ამ პერიოდში არა მარტო კინემატოგრაფი, არამედ მთელი ქვეყანა განიცდიდა. მიხარია, რომ ბოლო პერიოდში ქართულ კინოში ნათელი ფერები მომრავლდა“, – განაცხადა რეჟისორმა ნონა გიუნაშვილმა. **მედია-ნიუსი**

## ბუკა მანაგაძე გვპირდება

ახალგაზრდა მომღერალმა ბუკა მანაგაძემ დაასრულა მუშაობა ახალ სიმღერაზე, რომლის ტექსტის ავტორია ბუკას მამა, კომპოზიტორი ზურაბ მანაგაძე. სიმღერას ეწოდება ”მენატრება ბავშვობა“ და ის სტუდია ”სანოში“ ჩაიწერა. კლიპის გადაღებები მე-9 არხის სტუდიაში მიმდინარეობდა; მისი რეჟისორი და ოპერატორია გიორგი კიკალეიშვილი. ამჟამად კლიპის დამონტაჟება მიმდინარეობს. პრეზენტაცია უახლოეს პერიოდშია დაგეგმილი. ბუკა მანაგაძე კი ამჟამად კომპოზიტორ მაია კაჭკაჭიშვილის რამდენიმე სიმღერის ჩაწერაზე მუშაობს. ***მედია-ნიუსი***

## ˝მეკობრეობის˝ წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება

ჰოლივუდში მოიფიქრეს, როგორ შეებრძოლონ “მეკობრეობას” რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამიერიდან ჰოლივუდის კომპანია, Columbia Tri Star კომპაქტ-დისკებს მოსკოვშიც აწარმოებს და ფილმების გავრცელებაზეც თავად იზრუნებს. ამჟამად კინოკომპანია ამთავრებს საწარმოთა ხაზის მონტაჟს.

დისკების ფასს რუსეთში ამერიკელები თავიდან ათ აშშ დოლარამდე დაიყვანენ, მოგვიანებით კი შესაძლებელია 5-6 ამერიკულ დოლარამდე დაწევაც.

რუსეთის ბაზარზე არალიცენზირებული DVD-ების დონე 92 პროცენტს აღწევს, რითაც რუსული და ამერიკული კინოწარმოება დაახლოებით ყოველწლიურად 450 ამერიკული დოლარით ზარალდება.

უახლოეს მომავალში რუსეთში საკუთარი DVD-ების წარმოებას დაიწყებს ჰოლივუდის ცნობილი კომპანია Warner Brothers.

# თინეიჯერული რეფლექსი

ნენე კვინიკაძე

პირველი თინეიჯერები, ვის შესახებაც ინფორმაციას ლიტერატურული წყაროებით ვიღებთ, იყვნენ შეყვარებულები, რომელთა სიყვარულის ისტორიაც ყველაზე ტრაგიკული ფინალით დასრულდა - რომეო და ჯულიეტა. ადამიანები, რომლებმაც, მიუხედავად არასრულწლოვანებისა, წარმოუდგენელი თავგანწირვის უნარი გამოავლინეს. ისინი ერთმანეთს შეაკვდნენ საოცარი სიყვარულის გამო.

არავინ იცის, იყო თუ არა ეს იმის მაგალითი, რომ არსებობს განცდა, რომელიც შიშზე და სიკვდილზე უფრო მაღლა დგას. არც იმაზე კამათს აქვს აზრი, თუ რამდენად ჰქონდათ მათ გაცნობიერებული მოსალოდნელი შედეგი.

მაგრამ ფაქტია, სწორედ თინეიჯერულ ასაკში იწყება (ძირითადად, რაღა თქმა უნდა) მოწონებისა და მიჯნურობის, ასე თუ ისე, სერიოზული განცდები. ეს არის დრო, როცა დასრულებული ბავშვობა რევოლუციისა და ანარქიის გარეშე უნდა გადაიზარდოს ახალ ეტაპში - თვითდამკვიდრება, საკუთარი თავის ძიება და პოზიციის დაფიქსირება.

აქედან გამომდინარე, თინეიჯერები საკუთარ თავთან ყოველთვის მართალნი არიან. მაშინაც კი, როცა გაუცნობიერებლად "ირჩევენ" და არაფერი სმენიათ იმის შესახებ, რომ, რაღა თქმა უნდა, "არ უნდა გააკეთო არჩევანი, თუნდაც ფერებში - წითელსა და თეთრში, როცა არ იცი რაზეა საუბარი, ბილეთზე თუ დროშაზე".


*თინეიჯერი ყველგან თინეიჯერია.*

თუმცაღა, ამით არ ინგრევა ქვეყანა. თინეიჯერობა თავისთავადი პროცესია. გაივლის და ერთ დღესაც დამთავრდება.

ამასობაში კი თინეიჯერებმა ყურადღება უნდა მიიქციონ - საქციელით, საუბრის მანერით და, რაღა თქმა უნდა, ტანისამოსით - ხან მოდის ფეხდაფეხ, ხანაც მოცემული ფორმის დარღვევით.

მოდა ყოველთვის დროის ადეკვატური იყო, ანუ არც ის ფაქტია შემთხვევითი, რომ 2001-2002 წლებში საოცრად მოდური გახდა სამხედრო ფორმის ქსოვილი. მოზღვავებული ომებისა და ქაოტური ვითარებების გამო, ქალებმა თითქოს სოლიდარობა გამოუცხადეს ჯარისკაცებს და ზემოთხსენებული ქსოვილისაგან დამზადებული ტანისამოსისათვის "გარდეროზში" ადგილი გამონახეს. ასევე საგრძნობლად იმატა ქალაქში მოკლე ვარცხნილობით დამშვენებული ქალების რიცხვმა. რა არის ეს, მოვლენის ადეკვატური შეფასება, ანუ მოდა, თუ, უბრალოდ, პანიკა?

ასეა თუ ისე, ადამიანები ყოველთვის ბაძავენ ვიღაცას ან სადღაც ნანახს. განსაკუთრებით კი თინეიჯერები, რომელთა "მოდუნებული" გონებაც იოლად ისრუტავს მოცემულს.

არსებობს შემთხვევები, როდესაც კინოგმირების ჩაცმულობა გამხდარა მისაბაძი - მითუმეტეს, თუ გმირი, შენი ტოლია.

მაგალითად, როცა ეკრანებზე გამოვიდა ძეფირელის Endless Love, სადაც ბრუკ შილდსის პარტნიორს - დონ მიურეის აცვია "ფუტბოლკა" (სპორტული მაისური) ნომრით 33. პრემიერიდან მოყოლებული ეს ნომერი საოცრად მოდური გახდა. ქურთუკები და მაისურები ამ ციფრით დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მაგრამ, ჩვენ ქალაქში ძნელი გასარკვევია, თუ საიდან იღებენ მოდას და რითი ხელმძღვანელობენ ე.წ. თინეიჯერები, რომელთა გარჩევა ერთმანეთისაგან საკმაოდ ძნელია. მიზეზი კი გახლავთ გავრცელებული სტანდარტული ჩაცმის სტილი. ინდივიდუალობის განცდის არარსებობა. თუმცაღა, განმასხვავებელი ნიშნების შემჩნევაც შესაძლებელია სკოლების, უბნების და ინსტიტუტების მიხედვით.



მაგალითად: საბურთალოელი თინეიჯერები უპირატესობას სადა, სტანდარტულ სამოსს ანიჭებენ. დამახასიათებელია ასევე სტანდარტული ფორმისვე მაქსიმუმ ყავისფერი ჩანთა.

ვაკელ თინეიჯერებს ყოველთვის ეტყობოდათ, რომ მათსავე უბანში განლაგებული ძვირადღირებული "ბუტიკების" ხშირი სტუმრები არიან.

ვერის უბანში, თითქოს, ყოველთვის არსებობდა ალტერნატივა, რომელიც მოცემულში თუნდაც "ჯინსის" ჩანაცვლებას მოიაზრებს.

რაც შეეხება ინსტიტუტებს, აქ ყველაფერი გასაგებია, არ არსებობს, ერთმანეთში აგერიოს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი სამედიცინო, ან პედაგოგიური, ინსტიტუტის სტუდენტში.

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ თინეიჯერები არ კითხულობენ წიგნებს, ძირითადად, გართობით შემოიფარგლებიან და დისკოთეკებზეც ერთნაირად ცეკვავენ.

და მაინც, რადგან სამყაროში ყველაფერს გააჩნია ორი მხარე, აქაც მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე - ეს ის ასაკია, როცა შიში მაქსიმალურად გაქვს დაძლეული. შეგწევს ძალა აბსურდი დააკონკრეტო და ყველაზე მტკიცედ ჟღერს შენი "არ მინდა". მთის წვერიდან თხილამურებით ისეთი სისწრაფით ეშვები, რომ შიშის შეგრძნებას ვერც კი ასწრებ. ალბათ ამ პერიოდს ჰქვია კიდევაც აფექტი.

ამიტომ მე ვერ ვხედავ დრამას ზემოთხსენებულში. ბევრად ტრაგიკული არის ის, რომ არავინ ფიქრობს იმ ფორმის მოგონებაზე, რომლითაც თინეიჯერებთან კონტაქტში შესვლა, მათთვის ინფორმაციის მიწოდება და სხვა მრავალი გახდება შესაძლებელი.

იქნებ ჩვენშია მიზეზი. ჩვენ ხომ არ შეგვიქმნია მათთვის მისაბაძი (იდეალური), მათსავე ტოლი, გმირები არც კინოში და არც ლიტერატურაში. ჩვენ სიმბოლური ციფრიც კი ვერ მოვიგონეთ, ისე, უბრალოდ.

ვითხოვთ მაქსიმუმს და ეჭვის თვალით ვუყურებთ ასაკს 13-დან 19-მდე. ბოლოს და ბოლოს, თინეიჯერობაც დამთავრდება. ეს ადამიანები წიგნებსაც წაიკითხავენ და ფილმებსაც ნახავენ, როდესღაც "გარდერობსაც" განაახლებენ, და თუ შეუყვარდათ, რომეო და ჯულიეტას ბედსაც გაიზიარებენ.

**P.S.** ჩემი თინეიჯერობა, სულ რაღაც 3 წლის წინ დამთავრდა. უმტკივნეულოდ, დემონსტრაციებისა და გაფიცვების გარეშე. ისე, ძირითადად ყველასთან ასე ხდება.

# ტელესერიალის წარმატების გასაღები

### ˝სექსი დიდ ქალაქში˝ ბოლო სიტყვას ამბობს



პოპულარულ ამერიკულ სერიალს,"სექსი დიდ ქალაქში" ხშირად შოუ-პოდიუმსაც ეძახიან. ეს იმიტომ, რომ მაყურებელ ქალებზე მას ისეთივე ეფექტი აქვს, როგორც მოდის ჟურნალებსა და ჩვენებებს. რაც აცვიათ და უკეთიათ "სექსი დიდ ქალაქში", ის მაშინვე ხდება მოდური ატრიბუტი მანდილოსნებში. ასე რომ, ფაქტია, სერიალი ერთმანეთს აკავშირებს ჩვეულებრივ ქალებსა და მოდის ინდუსტრიის ყველაზე ელიტარულ ტენდენციებს.

თუმცა, ერთ თვეში ყველაფერს ბოლო მოეღება – ოთხი ნიუ იორკელი ქალის ცხოვრების სექსუალურ-კომიკური ეპიზოდები ეთერში აღარ გავა – იანვარში ხომ ამერიკელებისთვის სერიალის მეექვსე და ბოლო სეზონი დაიწყო. ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ ეს გარემოება ყველაზე მეტად მოდის სახლებსა და ბუტიკებს დაამწუხრებთ. მათთვის ხომ კერი ბრედშოუს გამოხდომები პირდაპირ მისწრება იყო – კერის შემხედვარე ქალები დაუფიქრებლად იხდიდნენ 450 დოლარს ერთ წყვილ, სრულიად არაპრაქტიკულ ფეხსაცმელში მხოლოდ იმიტომ, რომ ის მანოლო ბლაჰნიკის ანდა ჯიმი ჩუს შეკერილი იყო (შეგახსენებთ, რომ სარა ჯესიკა-პარკერის პერსონაჟი კერი ბრედშოუ ძვირფასი ფეხსაცმელების შეძენის სენითაა შეპყრობილი). თუმცა, სანამ, სერიალი ერთხელ და სამუდამოდ დასრულდებოდეს, მოდით, გადავხედოთ წინა სეზონებს და ვნახოთ, რა მოდური ტენდენციები დაამკვიდრეს კერიმ და მისმა მეგობრებმა რიგით ამერიკელ ქალებში.

სერიალის მეორე სეზონი: კერი ბრედშოუ გამუდმებით ატარებდა ყელსაბამსა და კულონს, რომელზეც თავისი სახელი ჰქონდა ამოტვიფრული და "ფლეიბოის" კურდღლის თილისმას. მას ცხადია, მაყურებლებმაც აუბეს მხარი და სასწრაფოდ საკუთარი სახელობის კულონები დაამზადებინეს ოქრომჭედლებს. ბუნებრივია, დაიტაცეს "ფლეიბოის" კურდღლებიც. მესამე სეზონში კერიმ პიჯაკის გადაკეცილ ბორტზე დიდი ზომის აბრეშუმის ყვავილები მიიმაგრა და ეს მოდაც ყველა ქალმა გადაიღო. ხოლო "ფენდის" ბაგეტის ფორმის ჩანთები მანამ არ შემოვიდა მოდაში, სანამ სერიალის გოგონები "სთარბაქსში" ფინჯანი ყავის დასალევად არ შეიკრიბნენ. მეტიც, ამ ეპიზოდის შემდეგ თვალისდახამხამებაში იყიდებოდა "ფენდის" პატენტებიც. მერე იყო და კერიმ ჩანთიდან ვარდისფერი ბროლით დაფარული მობილური ტელეფონი ამოაძვრინა და ქალებმაც თავიანთი "ნოკიები" ხელოვნების ნიმუშად აქციეს.

ასე რომ, უმეტეს შემთხვევაში, "სექსი დიდ ქალაქში" გაცილებით უფრო ეფექტური საშუალებაა აქსესუარისა თუ ტანსაცმლის პოპულარიზაციისთვის, ვიდრე მოდის ჟურნალი, ანდა პომპეზური ჩვენება გახლავთ. მართალია, არის შემთხვევებიც, როცა ქალები ამა თუ იმ ნივთს შეგნებულად იმიტომ არ ყიდულობენ, რომ ის პოპულარულია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში "სექსი დიდ ქალაქში" მიზანს აღწევს – ცხვირაბზუებული ქალები უმცირესობაში რჩებიან.

კერი ბრედშოუსა და მისი მეგობრების წარმატების საიდუმლო, მათი თავისუფალი სტილი და ექსპერიმენტული ბუნებაა. ისინი ხომ გაბედულად უზავებენ ერთმანეთს ძველმოდურს, კიჩურსა და დახვეწილი გემოვნებით შექმნილს. "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტი სწორედ ამიტომაც წერს, რომ ეს შოუ მოდის ჟურნალს გავს, რომელსაც საინტერესო პერსონაჟები, ეფექტური სიუჟეტი და ბევრი ემოცია ახალისებს და სიცოცხლეს მატებს. ანდა, შოუს ასეც შეიძლება ეწოდოს, - წერს ის – "მოდის ჩვენება პოდიუმზე დიალოგებითურთ".

ასეა თუ ისე, "სექსი დიდ ქალაქში"-ს ვებ-გვერდზე მართლაც აქტიურად მუშაობს ფორუმი მოდის საკითხებზე. იქ შოუს ფანი ქალები ერთმანეთს უზიარებენ კერის, სამანტას, მირანდასა და შარლოტას ჩაცმულობის შესახებ შეხედულებებს და ერთმანეთს იმასაც უმტკიცებენ, რომ ხშირ შემთხვევაში ნიუ იორკელი გოგონების მიბაძვა ღირს.

აი, რას ამბობს, კერის თაყვანისმცემელი, ელიზაბეტ რაფერტი: "სიამოვნებით მექნებოდა კერის გარდერობი. ის ახერხებს, ერთმანეთს შეუზავოს რამდენიმე უცნაური სტილი და მაინც მოდურად გამოიყურებოდეს. მაგალითად, ერთ-ერთ სერიაში მას თავზე ბენდენა ეკეთა, "შანელის" გამოსასვლელი ბლუზი ეცვა, ფეხზე კი ფერადი გამაში და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. ამ უცნაური ჩაცმულობის მიუხედავად ის მაინც შეუდარებლად გამოიყურებოდა. რაც მთავარია, კერი მაშინაც კი იპრანჭება, როცა გოგონებთან ერთად ლანჩზე მიდის. სერიალის დაწყებამდე მე ამას არასდროს ვაკეთებდი. კაბის ყოველდღიურად ჩაცმა ძალიან მეუხერხულებოდა. ახლა კი ჩაცმულობას ისე ვუყურებ, როგორც ერთ სახიფათო და ამაღელვებელ თავგადასავალს".

ასე რომ, ფაქტია, სერიალიდან ჩაცმულობის გადაღებით, ქალებს ჰგონიათ, რომ ერთი მთლიანი იმიჯი შეიძინეს. მათ ვირტუალური მეგობრობა აქვთ გაჩაღებული კერისთან და მის მეგობრებთან და ყოველ სერიაში პოულობენ პასუხს ერთ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე: "ნეტა, სად აპირებ ამის ჩაცმას?".

აი, სწორედ ამიტომაა, რომ მოდის ბიზნესში სერიალის დამთავრება დიდ გლოვას იწვევს. თუმცა, როგორც "ვაშინგტონ პოსტი" წერს, "სექსი დიდ ქალაქში" ტელესერიალების თეორეტიკოსებსაც დააკლდებოდათ: ეს შოუ ხომ კლასიკური მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ ეხმარება მოდა რეჟისორს სიუჟეტის ეფექტურად გადმოცემაში. სწორედ მოდამ განსაზღვრა კერის, სამანტას, მირანდასა და შარლოტას სახეები. და, რაც მთავარია, მოდამ განსაზღვრა მაყურებლის გემოვნებაც და მოდამ დაამყარა ხილული და ხანგრძლივი კავშირი აუდიტორიასა და ტელეპერსონაჟებს შორის.

# რას ამბობენ ვარსკვლავები


ბონო


კრის მარტინი


ელტონ ჯონი


ნოელ გალაჰერი


კრისტინა აგილერა


გრემ კოქსონი


ჯონ ლაიდონი


რობი უილიამსი


ბობ დილანი


მადონა


შინეიდ ო'კონორი


ვივიან კემპბელი


პოლ სტენლი

"თუ გსურთ, ნახოთ მდიდარი მშობლების მიერ გარყვნილი ბავშვი, საკმარისია, შეხედოთ კელი ოსბორნს. გამომიჩნდა პროტესტის გამომხატველი, თანაც აცხადებს, რომ პანკია! წარმოგიდგენიათ? არა, გოგონა, არ გაგანაწყენებ, მაგრამ არანაირი პანკი შენ არ ხარ! შენ, უბრალოდ, ქონის დიდი ტომარა ხარ და მორჩა. არაფერსაც არ წარმოადგენ", - **ჯონ ლაიდონი**, Sex Pistols.

■ ■ ■

"ხანდახან ვაკვირდები ლიამს კონცერტებზე, როდესაც 50-ათასიანი ტალღის წინ დგას და მთელი ეს ხალხი პირდაფჩენილი შეჰყურებს მას; ლიამი კი თვალებდაჭყეტილია, რადგანაც არ იცის, რა თქვას, და არა იმიტომ, რომ ასე აქვს ჩაფიქრებული. "ღმერთო ჩემო, რა სულელია!"- ვფიქრობ ამ დროს, იმიტომ, რომ მე მას კარგად ვიცნობ. რომ არ ვიცნობდე, აუცილებლად ვიტყოდი: "ღმერთო, ის ნამდვილად გენიოსია!" - **ნოელ გალაჰერი** (Oasis) საკუთარი ძმის, ლიამის შესახებ, რომელიც ამავე ჯგუფის ვოკალისტია.

■ ■ ■

"არ არის აუცილებელი, დიდებული გიტარისტი იყოთ, რომ "ბლერში" ან მსგავსი ტიპის ჯგუფში დაუკრათ. ეს არც ისე რთული სამუშაოა. ამისათვის საკმარისია, ახალგაზრდამ იცოდეს გიტარის ხელში დაჭერა და ისიც, თუ რა უქნას ინსტრუმენტს", - ჯგუფ "ბლერის" ყოფილი გიტარისტი, **გრემ კოქსონი** ყველაფერ საუკეთესოს უსურვებს თავის შემცვლელს, საიმონ ტონგს.

■ ■ ■

"უამრავი გეი-მუსიკოსი "ნორმალური" ხდება. მე კი ვაპირებ, ჩამოვაყალიბო ორგანიზაცია ისეთი ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მამაკაცებისთვის, რომლებიც გეებად იქცნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, მისი ერთადერთი წევრი მე ვიქნები... არადა, დამეთანხმებით, როგორი სანახავი იქნებოდა კიდ როკი, რომელიც მამაკაცს კოცნის! თუმცა, დარწმუნებული ვარ, თავად მას არ ხიბლავს ასეთი პერსპექტივა – **რობი უილიამსი**.

■ ■ ■

და კიდევ ერთი განცხადება რობი უილიამსისაგან: "29 წლის მერწყული, მწეველი, ეძებს გოგონას ან ბიჭს დროის ერთად გასატარებლად – ღამ-ღამობით პოკერის სათამაშოდ ან ანონიმური ლოთების საზოგადოებაში... მადლობა Brits, რომ მომცა საშუალება, გავანდო საზოგადოებას ჩემი მარტოხელა გულის წადილი. იმედი მაქვს, მომავალ წელს მე აქ მარტო არ მოვალ" - **რობი ვილიამსის** მიმართვა შარშანდელი "ბრიტების" დაჯილდოების ცერემონიალზე.

■ ■ ■

"... ტელევიზია ეს მარადიული რეალითი-შოუა, American Idol-ის მსგავსი. ადამიანებს სურთ, იყვნენ პოპულარულები და არც კი იციან, რისთვის უნდათ. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ რაღაცისთვის უნდა სჭირდებოდეთ! თუკი შენ იცი, როგორ გამოიყენო ძალაუფლება, რომელსაც პოპულარულობა მოგიტანს, მაშინ ტყუილად დაგიკარგავს დრო", - მადონა.

"მე ბედნიერად მიმაჩნია საკუთარი თავი, რომ აშშ-ს მოქალაქე ვარ და ამის მრავალი მიზეზი მაქვს. მათ შორის, ერთ-ერთია თვითგამოხატვის თავისუფლება. მე არ ვარ ბუშის წინააღმდეგი, მაგრამ არც - ერაყის მომხრე. მე მშვიდობისკენ ვარ", - თქვა **მადონამ** საკუთარ სიმღერაზე American Life, რომლის ვიდეოკლიპის გადაკეთებაც გადაწყვიტა ერაყში საომარი მოქმედებების დაწყების გამო.

■ ■ ■

"ეს მადონას საუკეთესო სიმღერა არ არის. ეს სიმღერა მე მკლავს. მას ხომ მელოდიაც არა აქვს, გესმით? ამის მიუხედავად, მადონას უაღრესად ნიჭიერად და უდიდეს შემსრულებლად მივიჩნევ", - ასე ფიქრობს **ელტონ ჯონი** მადონასა და მის სიმღერაზე Die Another Day.

■ ■ ■

"ადამიანებს სურთ, აშინებდნენ. მათ სურთ სპექტაკლი, წარმოდგენა. აი, რატომ უყვართ ასე საშინელებათა ფილმები, და აი, რატომ დარჩა ჩვენი ჯგუფი მწვერვალზე ამდენი ხნის განმავლობაში", - **პოლ სტენლი**, "კისის" გიტარისტი.

■ ■ ■

"ხალხი მეუბნება: "ბონო, ყველანი დაგვღალე. სადაც არ უნდა გავიხედოთ, ყველგან შენ ხარ. მუდმივად გაჯილდოებენ, ხვდები პოლიტიკოსებს". მე თვითონ დავიღალე ბონოსგან, მაგრამ სად წავიდე, მე ხომ თავად ბონო ვარ...", - **ბონო**, U2.

■ ■ ■

"თუკი ქუჩაში თქვენთვის ცნობილ ადამიანს შეხვდებით, არც კი შეხედოთ მას. ყველაზე საუკეთესოს, რასაც მისთვის გააკეთებთ, ის იქნება, თუ, უბრალოდ, მშვიდად გაივლით. მერწმუნეთ, მისთვის ეს სიყვარულის გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა" - **შინეიდ ო კონორი**.

■ ■ ■

"მწყინს ხოლმე, როდესაც საკუთარ თავს ვერ ამოვიკითხავ ყველაზე ცუდად ჩაცმულ ცნობილ სახეთა შორის, რადგანაც ძალიან მოსაწყენია, გამოიყურებოდე ისე, როგორც დანარჩენები!", - **კრისტინა აგილერა**.

■ ■ ■

"როდესაც ელვის პრესლის პირველად მოვუსმინე, მივხვდი, რომ მანამდე სრულ სიბნელეში ვიყავი", - **ბობ დილანი**.

■ ■ ■

"მე არ ვფიქრობ, რომ Def Leppard ოდესმე ნამდვილი ჰევი-მეტალ ჯგუფი იყო. თავისი არსებობის განთიადის დროსაც კი ის გაცილებით "პაპსა" იყო, ვიდრე მაშინდელი როკ-კოლექტივები. Def Leppard ჩვეულებრივი პოპ-ჯგუფი იყო, რომელსაც თავი როკერად მოჰქონდა. მოაშორეთ მის მუსიკას ხმაურიანი დასარტყამი ინსტრუმენტები და გიტარების ჟღარუნი – რა დარჩება მისგან? ჩვეულებრივი სიმღერები მასებისთვის", - Def Leppard-ის გიტარისტი **ვივიან კემპბელი**.

■ ■ ■

"ვიდრე შენი ფირფიტები აქტიურად არ გაიყიდება, მანამდე შენზე გადაკრულად არავინ არაფერს იტყვის – უბრალოდ, ამას არანაირი აზრი არ ექნება. მაგრამ, როგორც კი წარმატებას მიაღწევ, მაშინვე თავს დაგატყდება კრიტიკის ტალღა", - **კრის მარტინი**, ჯგუფი "ქოლდფლეი".

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალი" დააჯარიმებს რონალდოს, რომელიც უნებართვოდ ლონდონში გაემგზავრა და ამის გამო ვარჯიშზე დააგვიანა. რონალდო ინგლისის დედაქალაქში იმიტომ გაემგზავრა, რომ გამოიყენა კლუბის ხელმძღვანელთა ნებართვა - მას და გუნდის კიდევ რამდენიმე წამყვან მოთამაშეს საშუალება მისცეს, ესპანეთის თასის გათამაშების მატჩი "ეიბარის" წინააღმდეგ გამოეტოვებინათ. თუმცა, დასვენების მიუხედავად, ბრაზილიელს დაუკითხავად მადრიდის დატოვების უფლება არ ჰქონდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონას" მცველმა პატრიკ ანდერსონმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა შვედეთის კლუბ "მალმესთან". სწორედ ამ კლუბში დაიწყო ანდერსონმა 12 წლის წინათ საფეხბურთო კარიერა. ადრე პატრიკ ანდერსონი, რომელსაც ახლახან 32 წელი შეუსრულდა, "ბლექბერნში", მიონხენგლადბახის "ბორუსიასა" და მიუნხენის "ბაიერნში" თამაშობდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "პარმას" პრეზიდენტმა სტეფანო ტანციმ განაცხადა, რომ თანამდებობას ტოვებს. ის იმედოვნებს, რომ ამით გაკოტრებას გადაურჩება. ტანცის განცხადებას 14 იანვარს დააკმაყოფილებენ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბუენოს-აირესის მცხოვრებლები გახდნენ მიუზიკლის მოწმენი, რომელსაც ჰქვია "ათი ნომერი: ცასა და ჯოჯოხეთს შორის". ამ ნამუშევარში რეჟისორებმა დიეგო მარადონას მთელი ცხოვრება წარმოადგინეს. ფეხბურთელად ჩამოყალიბება, სახელგანთქმული გოლი 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ნარკოტიკების გამოყენება და ხშირი ჩხუბი პაპარაცებთან. "როიტერის" ცნობით, მარადონა ამ წარმოდგენას არ ესწრებოდა. თუმცა, ორგანიზატორები ირწმუნებოდნენ, რომ მიუზიკლის გადაღების ნება მათ მარადონამ დართო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "როიტერის" ცნობით, ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა გადაწყვიტა, ცოლს გაშორდეს. როგორც ბლატერის პრეს-ატაშე დორის ფიალა-გოლდიგერი იუწყება, მეუღლეებს შორის არავითარი უკმაყოფილება არ არსებობს. მომავალში ისინი ერთად დაესწრებიან სხვადასხვა ღონისძიებას და მეგობრულ ურთიერთობას შეინარჩუნებენ. ბლატერი გრაციელაზე შარშან, მარტში დაქორწინდა. ცნობილია, რომ ცოლი ბლატერზე 26 წლით უმცროსია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის "ლივერპულმა" მოძებნა ორი ტრავმირებული მეკარის - კრის კირკლანდისა და ირჟი დუდეკის შემცვლელი. "საუთჰემპტონიდან" იჯარის წესით "ლივერპულში" პოლ ჯონსი გადაბარგდა. თუმცა, ეს მეკარე მერსისაიდელთა კარს მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში დაიცავს. "საუთჰემპტონმა" მხოლოდ ამის საფუძველზე დათმო თავისი მეკარე. "ეს გადასვლა ჩემი ოცნების ასრულებაა. მართალია, ეს მხოლოდ ერთ თვეს გაგრძელდება, მაგრამ ეს იქნება თვე ევროპის (თუ მსოფლიოს არა) ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში. ეს თავის გამოჩენის შესანიშნავი საშუალებაა. მე რომ ამ წინადადებაზე უარი მეთქვა, მომავალში ძალიან ვინანებდი", - განაცხადა ჯონსმა. მეკარემ ისიც აღიარა, რომ ყოველთვის "ლივერპულს" ქომაგობდა.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ადელაიდაში დასრულდა ვაჟთა საჩოგბურთო ტურნირი. ერთეულთა ფინალში სლოვაკმა დომინიკ ჰრბატმა ფრანგი მიშელ ლოდრა დაამარცხა და ტურნირის გამარჯვებული გახდა. მატჩის ანგარიშია 6:4, 6:0.

■ ■ ■

**სათხილამურო სპორტი.** გუშინ ესტონეთის დაბა ოტეპაიაში მსოფლიო თასის ეტაპის ფარგლებში გაიმართა შეჯიბრება სათხილამურო რბოლაში. ვაჟთა ესტაფეტაში გაიმარჯვეს გერმანელმა მოთხილამურეებმა. მეორე ადგილზე იტალიელები გავიდნენ, მესამეზე კი - რუსები. ქალთა თანრიგში წარმატებით იასპარეზეს ნორვეგიელებმა, რომლებმაც, შესაბამისად, გერმანელები და ფინელები ჩამოიტოვეს.

■ ■ ■

**სათხილამურო სპორტი.** ბიატლონში 12,5 კილომეტრ დისტანციაზე რბოლაში გაიმარჯვა რუსმა ანა ბაგალიმ. მან ნორვეგიელ ლივ გრეტ პუარეს აჯობა. მესამე ადგილზეა გერმანელი უში დისლი.

■ ■ ■

**სათხილამურო სპორტი.** სლოვენიის კურორტ პაკლიუკაში გაიმართა შეჯიბრება 15 კილომეტრზე ბიატლონში. ტურნირი მოიგო ნორვეგიელმა ჰალვარდ ჰანევოლდმა, რომელმაც სლოვენიის შეჯიბრებამდე ყველა სტარტი გამოტოვა. მან წამზე ნაკლები მოუგო თანამემამულე ოლე ეინარ ბიორნდალენს. მესამე გერმანელი მიხაელ გრაისი იყო.

■ ■ ■

**სათხილამურო სპორტი.** ნორვეგიელმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა მოიგო მსოფლიო თასის ეტაპი ბიატლონში. მან რუს ნიკოლაი კრუგლოვს აჯობა. მესამე ადგილიც რუს მოთხილამურეს ერგო - ბრინჯაოს მედალი სერგეი ჩეპიკოვმა მოიპოვა.

■ ■ ■

**სათხილამურო სპორტი.** შტეფან ებერჰარტერმა მოიგო შამონიში მიმდინარე მსოფლიო თასის ეტაპი სწრაფდაშვებაში. მეორე ადგილზე გავიდა ნორვეგიელი ლასე კიუსი. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ავსტრიელ მიხაელ ვალჰოფერს.

## ფეხბურთი

# აბრამოვიჩი კარლოსს მიუახლოვდა

### "რეალის" ბრაზილიელი მცველი "ჩელსის" წინადადებით დაინტერესდა



*რობერტო კარლოსი რთული არჩევანის წინაშე დგას.*

მიუხედავად იმისა, რომ ლონდონის "ჩელსის" მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ ახალი ფეხბურთელების შეძენის აუცილებლობა გამორიცხა, მისი შეფი, რუსი მილიარდერი აბრამოვიჩი მაინც ცდილობს ახალი ვარსკვლავების დამატებას. სულ ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ჩელსი" ლუიშ ფიგუს გადაბირებით დაინტერესდა. ახლა კი ლონდონელებს რობერტო კარლოსის შეძენა მოუნდათ.

ფიგუს ადრეც უთქვამს, რომ ინგლისში თამაშის დიდი სურვილი აქვს, თუმცა, "რეალის" მიტოვებას არ აპირებს. პორტუგალიელი არც მწვადს წვავს და არც შამფურს. ფიგუ აცხადებს, რომ "რეალიდან" წასვლას არ აპირებს, თუმცა, არც იმას გამორიცხავს, რომ პრემიერლიგაში გააგრძელებს კარიერას.

ფიგუსგან განსხვავებით, საკმაოდ მყარი პოზიცია ეკავა რობერტო კარლოსს. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას სანერვიულო არაფერი ჰქონდა, რადგან კარლოსის კონტრაქტის გაგრძელებასთან დაკავშირებით მხარეებმა ჯენტლმენურ შეთანხმებას მიაღწიეს. მიუხედავად ამისა, "რეალი" კიდევ ერთხელ დარწმუნდა, თუ რამდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენს მისთვის აბრამოვიჩი.

კარლოსი, რომელიც გამუდმებით ამტკიცებდა, რომ "რეალთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებდა, სხვანაირად ალაპარაკდა. ის ამბობს, რომ ხელშეკრულების გაგრძელებას არ ჩქარობს. "რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი და რობერტო კარლოსი ორი კვირის წინათ შეხვდნენ ერთმანეთს. ისინი შეთანხმდნენ, რომ ახალი წლის პირველივე დღეებში გაახანგრძლივებდნენ კონტრაქტს. მაგრამ ამის შემდეგ კარლოსმა "ჩელსისგან" მიიღო წინადადება. ლონდონურმა კლუბმა ახლა უკვე ოფიციალური მიწვევა გაუგზავნა კარლოსს და ძალიან დიდი ხელფასი შესთავაზა. ბრაზილიელი მცველი პერესისთვის მიცემულ სიტყვას არ ასრულებს და "რეალთან" კონტრაქტს ჯერჯერობით არ აგრძელებს.

"დიახ, ჩვენ გვქონდა შეთანხმება იმის შესახებ, რომ "რეალთან" კონტრაქტს გავაგრძელებდი. მაგრამ მე არ მსურს ახალი ხელშეკრულების გაფორმება მანამ, სანამ ახლანდელი კონტრაქტი არ ამოიწურება", - განაცხადა კარლოსმა. რას ნიშნავს ეს? ნუთუ იმას, რომ კარლოსი აბრამოვიჩის მილიონებმა მოხიბლა? საქმე ის არის, რომ კარლოსისთვის "ჩელსის" მიერ შეთავაზებული ფინანსური პირობების მსგავსი პირობების შეთავაზება თვით მადრიდის "რეალსაც" არ შეუძლია. ალბათ, მალე შევიტყობთ, როგორ არჩევანს გააკეთებს ბრაზილიელი – "რეალის" ერთგული დარჩება თუ აბრამოვიჩის მილიონებს ამჯობინებს...

## ფორმულა 1

# სკუდერიამ პრეზენტაცია დათქვა



*2003 წლის „ფერარის" შემცვლელი უკვე მზადაა.*

ბიბა ბურასაშვილი

ფორმულა 1-ის 2004 წლის სეზონი სამეფო რბოლებისთვის ახალი ბოლიდების ერთგვარ აღლუმს დაემსგავსება. გამორიცხული არაა, 7 მარტს, ავსტრალიის გრან-პრიზე, "BMW-ულიამსისა" და "მაკლარენ-მერსედესის" მსგავსად, იტალიურმა საჯინიბომ სტარტზე "ფერარის" ახალი ბოლიდიც შეაგოროს. მართალია, ხსენებული ბობოლა სამეულის გარდა, გულხელდაკრეფილნი, არც სხვა დანარჩენი საჯინიბოები არიან, მაგრამ მათი ნაღვაწი, ტრიოსთან შედარებით, რა თქმა უნდა, გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურება. უფრო სწორად, ერთი-ორი გუნდის გარდა, მათი უმეტესობა ძველი ბოლიდების მოდერნიზებით შემოიფარგლა. "BMW-ულიამსისა" - FW26 და "მაკლარენ-მერსედესის" - MP4-19 პირმშოებზე ადრე, შეძლებისდაგვარად, ჩვენც ვიუწყებოდით. ახლა ორიოდე სიტყვა "ფერარიზეც" ვთქვათ, თუმცა, ჯერჯერობით, მხოლოდ იმით შემოვიფარგლოთ, თუ როდის იხილავს მზის შუქს ახალი "ფერარი". შაბათს წითელი ბარონის მესვეურებმა გამოაცხადეს, რომ 26 იანვარს ახალ ბოლიდს ახდიან ფარდას. დათქმულია ადგილიც და დროც. რა თქმა უნდა, ახალი ბოლიდის პრეზენტაციას დაესწრებიან მთავარი მესაჭეები - მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო. პრეზენტაციის ადგილიც, რა თქმა უნდა, ჩრდილო იტალია, ბოლონიის მახლობელი მარანელოა. ანუ, ადგილი, სადაც "ფერარის" შტაბბინაა განთავსებული. თარიღი - 26 იანვარი, პრეზენტაციის დრო კი - 11 საათი. ერთადერთი, რაც, ჯერჯერობით, უცნობია, ესაა თარიღი იმისა, თუ როდის გავა ტრასაზე F2004.

ბოლო ორი წლის განმავლობაში იტალიელები ბოლიდის პრეზენტაციას თებერვალში აწყობდნენ, ხოლო საწყის ეტაპებზე ძველი მოდელით გადიოდნენ სტარტზე.

ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა. ანუ, 2003 წლის სეზონში აშკარად იგრძნობოდა ძირითადი კონკურენტების - "BMW-ულიამსისა" და "მაკლარენ-მერსედესის" მხრიდან შემოტევა. ერთი სიტყვით, მეტოქეთა პროგრესი და შარშანდელი შედეგები სკუდერიას მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ "ულიამსი" და "მაკლარენი" ახალი სეზონის წინ უკვე ტესტირებებით არიან დაკავებულნი. ასე რომ, "ფერარის" ჰაერივით სჭირდება 2004 წლის ჩემპიონატის ახალი ბოლიდით დაწყება. ანუ, ამბიციური იტალიური საჯინიბო ყველანაირად ეცდება, მეტოქეებს არ ჩამორჩეს, ფეხი აუწყოს.

კარს მომდგარ სეზონს იმედიანად უყურებს სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ნიკი ლაუდა. უფრო სწორად, გულშემატკივრებს წინდაწინ ჰპირდება, რომ ახალი სეზონი ბევრად უფრო საინტერესო და აზარტული იქნება. ამის მიზეზს მომძლავრებულ საჯინიბოებში ხედავს. უპირატესობას კი, BMW-უილიამსის ახალ პირმშოში - FW26-ში ხედავს: "ფერარის" უპირატესობას შესაძლოა, ბოლო მოეღოს. თუ "უილიამსის" მანქანა უკეთ იქროლებს, ვიდრე ის დღეს გამოიყურება (ლაუდა გულისხმობს "უილიამსის" უჩვეულო ცხვირს, რომელმაც, სხვათა შორის, კონკურენტ საჯინიბოებზე, მართლაც, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეტიც, "რენოს" "თეთრ-ლურჯების", როგორც "უილიამსს" სხვაგვარად უწოდებენ, ცხვირის ასლის გადაღება წლეულსვე სურს.-რედ.), სეზონიც საინტერესო გამოვა".

ყოფილი მრბოლი ერთგვარ რჩევას აძლევს სკუდერიასაც. კერძოდ, ავსტრიელის აზრით, "ფერარისთვის" ხელშემშლელი ფაქტორი "ბრიჯსტოუნის" საბურავები იქნება: "ფერარის", შესაძლოა, "ბრიჯსტოუნის" საბურავებმა ავნოს. როგორც ცნობილია, იაპონელები ("ბრიჯსტოუნის" საბურავებს იაპონია აწარმოებს.-რედ.) დღემდე არ აღიარებენ "მიშელინთან" აშკარა ჩამორჩენას. იტალიელები კი დიპლომატიური მოსაზრებით საბურავების მწარმოებლის საზოგადო კრიტიკისგან თავს იკავებენ".



ნოტბუქი

ნინო I

# „ჩემი მეუღლე ბუნდესლიგის ვარსკვლავია"

### ფეხბურთელთან ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები

ფეხბურთელებთან დაკავშირებული ქალები: მათი ცხოვრება ერთდროულად მშვენიერიცაა და საშინელიც. ისინი დიდ, მდიდრულად მორთულ ვილებში ცხოვრობენ, გარაჟში თავს იწონებს უახლესი მოდელის კაბრიოლეტი, ოთახებს მოსამსახურეები ალაგებენ და საჭმელს საგანგებოდ მოწვეული მზარეულები უმზადებენ. მათი შვილები საუცხოო კერძო ბაღებსა და სკოლებში დადიან, სტადიონზე ყოველთვის საუკეთესო ადგილებზე სხედან, გუჩისა და ვერსაჩეს ტანსაცმელს ატარებენ, ხელზე კი როლექსის ან კარტიეს ფირმის ძვირად ღირებული საათი უბრწყინავთ. ქალების უმრავლესობას მათი საშინლად შურს. ბუნდესლიგის ვარსკვლავები წარმატებულნი, მდიდრები და სახელგანთქმულნი არიან, მათი მეუღლეები ამქვეყნიური ცხოვრების ყველა სიამოვნებით ტკბებიან. მიუხნენის "ბაიერნის" ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი წელიწადში ხუთ მილიონ ევროს იღებს. მის სიმონესა და ორ ბავშვს თვეში ოთხასი ათას ევროზე მეტის დახარჯვის საშუალება აქვთ. ეს ფეხბურთელის მეუღლის უზრუნველი ცხოვრებაა...

მაგრამ მედალს აქვს მეორე მხარეც, რომელიც სულაც არ გახლავთ ისეთი მიმზიდველი, როგორც პირველი. ფეხბურთელები ხშირად იცვლიან გუნდს, გადადიან ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში. ოჯახის წევრები ერთ გარემოსთან ძლივს ასწრებენ შეგუებას, რომ უცებ ყველაფრის დატოვება და სხვაგან წასვლა უხდებათ. ფეხბურთელთა მეუღლეები ოქროს გალიაში ცხოვრობენ და არსად არა აქვთ ნამდვილი სახლი. ასეთი ქალები უმეტესად მარტო არიან. ფეხბურთელებს ხომ ასე ხშირად უწევთ გასვლითი მატჩების ჩატარება. ოლივერ კანის მსგავსი ვარსკვლავი, რომელიც ბუნდესლიგაშიც თამაშობს, ეროვნულ ნაკრებშიც და ჩემპიონთა ლიგაშიც, წელიწადში 200 დღეს სახლის გარეთ ატარებს. რაზე ფიქრობენ ეს ქალები, როდესაც მარტო რჩებიან უზარმაზარ საქორწინო საწოლში? ალბათ, იმ უამრავ გოგონაზე, რომლებიც გუნდის სასტუმროს წინ ტრიალებენ და, ერთი სული აქვთ, როდის მოჰკრავენ თვალს რომელიმე ცნობილ ფეხბურთელს. ისინი ხომ ყველაფერზე მიდიან, ოღონდ კი ვარსკვლავმა მათთან დროსტარება მოისურვოს. მერე ფეხბურთელთა წრეებში აგრერიგად პოპულარული დისკოთეკები? სპორტის ვარსკვლავებს არასოდეს უჭირთ გასართობად მისული გოგონების მახეში გაბმა. საკმარისია, მხოლოდ მოინდომონ და ყველაფერი უპრობლემოდ მოგვარდება. ფეხბურთელები უცხო ქალაქებში დროს ატარებენ, მათი მეუღლეები კი მარტო რჩებიან და ეჭვებთან გამკლავებას ცდილობენ. ხშირად მათი ცხოვრება ქმრებთან სკანდალური გაყრით მთავრდება. 1990 წელს, როცა გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა, რომიდან დაბრუნების შემდეგ ეროვნული გუნდის წევრთა უმრავლესობა ცოლს გაეყარა. იტალიის მუნდიალის გმირებს დღეს ყველა იცნობს, მათი მაშინდელი ცოლები კი უკვე დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა.

როგორ მდგომარეობაში არიან ეს ქალები? მათი უნდა გვშურდეს თუ უნდა გვეცოდებოდეს ისინი? "ბილდის" ჟურნალისტები გაესაუბრნენ ბუნდესლიგაში მოთამაშე ფეხბურთელების მეუღლეებს და შეეცადნენ, გაერკვიათ, რამდენად ბედნიერები იყვნენ ისინი თავიანთი სახელგანთქმული ქმრების გვერდით.

29 წლის მექსიკელი ლამაზმანი როზალი უკვე მეექვსე წელია, ბრემენის "ვერდერის" ბრაზილიელი თავდამსხმელის, აილტონის ცხოვრების თანამგზავრია. ამ ექვსი წლის მანძილზე მათ თექვსმეტჯერ მოასწრეს ჩხუბი და შერიგება. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორი შვილი ჰყავთ, აილტონი არ ფიქრობს როზალიზე დაქორწინებას. მათი ურთიერთობა მეტად არასტაბილურია. როზალი მექსიკაში ცხოვრობს. გერმანიაში მხოლოდ სამ თვეში ერთხელ შეუძლია ჩასვლა. როგორც არაევროკავშირელს, მას მუდამ ვიზა სჭირდება მეუღლის სანახავად. ჯერ ორი კვირაც არ არის, რაც 2004 წელი დადგა, აილტონმა კი უკვე მოასწრო, როზალისთვის სილა გაეწნა. როზალიმ ეს შეურაცხყოფა უხმოდ გადაყლაპა: "აბა რა ვქნა? მე ის მიყვარს. ამქვეყნად უნაკლო არავინაა. ფიზიკურ ტკივილზე უფრო ძნელი სულიერი ტრავმის ატანაა. ძალიან ძნელია, ასეთ ვითარებაში სწორი გადაწყვეტილება მიიღო", - ამბობს როზალი.

28 წლის კატია "ბაიერნის" თავდამსხმელის, ალექსანდერ ციკლერის მეუღლეა. მათ უკვე სამი შვილი ჰყავთ. კატია ბედს არ უჩივის. კმაყოფილია თავისი ოჯახური ცხოვრებით. "ფეხბურთელის მეუღლისთვის ძალიან ძნელია ოჯახის შენარჩუნება. ისინი კარგად გამოიყურებიან, მდიდრები და სახელგანთქმულები არიან. გოგონები ხშირად მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ გამოიჭირონ ცნობილი ადამიანები და როგორ დაახარჯინონ რაც შეიძლება მეტი ფული. მათ პიროვნება კი არა, მისი საბანკო ანგარიშები აინტერესებთ."

29 წლის ნიკოლა შობერი რეალურად აფასებს სიტუაციას. მისი მეუღლე როსტოკის "ჰანზას" მეკარეა. იმის მიუხედავად, რომ მატიას შობერი საქვეყნოდ ცნობილი ვარსკვლავი არ არის და მასზე ისე არავინ ნადირობს, როგორც, მაგალითად, ოლივერ კანზე, ნიკოლას მაინც უჭირს იდეალური ურთიერთობის შენარჩუნება. "როცა ის კარიერას დაამთავრებს, მაშინ ჩემი ჯერი დადგება. მანამდე კი როგორმე მოვითმენ", - ამბობს ფრაუ შობერი.

30 წლის გიზელა ჰოფმანის მეუღლეც მეკარეა, ოღონდ ბავარიული "მიუნჰენ 1860"-ის. თავის დროზე გიზელა "მის მიუნხენი" იყო, წარმატებულ სამოდელო კარიერასაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ საბოლოოდ მისგან მხოლოდ დიასახლისი გამოვიდა. როცა მისი ქმარი ერთ მატჩში ოთხ ბურთზე მეტს იგერიებს, მაგრამ გუნდი მაინც აგებს და მეკარე შინ გაბრაზებული ბრუნდება, მაშინ ფრაუ ჰოფმანი გაცლას ამჯობინებს - ცხენზე ჯდება და სასეირნოდ მიდის. ეს გიზელას განტვირთვაში ეხმარება. მისი ცხოვრება ხომ ასე დაძაბული და რთულია.

აი, ასე ცხოვრობენ ბუნდესლიგის ვარსკვლავების მეუღლეები. თავად განსაჯეთ, ბედნიერები არიან ისინი?

## TV-სპორტი

### ორშაბათი. 12 იანვარი

**НТВ+ФУТБОЛ**
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1973. "WASHINGTON BULLETS" - "NEW YORK KNICKS"
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:20 ინგლისის ჩემპიონატი
15:05 ესპანეთის ჩემპიონატი
16:50 თავისუფალი დარტყმა
17:05 იტალიის ჩემპიონატი
18:50 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "ნიუკასლი"
20:35 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 ესპანეთის ჩემპიონატი
23:10 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:05 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
01:00 იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
02:45 02:45-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1976. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "PHOENIX SUNS" - "GOLDEN STATE WARRIORS". მე-4 თამაში
06:30 NBA TV. დღიური

**НТВ+СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 20:00 პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. პლეი-ოფი
14:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ანზეეში
14:45 ჩოგბურთი. "Hopman Cup" ავსტრალიაში. ფინალი
17:15 ფიგურული სრიალი. რუსეთის ჩემპიონატი. ქალები. შესვენებისას (18:00) - "NHL – პლუს"
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "რკინის ფაქტორი". მის ოლიმპია 2003. მესამე ნაწილი
21:00 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:30 დიდი რინგი. პროგრამა პროფესიულ კრივზე
23:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ანზეეში
00:00 "NHL – პლუს"
00:15 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "NEW YORK RANGERS" - "TAMPA BAY LIGHTNING". შესვენებისას (00:55) ახალი ამბები
02:45 "ფარი და ბურთი". გადაცემა კალათბურთზე

**EUROSPORT**
11:30 რალი – რეიდ დაკარი
12:00 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადის კულტურული პროგრამა
12:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი სლოვენიაში
13:00 თხილამურებით რბენა. მსოფლიო თასის ეტაპი ესტონეთში
13:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში
15:15 რალი – რეიდ დაკარი
15:45 ფრენბურთი. ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი
16:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
18:45 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ჩეხეთში
21:30 ფეხბურთი. ევროგოლები
22:00 მულტისპორტი
22:30 მხედრული ორთაბრძოლები. საბრძოლო კლუბი
23:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი ესპანეთში
01:30 რალი – რეიდ დაკარი
02:00 ფეხბურთი. ევროგოლები
02:30 ახალი ამბები
02:45 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
03:00 თავგადასავალი. ექსტრემალურ რეიდ-თავგადასავლების სერია
03:30 რალი – რეიდ დაკარი
04:00 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
04:30 ახალი ამბები

# "საოჯახო ტოტო"-ს 10 იანვარი №41 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 000032 | 5,0 | 003038 | 2,5 | 006192 | 3,5 | 009268 | 2,5 |
| 000043 | 3,5 | 003079 | 2,0 | 006195 | 1,5 | 009273 | 1,0 |
| 000053 | 2,5 | 003080 | 2,0 | 006200 | 1,0 | 009290 | 1,0 |
| 000074 | 1,5 | 003081 | 3,5 | 006222 | 2,0 | 009317 | 6,0 |
| 000112 | 2,0 | 003088 | 1,0 | 006267 | 1,0 | 009371 | 2,0 |
| 000145 | 1,5 | 003106 | 2,0 | 006274 | 3,5 | 009384 | 1,0 |
| 000165 | 1,0 | 003114 | 1,0 | 006290 | 2,5 | 009395 | 2,0 |
| 000175 | 1,5 | 003132 | 2,5 | 006307 | 2,5 | 009434 | 1,0 |
| 000185 | 2,5 | 003144 | 4,0 | 006318 | 1,0 | 009476 | 1,0 |
| 000188 | 1,5 | 003150 | 1,0 | 006319 | 2,0 | 009493 | 10,0 |
| 000201 | 1,0 | 003154 | 1,0 | 006351 | 1,5 | 009495 | 2,0 |
| 000203 | 1,0 | 003197 | 3,5 | 006357 | 1,0 | 009514 | 1,0 |
| 000208 | 1,5 | 003205 | 3,5 | 006373 | 1,0 | 009522 | 1,0 |
| 000210 | 2,5 | 003240 | 2,0 | 006398 | 3,0 | 009528 | 1,5 |
| 000241 | 1,0 | 003291 | 1,5 | 006403 | 1,0 | 009559 | 1,0 |
| 000247 | 1,0 | 003300 | 2,0 | 006426 | 1,5 | 009586 | 1,0 |
| 000276 | 1,5 | 003329 | 2,5 | 006439 | 1,0 | 009616 | 1,0 |
| 000325 | 1,0 | 003367 | 1,0 | 006440 | 1,0 | 009619 | 1,0 |
| 000338 | 100,0 | 003384 | 1,0 | 006444 | 3,0 | 009641 | 1,5 |
| 000339 | 2,0 | 003411 | 1,5 | 006462 | 1,5 | 009644 | 1,0 |
| 000353 | 3,5 | 003425 | 4,5 | 006486 | 1,0 | 009704 | 2,0 |
| 000364 | 2,0 | 003432 | 1,0 | 006504 | 3,5 | 009716 | 2,5 |
| 000378 | 2,5 | 003447 | 4,0 | 006525 | 2,0 | 009721 | 2,0 |
| 000398 | 1,5 | 003474 | 1,0 | 006530 | 1,5 | 009735 | 2,0 |
| 000439 | 2,5 | 003480 | 1,0 | 006546 | 6,0 | 009749 | 2,5 |
| 000459 | 1,0 | 003486 | 1,0 | 006560 | 4,0 | 009784 | 6,0 |
| 000468 | 1,0 | 003494 | 1,5 | 006565 | 1,0 | 009804 | 3,0 |
| 000469 | 1,0 | 003506 | 8,0 | 006603 | 1,5 | 009820 | 1,0 |
| 000504 | 1,5 | 003580 | 2,0 | 006607 | 1,5 | 009825 | 2,0 |
| 000529 | 1,5 | 003582 | 1,5 | 006669 | 1,5 | 009830 | 5,0 |
| 000562 | 1,5 | 003615 | 1,5 | 006686 | 5,0 | 009844 | 3,0 |
| 000614 | 2,5 | 003616 | 1,0 | 006692 | 1,0 | 009848 | 2,0 |
| 000615 | 1,0 | 003674 | 1,0 | 006700 | 2,0 | 009877 | 1,0 |
| 000649 | 2,0 | 003684 | 2,0 | 006717 | 4,5 | 009924 | 4,5 |
| 000692 | 2,5 | 003694 | 1,0 | 006724 | 1,5 | 009937 | 1,5 |
| 000737 | 1,5 | 003725 | 1,0 | 006735 | 2,0 | 009938 | 1,5 |
| 000742 | 2,0 | 003744 | 2,0 | 006745 | 4,0 | 009959 | 1,0 |
| 000776 | 2,0 | 003761 | 1,0 | 006767 | 1,0 | 009971 | 1,5 |
| 000779 | 6,0 | 003768 | 4,5 | 006794 | 1,0 | 009981 | 2,0 |
| 000786 | 1,5 | 003783 | 8,0 | 006798 | 1,0 | 010013 | 1,5 |
| 000787 | 1,0 | 003809 | 1,5 | 006834 | 2,0 | 010028 | 2,0 |
| 000801 | 1,0 | 003820 | 1,0 | 006851 | 1,5 | 010042 | 2,0 |
| 000817 | 1,0 | 003829 | 15,0 | 006858 | 1,5 | 010097 | 1,0 |
| 000823 | 1,0 | 003840 | 2,0 | 006866 | 1,0 | 010098 | 1,5 |
| 000843 | 1,0 | 003853 | 1,5 | 006875 | 1,5 | 010123 | 1,0 |
| 000876 | 1,5 | 003870 | 5,0 | 006947 | 1,0 | 010131 | 2,5 |
| 000878 | 1,5 | 003877 | 4,5 | 006953 | 1,0 | 010137 | 2,0 |
| 000888 | 1,0 | 003880 | 2,5 | 006956 | 1,5 | 010153 | 2,0 |
| 000925 | 1,0 | 003896 | 2,5 | 006961 | 4,5 | 010197 | 4,0 |
| 000941 | 1,5 | 003903 | 4,5 | 006981 | 1,0 | 010217 | 2,0 |
| 000945 | 1,0 | 003913 | 2,0 | 007022 | 1,0 | 010245 | 3,0 |
| 000951 | 1,0 | 003918 | 1,0 | 007040 | 1,5 | 010247 | 2,5 |
| 000953 | 4,0 | 003941 | 2,0 | 007064 | 3,0 | 010264 | 1,0 |
| 000955 | 2,0 | 003979 | 1,0 | 007066 | 1,0 | 010294 | 1,0 |
| 000964 | 2,0 | 003991 | 2,0 | 007076 | 1,0 | 010342 | 2,0 |
| 001008 | 1,5 | 004015 | 1,0 | 007080 | 1,5 | 010350 | 2,0 |
| 001032 | 2,0 | 004026 | 1,5 | 007098 | 1,0 | 010365 | 1,0 |
| 001040 | 1,5 | 004035 | 3,0 | 007104 | 2,0 | 010401 | 1,0 |
| 001072 | 2,0 | 004045 | 2,0 | 007108 | 1,0 | 010407 | 1,0 |
| 001117 | 4,5 | 004048 | 1,5 | 007111 | 1,0 | 010421 | 8,0 |
| 001127 | 1,0 | 004064 | 2,0 | 007114 | 2,0 | 010446 | 2,0 |
| 001136 | 2,5 | 004104 | 1,5 | 007120 | 1,0 | 010484 | 2,0 |
| 001152 | 1,0 | 004111 | 1,0 | 007136 | 1,0 | 010538 | 1,5 |
| 001154 | 3,0 | 004114 | 1,0 | 007150 | 12,5 | 010540 | 2,5 |
| 001169 | 2,0 | 004118 | 1,0 | 007161 | 1,5 | 010569 | 1,0 |
| 001179 | 2,5 | 004196 | 5,0 | 007171 | 6,0 | 010580 | 1,5 |
| 001222 | 1,0 | 004209 | 1,0 | 007174 | 1,5 | 010588 | 1,0 |
| 001225 | 1,0 | 004210 | 1,0 | 007252 | 1,5 | 010597 | 1,5 |
| 001230 | 1,0 | 004211 | 2,5 | 007261 | 3,0 | 010609 | 1,5 |
| 001233 | 6,0 | 004270 | 2,0 | 007264 | 1,0 | 010627 | 3,0 |
| 001244 | 1,0 | 004300 | 7,0 | 007266 | 4,5 | 010633 | 4,5 |
| 001249 | 1,5 | 004331 | 2,5 | 007278 | 1,5 | 010634 | 3,0 |
| 001254 | 2,0 | 004333 | 3,5 | 007282 | 1,0 | 010636 | 1,5 |
| 001280 | 2,0 | 004355 | 3,5 | 007301 | 1,5 | 010642 | 4,0 |
| 001290 | 2,5 | 004360 | 1,0 | 007307 | 2,0 | 010646 | 1,0 |
| 001299 | 4,0 | 004368 | 1,0 | 007315 | 1,0 | 010657 | 1,0 |
| 001320 | 1,0 | 004382 | 1,0 | 007333 | 2,0 | 010660 | 2,0 |
| 001331 | 1,0 | 004442 | 1,5 | 007352 | 1,5 | 010697 | 8,0 |
| 001338 | 4,0 | 004448 | 1,5 | 007359 | 2,0 | 010712 | 2,0 |
| 001343 | 2,0 | 004458 | 2,5 | 007378 | 3,0 | 010715 | 1,0 |
| 001350 | 2,0 | 004495 | 3,5 | 007381 | 1,0 | 010752 | 4,5 |
| 001351 | 3,5 | 004508 | 2,0 | 007394 | 1,5 | 010762 | 1,0 |
| 001352 | 1,0 | 004554 | 1,5 | 007398 | 9,0 | 010770 | 1,5 |
| 001353 | 1,0 | 004565 | 1,0 | 007406 | 1,0 | 010782 | 1,5 |
| 001355 | 2,5 | 004578 | 1,5 | 007417 | 4,5 | 010787 | 2,0 |
| 001362 | 2,0 | 004579 | 1,5 | 007421 | 1,0 | 010793 | 1,5 |
| 001371 | 1,5 | 004623 | 3,0 | 007446 | 3,5 | 010819 | 1,0 |
| 001379 | 1,5 | 004630 | 1,0 | 007461 | 2,0 | 010831 | 3,5 |
| 001382 | 2,5 | 004643 | 1,5 | 007469 | 1,0 | 010842 | 4,5 |
| 001396 | 2,0 | 004652 | 2,0 | 007479 | 1,0 | 010857 | 2,0 |
| 001402 | 2,5 | 004681 | 2,0 | 007485 | 1,5 | 010861 | 1,0 |
| 001414 | 1,5 | 004699 | 1,5 | 007489 | 1,5 | 010862 | 1,0 |
| 001416 | 2,0 | 004733 | 1,0 | 007501 | 1,5 | 010870 | 1,5 |
| 001432 | 2,0 | 004760 | 1,0 | 007544 | 1,0 | 010875 | 2,0 |
| 001437 | 1,0 | 004786 | 3,5 | 007549 | 1,0 | 010898 | 1,0 |
| 001522 | 1,0 | 004806 | 1,5 | 007557 | 2,0 | 010915 | 1,0 |
| 001526 | 3,0 | 004836 | 2,5 | 007561 | 5,0 | 010926 | 1,5 |
| 001568 | 1,0 | 004843 | 4,5 | 007573 | 2,5 | 010937 | 1,0 |
| 001583 | 2,0 | 004850 | 1,0 | 007581 | 1,0 | 010955 | 1,0 |
| 001605 | 4,5 | 004853 | 1,5 | 007611 | 1,0 | 011032 | 2,0 |
| 001617 | 1,0 | 004926 | 3,0 | 007626 | 4,0 | 011059 | 1,0 |
| 001629 | 2,0 | 004990 | 2,0 | 007654 | 2,0 | 011066 | 1,5 |
| 001634 | 4,0 | 005006 | 1,0 | 007658 | 1,5 | 011113 | 1,5 |
| 001639 | 2,5 | 005011 | 4,0 | 007665 | 1,0 | 011121 | 1,5 |
| 001641 | 1,0 | 005029 | 1,5 | 007666 | 1,0 | 011144 | 1,5 |
| 001689 | 15,0 | 005044 | 1,0 | 007674 | 2,0 | 011149 | 3,0 |
| 001703 | 1,5 | 005054 | 2,0 | 007685 | 1,5 | 011174 | 6,0 |
| 001721 | 1,5 | 005061 | 1,5 | 007689 | 1,0 | 011181 | 1,0 |
| 001736 | 1,0 | 005094 | 2,5 | 007735 | 2,0 | 011192 | 1,0 |
| 001742 | 2,0 | 005095 | 1,5 | 007747 | 4,5 | 011201 | 1,0 |
| 001748 | 1,5 | 005114 | 1,0 | 007758 | 1,5 | 011237 | 2,0 |
| 001757 | 2,0 | 005127 | 2,0 | 007762 | 1,5 | 011249 | 2,0 |
| 001813 | 1,5 | 005132 | 1,0 | 007778 | 1,5 | 011267 | 1,0 |
| 001818 | 1,5 | 005136 | 1,0 | 007780 | 1,0 | 011278 | 1,0 |
| 001820 | 1,0 | 005174 | 3,5 | 007848 | 1,5 | 011283 | 6,0 |
| 001836 | 3,5 | 005234 | 15,0 | 007853 | 1,5 | 011310 | 1,0 |
| 001854 | 2,0 | 005241 | 1,5 | 007854 | 6,0 | 011331 | 1,0 |
| 001876 | 1,5 | 005242 | 1,5 | 007876 | 1,5 | 011332 | 4,0 |
| 001920 | 2,0 | 005278 | 2,5 | 007900 | 9,0 | 011350 | 1,0 |
| 001929 | 2,0 | 005290 | 2,0 | 007921 | 1,0 | 011357 | 1,0 |
| 001986 | 1,5 | 005303 | 1,5 | 007937 | 2,0 | 011359 | 1,0 |
| 002004 | 2,0 | 005304 | 1,5 | 007946 | 1,5 | 011365 | 2,0 |
| 002033 | 2,0 | 005323 | 2,0 | 007961 | 1,0 | 011388 | 1,5 |
| 002052 | 1,5 | 005330 | 1,5 | 007985 | 2,5 | 011429 | 1,0 |
| 002078 | 1,5 | 005337 | 9,0 | 007987 | 3,0 | 011470 | 1,0 |
| 002087 | 1,0 | 005348 | 1,0 | 007999 | 1,5 | 011473 | 1,5 |
| 002089 | 1,0 | 005410 | 3,5 | 008009 | 2,0 | 011478 | 3,0 |
| 002096 | 1,0 | 005412 | 2,0 | 008014 | 12,5 | 011481 | 2,0 |
| 002123 | 1,0 | 005417 | 2,0 | 008029 | 1,0 | 011485 | 1,0 |
| 002127 | 3,0 | 005418 | 1,5 | 008038 | 6,0 | 011491 | 2,0 |
| 002139 | 1,5 | 005441 | 4,5 | 008056 | 3,5 | 011493 | 3,5 |
| 002241 | 3,0 | 005451 | 3,5 | 008058 | 2,0 | 011508 | 2,0 |
| 002255 | 2,0 | 005480 | 20,0 | 008113 | 1,0 | 011514 | 3,5 |
| 002321 | 1,5 | 005510 | 1,0 | 008122 | 2,0 | 011532 | 1,0 |
| 002322 | 1,5 | 005524 | 1,5 | 008125 | 2,0 | 011557 | 2,0 |
| 002328 | 2,0 | 005565 | 1,5 | 008134 | 1,5 | 011558 | 1,5 |
| 002342 | 4,0 | 005584 | 4,0 | 008157 | 1,5 | 011570 | 9,0 |
| 002358 | 4,5 | 005597 | 1,0 | 008171 | 1,0 | 011581 | 3,0 |
| 002364 | 1,5 | 005614 | 1,0 | 008188 | 2,5 | 011586 | 1,0 |
| 002397 | 1,0 | 005640 | 2,0 | 008196 | 1,0 | 011603 | 1,0 |
| 002411 | 1,0 | 005642 | 1,0 | 008302 | 1,5 | 011604 | 2,0 |
| 002426 | 2,0 | 005645 | 2,0 | 008326 | 2,0 | 011609 | 2,0 |
| 002438 | 1,0 | 005661 | 1,0 | 008402 | 1,0 | 011627 | 1,5 |
| 002453 | 2,5 | 005666 | 1,5 | 008406 | 3,5 | 011634 | 2,5 |
| 002465 | 1,5 | 005673 | 1,0 | 008470 | 1,5 | 011636 | 1,0 |
| 002477 | 4,0 | 005686 | 1,5 | 008517 | 1,5 | 011651 | 2,0 |
| 002482 | 2,0 | 005698 | 1,0 | 008519 | 1,0 | 011661 | 4,0 |
| 002502 | 2,0 | 005719 | 1,5 | 008524 | 1,0 | 011674 | 4,0 |
| 002534 | 1,0 | 005737 | 1,0 | 008552 | 1,5 | 011688 | 2,0 |
| 002577 | 1,0 | 005743 | 1,0 | 008576 | 2,5 | 011694 | 2,5 |
| 002589 | 2,0 | 005786 | 2,5 | 008610 | 12,5 | 011753 | 1,5 |
| 002618 | 2,0 | 005803 | 1,0 | 008652 | 1,5 | 011769 | 2,0 |
| 002631 | 2,5 | 005808 | 4,0 | 008672 | 50,0 | 011775 | 1,5 |
| 002693 | 1,0 | 005817 | 6,0 | 008686 | 9,0 | 011776 | 2,0 |
| 002734 | 2,0 | 005818 | 1,0 | 008688 | 1,0 | 011788 | 6,0 |
| 002739 | 3,5 | 005826 | 1,5 | 008698 | 1,5 | 011797 | 1,5 |
| 002746 | 4,0 | 005846 | 1,0 | 008713 | 9,0 | 011814 | 4,0 |
| 002764 | 4,5 | 005861 | 1,5 | 008716 | 4,5 | 011830 | 1,0 |
| 002783 | 2,0 | 005874 | 2,5 | 008725 | 1,5 | 011845 | 3,5 |
| 002838 | 4,5 | 005878 | 8,0 | 008766 | 2,0 | 011869 | 1,0 |
| 002840 | 1,0 | 005886 | 7,0 | 008780 | 1,5 | 011874 | 1,5 |
| 002879 | 1,0 | 005889 | 3,5 | 008817 | 9,0 | 011880 | 2,0 |
| 002882 | 2,0 | 005901 | 6,0 | 008872 | 2,5 | 011889 | 1,5 |
| 002886 | 1,5 | 005907 | 1,5 | 008921 | 9,0 | 011914 | 4,5 |
| 002931 | 2,0 | 005942 | 6,0 | 008978 | 9,0 | 011939 | 1,5 |
| 002933 | 2,5 | 005955 | 1,0 | 008987 | 1,0 | 011940 | 3,0 |
| 002935 | 2,0 | 005975 | 1,0 | 008994 | 1,5 | 011951 | 2,0 |
| 002948 | 1,0 | 006007 | 1,0 | 009000 | 4,0 | 011953 | 2,5 |
| 002959 | 1,0 | 006021 | 2,0 | 009002 | 1,0 | 011966 | 1,5 |
| 002961 | 3,0 | 006026 | 3,0 | 009063 | 5,0 | 011983 | 1,0 |
| 002970 | 1,0 | 006049 | 2,5 | 009077 | 2,5 | 011988 | 1,0 |
| 002985 | 1,0 | 006053 | 35,0 | 009085 | 1,5 | 012000 | 2,5 |
| 002993 | 1,0 | 006063 | 1,0 | 009175 | 7,0 | 012023 | 1,0 |
| 003026 | 2,0 | 006129 | 2,0 | 009182 | 3,0 | 012050 | 1,5 |
| 003027 | 1,0 | 006143 | 1,5 | 009241 | 2,0 | 012054 | 9,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 012098 | 1,5 | 014903 | 1,0 | 017777 | 1,5 | 020856 | 3,0 |
| 012114 | 5,0 | 014955 | 1,0 | 017778 | 1,5 | 020859 | 30,0 |
| 012115 | 1,5 | 014962 | 1,0 | 017782 | 1,0 | 020861 | 1,0 |
| 012116 | 5,0 | 014980 | 2,5 | 017796 | 2,0 | 020911 | 1,0 |
| 012132 | 1,5 | 014985 | 2,0 | 017800 | 1,0 | 020933 | 5,0 |
| 012134 | 3,5 | 014991 | 2,0 | 017813 | 1,5 | 020942 | 2,5 |
| 012150 | 1,5 | 015010 | 3,0 | 017839 | 4,5 | 020944 | 2,5 |
| 012156 | 4,5 | 015031 | 1,5 | 017844 | 1,5 | 020948 | 2,0 |
| 012157 | 1,5 | 015045 | 1,0 | 017857 | 2,0 | 020958 | 3,0 |
| 012179 | 4,0 | 015062 | 2,0 | 017859 | 2,5 | 020960 | 1,0 |
| 012185 | 2,0 | 015080 | 12,5 | 017865 | 6,0 | 020963 | 1,5 |
| 012193 | 2,0 | 015085 | 1,0 | 017890 | 2,5 | 020990 | 4,5 |
| 012196 | 3,5 | 015104 | 2,0 | 017918 | 20,0 | 020991 | 1,5 |
| 012201 | 1,5 | 015107 | 4,0 | 017971 | 1,0 | 021008 | 2,0 |
| 012204 | 2,0 | 015122 | 2,0 | 017977 | 2,0 | 021044 | 1,5 |
